


www.PDF.ChiaturaINFO.GE
www.PDF.ChiaturaINFO.GE

# ალექსანდრ პუშკინი

# ევგენი ონეგინი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომანი ლექსად

პატივმოყვარეობით შეპყრობილი, განსა-
კუთრებულად მაყიც იყო, ამიტომაც ერთ-
ნაირი გულგრილობით აღიარებდა თავის რო-
გორც კეთილ ასევე ცუდ საქციელს -
ასე ჩაგვაგონებს უპირატესობის გრძნობა,
თუნდაც იგი მოჩვენებითი იყოს.

პირადი წერილიდან (ფრანგ.)

არ ვფიქრობ ამაყ წრის შესაქცევად
ვეტრფი გულისხმას ტოლმეგობართა,
მსურს საწინდარი, პატივისცემად
შენი ღირსების სწორი მოგართვა.
ღირსწორი სულის მშვენიერების,
ამხდარი ნატვრის წმინდა სათავის,
ცოცხალ და ნათელლექსის ფერების,
მაღალი აზრის და სისადავის.
მაშ ასე იყოს, ჩემგან თვალებად
მიიღე ფერადთავთა კრებული -
ხან სასაცილოარის ნახევრად
და ხან ნახევრად დარდიორეული,
სრულქმნილი და სადა ხალხურ ჰაგებად
თავშექცევისას შთაგონებული,

უძილობისას სწრაფად ნაწერი,

უმწიფარ და მჭკნარ წლების ნაფიქრი,

ცივი გონების თვალთნაზერი

და მწუხარებად გულზე ნატვიფრი.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ცხოვრება ჩქარობს ა

ისწრაფვის კიდეც შეიგრძნოს.

პ. ა. ვ ი ა ზ ე მ ს კ ი

## I

"ბიძაჩემს, განთქმულს ალალმართალ ღირსებით

როცა ძალღონე აღარ შესწევდა,

წასვლა ენება პატივისცემით

და უკეთესად რაღას შესძლებდა.

მის ქცევას ბევრი სიბრძნედ იწამებს,

მაგრამ, ღმერთმანი, გულს გაგიწყალებს -

ავადმყოფს დღე-ღამ ეჯდე საწოლთან,

არ შორდებოდე წამით საცოდავს!

მონებდე მზაკვრულად უმდაბლესს,

მომაკვდავს სიკვდილს არ აცლიდე,

ართობდე, ჭმუნვით წამალს აწვდიდე

და უსწორებდე თავსასთუმალებს.

ოხრავდე და თან გულში ამბობდე:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეშმაკი ლაგამს როდის ამოგდებს!"

II

ცეტი ჭაბუკი ასე ფიქრობდა
და მტვერს აფენდა ეტლი კელმინდორებს,
ანდერძად ზევსის ლოცვა მიჰქონდა
ნათესავებში ყველას მემკვიდრეს.
ვინც ლუდმილას და რუსლანს აღმერთებთ
ჩემი რომანის გმირსაც აგრეთვე,
თქვენი ნებართვით უწინასიტყვოდ
ახლავე, ამავ წუთში გაიცნობთ
ონეგინია ჩემი ძმობილო,
ნევის ნაპირთან დაბადებული,
ეგებ ბავშვობა თქვენც იქ გეგულვით
ანდა ბრწყინავდით ქვეყნად ცნობილო,
ჩემო მკითხველო, მეც ის შორეთი
მალხენდა, მაგრამ მწყენს ჩრდილოეთი.

III

სინდისიერად და წრფელად ილწვოდა,
ვალით ცხოვრობდა მისი მშობელი,
ბალს წელიწადში სამჯერ იწვევდა,
ბოლოს გაკოტრდა კეთილშობილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ევგენის ბედს ერთობ სწყალობდა,

ჯერ Madame-სგან ანბანს სწავლობდა,

მერმე მან  **Mansieur**-ს გადაბარა,

თავნება, მაგრამ სათნო პატარა.

**Monsieur l'Abbe**, ფრანგი ლატაკი

არ აწუხებდა ბავშვს და თამაშით

იოლად წვრთნიდა ყველა საგანში,

თავს არ აწყენდა მორალ-არაკით,

ცელქობისათვის ოდნავ ძრახავდა

და საზაფხულო ბაღში დაჰყავდა.

IV

ჟამი ჭაბუკურ ვნებათა ღელვის

როცა ევგენის ენთო სამხილოდ

ჟამი იმედის, ტკბილი ნაღველის,

მაშინ გააგდეს **Mansieur** სახლიდან.

შევებამ აქცია კაცად ყმაწვილი,

ახლა მოდაზე თმადავარცხნილი,

ლონდონელ **dandy**-ს მსგავსად ჩაცმული

და ბოლოს უკვე ხალხში გასული.

სრულად უნაკლოდ ეუფლებოდა

ფრანგულ ენაზე წერას, საუბარს;

ლაღად ცეკვავდა იგი მაზურკას,

პირზე ღიმილი არ უქრებოდა;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მეტი რა გნებავთ? დიდებულებმა

უქეს სიბრძნე და ზრდილი ბუნება.

V

ცოტა რაღაცას ყველა ვსწავლობდით

როგორც შეგვეძლო, სახელდახელოდ

ჩვენში არა ჭირს, ღმერთის წყალობით,

თავი იოლად რომ ისახელო

ევგენი იყო (ბევრი მათგანის

მოურიდებელ მკაცრი ნათქვამით)

განათლებული, ოღონდ პედანტი,

მომადლებული ჰქონდა ტალანტი -

შეეძლო ლაღად სიტყვის თამაში,

ყოველსაგანზე სხარტად მსჯელობა; -

მცოდნეს იერით მარჯვებოდა

ბრძნული დუმილი ნამდვილ ვამათში,

უცბად იწვევდა კეთილ დამების

ღიმილს ცინცხალი ეპიგრამებით

VI

დღეს ლათინური გადის მოდიდან

და მართალს გეტყვი, ჩემი გაგებით,

მას ძველი ენის ცოდნა ყოფნიდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ გაერჩია ეპიგრაფები,

ეხსენებინა იუვენალი,

წერილის ბოლოს დაესვა Vale,-

ენეიდადან ენის წვალებით

ზეპირად ეთქვა ლექსის ბწკარები.

ქვეყნის წარსული მცირეოდენი

ცოდნის წყურვილიც კი არ ებადა,

ქრონოლოგიურ მტვერს არ ქექავდა,

მაგრამ მას ძველი ანეკდოტები -

რომულოს დროიდან დღემდე ნათქვამი,

კარგად ახსოვდა ყველა მათგანი.

VII

ღრმა განცდები არ აწამებდა,

რომ მიეტანა მსხვერპლად ლექსამდე, -

იამბს ქორეისგან ვერ ანსხვავებდა,

თუმცა სწავლებას ბევრჯერ ვეცადეთ.

ჰგმობდა ჰომეროსს, თეოკრიტესაც,

მაგრამ ადამ სმიტს ჩაჰკირკიტებდა,

ეკონომიკას კარგად იცნობდა,

მან ესე იგი განსჯა იცოდა:

ქვეყანა რა რიგ, როგორ მდიდრდება,

რით არსებობს, რატომ ან რა გზით

არ სჭირდება ოქროს მარაგი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა პროდუქტი თაროზე ობდება. -

მამას უჭირდა ამის გაგება

და მიწებს ვალში აგირავებდა.

VIII

რაც უსწავლია კიდევ ევგენის,

უცბად ჩამოთვლა არ შემიძლია,

მაგრამ რა მადლიც ეცხო გენიის,

უბადლო ცოდნად რაც შეიძინა,

რასაც წამოზრდის დღიდან მიხვდა,

რაც რჯიდა, სწვავდა, სიამოვნებდა,

რასაც სწირავდა მთელ დღეს მოცლილი,

რა ნაღველთაც იყო მოცული -

მეცნიერება იყო ტრფიალის,

ნაზონმა ხოტბა რასაც შეასხა,

რითაც არყოფნად გარდაესახა

ჟამი ბრწყინვალე, ქარიშხლიანი -

შორს, მოლდავეთის ყრუ ტრამალებში,

იტალიაზე კვნესა-კაეშნი.

IX

. . . . . . . . .

www.PDF.ChiaturaINFO.GE

. . . . . . . . . .

. . . . . . . . . .

X

რა აღარ შესძლო მან მაცდურობა,

გამჭვალვა იჭვით ფარულმედით

გადარწმუნება და დარწმუნება,

განგებ მოღუშა ძალუმ მიზნედვით

რა გულქვაობა იყო და რა მორჩილი,

რა ქედმაღალი და რა გულჩვილი,

ხან სდუმდა იგი, როგორც კედელი,

ხან ქადაგებდა, ვით მჭევრმეტყველი;

უსტარს თამამად წერდა ტრფიალით,

მაგრამ ერთ ბარათს გულზე იწერდა,

როგორ შეეძლო თავდავიწყება!

მის მკვირცხლ მზერაში ენთო სინაზე,

კდემა, მორცხვობა, კადნიერება,

ხან ძალმოცრემლი და ცბიერება.

XI

მან როგორ შესძლო ფერისცვალება,

ხუმრობით ყმაწვილქალთა დათრობა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სასოწარკვეთის შიშითწვალება,

ქათნაურითმათ გართობა,

და გულჩვილობის წამის ჩავლებით

გრძნობის, გონების ბასრი ბრჭყალებით

უნდობ უთანკოს როცა დასძლევდა,

ალერსს ელოდა, ხან აძალებდა,

ხან სთხოვდა გულწრფელ ლოარებას,

მოსმენას გულის პირველჩქამისას,

კვალდაკვალ სდევდა ტურფალ ქალისას,

ბოლოს იდუმალ დაიბარებდა

და ყრუ ადგილის სუნთქვაგაკმენდილს

დასწავლიდა ჩუმადგაკვეთილს.

XII

რა ადრე შესძლომან აღელვება

კეკლუცადცნობილმა ზმანების!

როცა სურვილი გაახელებდა

მას მოქიშპეთა დასამარების,

რა გესლს ატანდა ლანძღვა-ძაგებას

როგორ ცდილობდა მახის დაგებას!

თქვენ კი, ნეტაროქმრებო, განცხრომით

მასთან მეგობრულსმას განაგრძობდით

ფობლისის ძველი ნამოწაფარი

თავს ევლებოდა ჭაბუკს ცბიერი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დუჭვებული ქმარი ხნიერი

და თვითრქოსნთა დიდი მთავარი,

მუდამ აღავსე კმაყოფილებით

სადილისა და ცოლის იმედით

## XIII. XIV

. . . . . . . . .

## XV

ზოგჯერ საწოლში დილა ადრიან

შემოუტანდნენ ჩემს გმირს ბარათებს.

რაო? მიწვევენ? დიახ, ნამდვილად

სამგან ნადიმი? თავს ვინ გაართმევს?

ერთგან ბალია, სხვაგან ძეობა.

პირველად რომელ სახლს ეწვიოს?

სულ ერთი იყო საით გასწევდა.

ყველგან ასწრებდა იგი დასწრებას.

და ჯერჯერობით რომ მოირგებდა

დილის სამოსთან ფართობოლივარს,

ჩაუყვებოდა ბულვარს თავლანს,

უყვარდა ცხენით გასეირნება,

ვიდრე ბრეგეტის ზარი ხმატკბილი

არმოუხმობდა: "გიცდის სადილი".

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XVI

შებინდდა: მიჰქრის იგი მარხილით
"გასწის" ძახილი შვენის პეწიანს
და მის საყელოს ფიფქი დაყრილი
ავერცხლოსფერებს თახვის ბეწვიანს.
Talon-თან მიდის, სჯერა ნამდვილად
მას კავერინი უცდის ნადიმად
შედის: საცობი ჭერში შეხტება,
მოჩქეფს "კომეტას" ღვინოშხეფებად
ორთქლოვს როსტბიფი სისხლითნაცვარი.
დევს ტრიუფელი - ყრმობის ოცნება,
რითაც ფრანგული სუფრა ცოცხლდება,
და სტრასბურგული ცხენი ნამცვარი
შუაში შვენის, როგორც ამალის,
ლიმბურგულყველს და ოქროს ანანასს.

## XVII

წყურვილი ისევ სასმისს მოითხოვს,
ცხლოდროს ჩარეცხოს ქონი კატლეტის,
მაგრამ ბრეგეტის ზარი მოიხმობს, -
ვინც ტრიალა ახლა ბალეტის.
სცენის ბოროტი კანონმდებელი, აზრცვალებად მადიდებელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მსახიობ ქალთა, მათ გულისთქმა

და საპატიოწევრი კულისთა -

ჩვენი ევგენი მიჰქრის თეატრში,

სადაც თავს იშვებს დიდიც, პატარაც,

უსტვენენ ფედრას და კლეოპატრას,

enterchat-ს[1] ნთქავენ ტაშის გრიალში

ვიღაც მოინას უხმობს (ეგების

მზერა მიიპყროს მაყურებლის).

XVIII

ზღაპრული მხარე! სადაც ადრიან

თავისუფლების ოდა წარმტაცი

თქვა ფონვიზინმა - მეფემ სატირთა,

და კნიაჟნინი წერდა წაბაძვით

სად ოზეროვი, ვით ხარკს უნებურს,

ცრემლებს ხალხისას, ტაშს გახურებულს

სემიონოვის ქალთან იყოფდა;

სად კატენინის ღვაწლით გვიპყრობდა

დიდი კორნელის აღორძინება,

სად შახოვსკოის ენაგესლიან

კომედიათა გუნდი გვესია,

სად ვნახეთ დიდლოს ამობრწყინება,

მეც იმ კულისთა ჩრდილში სიამით

ვქროლდი ყმაწვილი ხალისიანი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XIX

ჩემო ქალღმერთო! სად ხართ? როგორ ხართ?

ყური დამიგდეთ სევდით ნავსებს,

კვლავ ნაზები ხართ? არ გამოცვლილხართ?

ვერ შეუცვლიხართ სულს სხვა ლამაზებს?

თქვენი გუნდის ხმას ისევ მოვისმენ?

როცა ტერფსიქორებს ვნახავ როდესმე -

მათ სულჩაბერილ მაღალ ფრენას?

თუ სევდით მზერა დამეზაფრება,

ოდეს ვერავის გპოვებთ სცენაზე,

ცივად მივაპყრობ ლორნეტს უცნობებს,

და ვემსგავსები ლხენა უარმცნობელს,

არც შევირხევი მე მათ ცეკვაზე

და განხიბლული, ჩუმი მთქნარებით

ისევ წარსულში გავემგზავრები?

---

1 ნახტომი (ფრანგ)

## XX

ელავს ლოჟები სავსე თეატრში;

ზღვა დუღს პარტერის და სავარძლების;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქანდარის სულსწრაფ ტაშის გრიალში

ისმის ხმაური ფარდის აწევის.

ბრწყინვალე, როგორც ლაჟვარდმოჭრილი,

გრძნეულ ქამანის მონა-მორჩილი,

ნიმფების გუნდით გარემოსილი,

დგას ისტომინა ანგელოსივით

ცალფეხს ეყრდნობა ცეკვით სულდგმული

და მეორეთი ბრუნავს ოცნებად

უცებ ნახტომით სცენას მოსწყდება,

ვით ეოლის ბაგეს ბუმბული.

ტანს ხან მოსალტავს, ხან ტანგაშლილი

ფეხს ფეხზე სწრაფად დაჰკრავს ტაშივით

XXI

ხალხი არ ცხრება. შედის ევგენი,

სავარძლებს შორის ფეხებს აწყდება,

ლორნეტის ცივი თვალი შევლებით

უცნობ დამების ლოჟებს გასცება.

ყველა იარუსს უმზერს შესვლისას,

ყველას ტანსაცმელს, სახეს შენიშნავს,

უკმაყოფილოდ უსაშველოდ

მიესალმება კაცებს გარშემო.

დაბნეულ მზერას აპყრობს ევგენი.

ასწონ-დასწონის სცენას თვალებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წამს მობრუნდება, იტყვის მთქნარებით
"შესაცვლელია ყელი ევგენი;
ბალეტი რაღა სანახავია,
დიდლოც მომბეზრდა კარგახანია".

XXII

ჯერ კიდევ სცენა ქუხს დამათრობლად
ახტუნებს ქაჯებს, გველებს, ამურებს,
ჯერ კიდევ სძინავთ სადარბაზოსთან
ქურქში გახვეულ დაღლილ მსახურებს,
დარბაზში ჯერაც სძრავს ციებ-ცხელება;
ცხვირის მოხვინვის ხმა და ხველება
გაისმის ტაშის ხმაში ნარევი,
ჯერ შინ და გარეთ კრთიან ფარნები;
ჯერ შეციებულ ცხენებს ათრთოლებს,
ლაგამ-მოსართავს ვეღარ ითმენენ,
ჯერ მეეტლენი ხელებს იფშვნეტენ
და აგინებენ ცეცხლთან ბატონებს.
ამ დროს სჩვევია ჩვენს გმირს გამოსვლა
და ტანსაცმელის სახლში გამოცვლა.

XXIII

თუ შევძლებ ცხადად დავასურათო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მყუდროება ხომ ძვირფასი ნივთია,

სადაც მოდების პირმშოებადო

ირთვება, იხდის და კვლავ ირთვება?

რაც ყველა სურვილს გამოსადეგება,

რასაც ლონდონი წვრილმან საგნებად

ჩვენი ხე-ტყის და ქონის წამლები,

გვაწვდის ბალტიკის მღელვარტალღებით

პარიზის ეგზოტ ხარბ გემოვნებას,

რაც სასარგებლოშვენის ნაწარმი,

სიამოვნების მგვრელი რაც არის,

რაც ეამება სულს და გონებას,

რაც ფუფუნების საგნად ფოლორცობს -

ჰქონდა თვრამეტი წლის ფილოსოფოსს.

XXIV

ქარვა სტამბოლურს ამკობს ჩიბუხებს,

მოჩანს ბრინჯაოდ ფაიფური,

ფაქიზგრძნობათა მგვრელ დიგუბებს

სუნამოს ბოლოს თითო ჭიქური.

ძევს მაკრატლები: სწორი, გახრილი

და ჯაგრისები ათამდე დაყრილი:

ზოგი ფრჩხილების, ზოგი კბილების,

იქვეა რვალის წვრილი ქლიბებიც.

რომლის უყვირდა - როგორგაბედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მასთან (აღვნიშნავ გაკვრით ზოგადად)

ენაბასრ გიჟთან, დაუზოგავთან

ზვიადმა გრომმა ფრჩხილის გაწმენდა.

მცველო სიმართლის, თავისუფლების

სწორი არ იყო მაშინ სრულებით

XXV

საქმიან კაცსაც შვენის, როდესაც

არავიწყდება მოვლა ფრჩხილების,

რად გვინდა კიცხვა ჩვენი დროისა?

ჩვევებს მოხუცთ ვემორჩილებით

ჩაადაევს ჰგავდა ჩვენი ევგენიც

და მოშიშარი მწარე ენების

თავს აჩვენებდა ხალხს პედანტივით

როგორც ამბობენ - ხახვის ფრანტივით

იგი სამ საათს მაინც არსაით

სარკეს, ტუალეტს არ სცილდებოდა,

გამოსვლა გვიან ახსენდებოდა,

თავქარიანი ვენერასავით

საოცრად ჰგავდა ქალღმერთს გამოცვლილს

სამასკარადოდ ვაჟურ სამოსით

XXVI

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოდროინდელ მოდურ ჩაცმაზე

თქვენს მწყურვალ მზერას რომ ვაჩერდები,

სწავლულთ წინაშე გმირის ტანსაცმელს

აღვწერდი კიდეც მთელი მშვენებით

შემწევდა ძალა, გაბედულება,

მაგრამ რუსულში არ მეგულება

ფრაკი, ჟილეტი და პანტალონი, '

არ გვაქვს სიტყვანი სხვა საბადლონი,

ვხედავ და წრფელად გებოდიშებით

ენითაც ღარიბს ეს მენაღვლება -

ლექსი არ მომდევს უფრო ნაკლებად

აჭრელებული უცხო სიტყვებით

აკადემიურ სიტყვარს ადრევე

თვალყური თუმცა დიდხანს ვადევნე.

XXVII

ახლა სხვა რამე მინდა ჩავითქვა:

გვიჯობს ბალისკენ თუ ავჩქარდებით

ჩვენი ევგენი უკვე საითაც

მიჰქრის იამსკის სწრაფ კარეტით

ბნელსახლებიან, მთვლემარ ქუჩაზე

ფარნები წყვილად კრთიან შუქსავსე,

ერთურთს მიჯრილი კარეტებიდან

ცისარტყელები თოვლზე ბნდებიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გარეშემოსახლთ ლამაზთ

შემოურვალავს მბრწყინავ კანდელეს.

დიდ სარკმლების მიღმა ლანდების

მიმოსვლას აფენს ფართოდარბაზთ,

აჩენს პროფილებს ნაზქალებისას

და ახალმოდიან კავალრებისას.

XXVIII

და იძრა ჩვენი გმირის კარისკენ;

შვეიცარს გასცდა თავმოწონებით,

გრძელმარმარილოს კიბეს აიფრენს,

ისარივით სწრაფად თმების სწორებით

შედის, დარბაზი სავსე დახვდება,

უკვე დაღლილი უკრავს მუსიკაც,

ხალხი ხმაურში როკავს მაზურკას,

სიმჭიდროვეში ტყდება ტალღებად

მხედართ დეზების ისმის წკრიალი,

ფრენენ ფეხები ლამაზმანების.

მიისწრაფვიან მან ნაკვალევზე

თვალები - მწველი ცეცხლით მზირალი;

ქალთა ჩურჩულში ჭორადაც თქმული -

ვიოლინოთა ხმაში ჩანთქმული.

XXIX

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაღებს ვეტრფოდი გადარეული,

ქცეული ლხენად და გატაცებად

მსგავსი ადგილი არსად მეგულვის

სიტყვის, წერილის გადასაცემად

ო, მეულენო, პატივსაცემნო!

თქვენი შველა საქმე საჩემო;

გთხოვთ შეისმინოთ შეგონებანი:

გირჩევთ, ფრთხილობდეთ ყველა თქვენგანი.

დედაკოებო, თვალი ფხიზელი

ქალიშვილთაკენ გეპყრათ ყოველთვის,

სწორედ გეკავოთ თქვენი ლორუნტი!

თორემ. . .ო, თორემ. . . ღმერთო გვიხსენი!

ამას რატომ ვწერ, საკითხავია?

არ შემიცოდავს კარგა ხანია.

XXX

ვაი რომ, დღეებს შეუბრალებლად

ლხინს და გართობას ვანაცვალებთ,

თუმცა, წეს-წესით შეუბღალველად

მეყვარებოდა ახლაც ბაღები.

ვუმხელდი მთხვეულ ყრმობას სიყვარულს,

დედის იახლოვეს, ბრწყინვას, სიხარულს,

და ლუზათან ქალთა სამოსსაც;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვეთაყვანები ფეხეს საოცარს;

თუმც მთელ რუსეთში ვერსად შეხვდებით

ვერ ნახავთ სამ წყვილს სწორ ფეხს ქალისას.

ეჰ, მხოლოდ ერთმა გამიხალისა

დღენი სიცოცხლე თლილი ფეხებით

არ დავიწყება მათი მაწვალებს

და სიზმარშიაც გულს მიფანცქალებს.

## XXXI

რა დრო, რა მხარე, ან რა უდაბნო

გადაგავიწყებს შენსავ გადამრევს?

ნაზო ფეხებო! რომელ უბადლო

ველის ყვავილებს თელავთ ნაადრევს?

გასათუთებდათ აღმოსავლეთ

და ჩრდილოეთის თოვლში არც ერთ

ნაფეხურიც კი არ დაგრჩენიათ,

ლბილ ხალიჩებზე გავლა გჩვევიათ

და ფანდაზად მათ გაგება.

თქვენს გამომქონდა მივიწყებული

ქების, დიდების ჟინი გრძნეული,

ჩემი მამული, და ტუსაღება?

გაფრენილომ წლებს ვინ შეჰყურებს,

ვით ველზე წაშლილ თქვენს ნაფეხურებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XXXII

ო, მეგობრებო, მშვენიერია
დიანას მკერდი, ღაწვნი ფლორასი,
მაგრამ რატომღაც მათ მირჩევნია
თლილი ფეხები ტერფსიქორასი.
მზერას წინასწარიგი უქადის
ზღაპრულსაჩუქარს ფასდაუდებელს
და სურვილების გუნდთა ვნება
მოხიბვლულთაკენ მიექანება.
ჩემო ელვინა, ის მაქვს იმედად
გრძელი სუფრის ქვეშ და გაზაფხულის
ბიბინა ველზე ნაზად გართხმული,
ზამთარში - ბუხრის თუჯის კიდესთან,
ძვირფას პარკეტის მბწყინავ სარკეზე
და ზღვის ნაპირას, ფიქალსალვეჯზე.

XXXIII

მახსოვს ზღვის ღელვა გაავდრებამდე;
რარიგად მშურდა შმაგი ტალღების:
ნეტავ მის ფერხთა ახლოს ვბედავდე
გაწოლილს ტრფობით და გალაღებით
რარიგ მეწადა ერთად შეხებებთან
წარმტაც ფეხებზე ბაგის შეხება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არა, აროდეს, იმ ცხარე წუთებში,

ჩემს დაუდეგარ სიჭაბუკეში,

არ მსურვებია მსგავსი განცდებით

არც ბაგეები ნორჩ არმიდების,

არც მკერდი - სავსე კოცნის იმედით

და არც ვარდები მწველი ლაწვების,

არა, ასეთი ღელვა ვნებათა

სულს არასოდეს არმიბნევდავდა.

XXXIV

ვიხსენებ სულსხვა დროის სიამეს!

ზოგჯერ სანუკვარ, ტკბილ ოცნებებში

ეგზომ ბედნიერ უზანგს ვაკავებ. . .

და ვგრძნობ იმ ფეხის სითბოს ხელებში,

ისევ დუღილმა წამოსახვისამ,

ისევ შეხებამ ერთი ქალისამ

აღმიგზნო ჩამქრალ გულში ალმური,

მასვა ვარამი და სიყვარული.

მაგრამ მეყოფა ყველა ქედმაღლის

ქება და ყბედი ჩანგის ჟღერება,

მათგან შთანაბერ წრფელ სიმღერებად

და გატაცებად ერთიც არა ღირს.

გრძნეულთა მზერა, სიტყვა, დასტური

მათ ფეხთა მსგავსად არის მაცდური.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXXV

ევგენი რას იქმს? . . . ეტლი მიუღმარეს
ლოგინი ელის. ბალი დამთავრდა
და სანკტპეტერბურგს მარადმღელვარეს
უკვე აღვიძებს დაფი დაფდაფა.
დგება ვაჭარი, მიდის ბაყალიც,
მეეტლე ბირჟის გზით მიყანყალებს, '
ოხტელი ქალი ქოთნით იჩქარის,
ფეხქვეშ უკვნეშის თოვლი ცისკარის,
ისმის სიფხიზლის ხმები ხალისით,
დარაბებს ხსნიან, კვამლი მილიდან
ლილისფერ სვეტად მოლივლივდა.
და გერმანელი ზუსტი ხაბაზი,
რომ არ იცილებს ქუდს ქაღალდისას,
ისევ აღებდა თავის "ვასისდას".

## XXXVI

ბალის ხმაურით ცეკვით დაღლილი
და შუაღამე დღედ მსწორები
იწვა საამო ჩრდილში ბალღივით
პირმშო განცხრომის, ლაღი ცხოვრების.
ნაშუადღევს გაიღვიძებდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგი დღემდე ასე იწყებდა
კვლავ ერთფეროვან და ჭრელცხოვრებას,
დღეს გუშინდელის განმეორებას.
მაგრამ ევგენის ანეტარებდა
თავისუფლებით დანამშვენები
წლები, ბრწყინვალე გამარჯვებები,
ყოველდღიური დროის ტარება?
მას ღრეობებში ეცნონასაციც
დაუდევრობის და სიჯანსაღის?

XXXVII

არა: ვნებათგან ადრე განელდა,
ადრე მოსძაგდა ქვეყნის გაგანი,
ლამაზებს განა დიდხანს დანებდა
მისი ჩვეული ფიქრის საგანი.
ბევრგზის ღალატმა დაამუხათა,
მობეზრდა ძმობა ძველმეგობართა,
რადგან სუფრაზე თავგაბრუებულს
ცხელი ბივშტექსის და სტრასბურგული
ნამცხვრის შემდეგ ზოგჯერ უჭირდა
შამპანიურის ბოთლის გამოცლა
და პილპილიან სიტყვის გამოცრა,
თუმც ფიცხი იყო, მკლავიც უჭირდა.
მაინც მობეზრდა ბოლოს ტალი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დუელი, ტყვია და ხმლის ტრიალი.

XXXVIII

ავადმყოფობის ერთი სახეა,

რომლის მიზეზის უჭირთ მიგნება,

ინგლისელების სპლინს ეძახიან,

რუსულად მოკლედ "ხანდრა" იქნება.

მას სენი იგი ნელა ათრობდა,

და თავის მოკვლა, უფალს მადლობა,

ვერ გადაწყვიტა და მოხუცივით

ცხოვრებისადმი გახდა გულცივი.

Child -Harold-ის მსგავსად მიბნედილი

და ფორმილეულსტუმარს ქალებიც

ჭორებით, ცეკვითა და ვერც თვალების

ნაზვითა და ოხვრით მოურიდებლით

ვეღარ ართობდნენ, სევდა დასჩემდა.

ირგვლივ ვერაფერს ვეღარ ამჩნევდა.

XXXIX. XL. XLI

. . . . . . . . .

XLII

თქვენც, მაღალი წრის ბანოვანებო!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგი ყველაზე ადრე მოგვცილდათ

გითხრათ სიმართლე, ჩვენს დროს, საერთოდ

ეგზომ მაღალი ტონი მოსწყინდა;

კიდევ ნახავ დამას მშვენიერს,

სეის და ბენტამს რომ იშველიებს;

მათი მსჯელობა თუმცა წრფელია,

საერთოდ დიდი სისულელეა.

როგორ არიან უბიწოები,

რა ჭკვიანები, რა დიადები,

რა წმინდანები, რა ზვიადები,

როგორ ფრთხილები, როგორ სწორები,

რა მიუწვდომლად ჩანან კაცებთან,

ნახავთ და სპლინი შემოგაწვებათ

XL III

თქვენც, ახალგაზრდა ლამაზმანებო,

გვიანღამ ეტლით გაფრენილები

ვინც ლაღობთ, ვისაც სასპარეზოდ

გაქვთ პეტერბურგის ქვაფენილები,

ჩემმა ევგენიმ თქვენც მიგატოვათ

დასთმო მშფოთვარე ლხენა, გართობა,

შინ ჩაიკეტა დონატარები,

ხელი მოჰკიდა კალამს მთქნარებით

წერა ეწადა, მაგრამ ეძნელა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სძაგდა სირთულე, შრომა ალალი,

ვერაფერს ქმნიდა მისი კალამი

და მათ ამქარში ვერ ჩაეწერა,

რომელთა მიმართება რა მეთქმის,

თანამზრახველნი ვართ ერთმანეთის.

## XLIV

კვლავ უსაქმობა დასდევს ლანდივით

აქტივებული სულთ იცლება,

და ჯდება იგი - წყეული წადილით

სხვათა აზრების სურს მითვისება.

წიგნებს თაროზე აწყობს დასტებად

კითხულობს, კითხვით უქმად გაცდება:

ზოგის მოსაწყენ ბოდვებს, სიცრუეს,

ზოგის სინდისს და აზრს არ ირწმუნებს.

ყველას თავისი სძლევს ბორკილები,

სიძველეს ძალავს ძველთაძველობა;

სიძველით ბოდავს დღევანდელობა;

მან ქალებივით დათმო წიგნები

და თარო, მტვრიან ტომთა სამარეს,

სამგლოვიაროთა მთას აფარებს.

## XLV

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რის შევიცვალე წესი ცხოვრების,

ფუფუნი მისებრ რის აღვიკვეთე,

და ვუმეგობრდი მაშინ ონეგინს,

მომწონდა მისი ბევრი სიკეთე:

ოცნების მონაც ვცანი და მწამდა,

უცნაურობით სხვას არ ბაძავდა,

ჰქონდა მკაცრი, ცივი გონება;

მე რაც მამღვრევდა - მას ალხენებდა;

ვნებათა მაში ერთად მოვლეთ

საწუთრომ ორთავ მწარედ გვაცხოვრა,

ორთავეს სისხლმა გვიწყო დაცხრომა

და დაგველოდა გესლი ორივეს

ბრმა ფორტუნის და ადამიანთა,

რომელსაც ჩვენმა დრომ ინატა.

XLVI

ვინც სცნო საწუთრო, ის ვერ შეიძლებს

ადამიანთა არ შეზარებას,

ვინც განიცადა ისევ შეიგრძნებს

დაუბრუნებელ დღეთა ზმანებას.

გრძნობა ხიბლისა აღარ ებადა,

სძრავდა მას გველი გახსენებათა,

გულს სინანულის კვნესა ულხინდა

და ყოველივე ეს საუბრიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამოსჭვიოდა მთელი მშვენებით

ჯერ მიცბუნებდა მასთან კამათი,

მერე მომნუსხა თავისთავად

მახვილი ენით, მჭევრმეტყველებით

ლაღ ხუმრობაში გესლის გარევით

და ლვარძლიანი ეპიგრამებით

XLVII

ხშირად როდესაც ძალზე ნათელი

და გამჭირვალე ღამე ზაფხულის

იდგა ნევაზე ათინათებით,

როცა არ იყო გამოსახული

დიანა წყალის მცინარ მინაზე,

ჩვენ ძველ რომანთა სიტკბო, სინაზე

გვახსენდებოდა ტრფობა და წარსული და

ისევე ვიყავით ახალგაზრდულად

მგრძნობიარენი და მოლხენილნი,

სუნთქვა ღამისა ჩუმად გვატკბობდა,

და ვით ტუსაღი სატუსაღოდან

სიზმრად ხშირ ტყეში გადმოფრენილი,

ოცნებით ასე ბევრჯერ ჩავეშვით

ჩვენი სიცოცხლის ლურჯ სათავეში.

XL VIII

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სასოწარკვეთით შუაღამისას

ფიქალურანიტზე მკლავდაყრდნობილი

იდგა ევგენი, როგორც თავისთავს

ერთ პიიტი ხატავს ცნობილი.

ყრუ სიჩუმეში, მხოლოდ ხანდახან

ღამის გუშაგნი ერთურთს ხმამაღლა

გადასძახოდნენ და შორს დროშკებიც

არღვევდნენ დუმილს დროგამოშვებით

ბაიდა ობლად ნიჩბების რხევით

მიუყვებოდა მთვლემარე ნევას,

შორს იტაცებდა ჩვენს ყურთასმენას

სალამურით და ლაღი სიმღერით . .

და მაინც ღამის ჰანგთა მოთავეს

ვეტრფით ტორკვატოს ხმატკბილ ოქტავეს

## XLIX

ადრიატიკა ცისფერტალღება,

ო, ბრენტა! არა, განახავთ როდესმე

და შთაგონება კვლავ მეახლება

ოდეს ჯადოსნურ თქვენ ხმას მოვისმენ.

წმინდად არს ცხს მოდგმა მას აპოლონის,

ვუმადლო ამაყ ჩანგს ალბიონის,

ის რომ გამაცნო, ვით მშობლიური.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და იტალიის ღამე ღვთიური

ამავსებს ტრფობით, ამიხდენს სურვილს, -

ნორჩ ვენეციელქალთან დავტკბები,

მის ბაასს და მის ღიმილს გვყვები,

გავწევთ იდუმალ გონდოლის ცურვით

ამიმღერდება მისგან ბაგენი

პეტრარკას ენით- ტრფობის ჰანგებით

L

თავისუფლება არმელოდება?

დროა მოვხედო- მას ვეხვეწები;

ფიქრით ხომალდთა აფრებს ვიზიდავ,

დარს ველი, ზღვისპირად ვეხეტები.

გრიგალმოსხმული, ტალღებსშებმული,

ზღვის მებორიში გადაშვებული;

განავარდებას როდის მოვასწრებ?

როდის გავშორდე ნაპირს მოსაწყენს,

დავთმოსტიქია - ჩემი მოძულე

და შუადღის ზღვის ფრინვით ვილტოლო,

ჩემი აფრიკის ცისქვეშ ვინაღვლო

რუსეთი - მრუმე მწუხრით მოცული,

სადაც ვცან ტრფობა და სივაგლახე,

სადაც ტანჯული გული დავმარხე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

LI

ეწადა ჩემთან ერთად ონეგინს
ნახვა, გაცნობა მრავალქვეყნისა,
მაგრამ გაგვყარა ბედმა ტოლები.
შეხვედრა დიდხანს აღარ გვეღირსა,
მაშინ მოუკვდა მამა მშობელი,
და მის გარშემო გაუძღომელი
მევახშეების შემოკრბა რაზმი,
ყველამ გამოთქვა თავისი აზრი;
ევგენი მათთან კი არ დაობდა
თავისი წილხვედრის იყო ყაბული,
და სთმო სამკვიდრო ადგილმამული,
დანაკლისს დიდადან არ დარდობდა
ან წინათგრძნობის ამცნეს წამებმა
მოხუცი ბიძის გარდაცვალება.

LII

და უცებ, მართლაც, ბიძის ამბავი
მოურავისგან მოსდის ონეგინს,
რომ ბერიკაცი წევს მომაკვდავი -
ნატრული მასთან დამშვიდობების.
გადაიკითხავს წერილს მწუხარეს
და ჩემი გმირი ელვის უსწრაფეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საფოსტო ეტლით გაემგზავრება,

წინასწარ თანგავს გზაზე მთქნარება.

ფულის გულისთვის ელის დღეიდან

ოხვრა-კვნესანი, თვალთმაქცობანი,

(რითაც დავიწყე ჩემი რომანი)

მაგრამ სოფელში როცა შევიდა,

მან მაგიდაზე ცხედარს ბიძისას

დახედა, ვით ხარკს დედამიწისას.

## LIII

მას სამზადისის დახვდა ახლვარი;

ცხედრისკენ მძიმედ გამოემართა

მტერ-მოყვრეთა მთელი ლაშქარი -

ტრფიალი სხვათა განსვენებათა.

როცა დაკრძალეს მიცვალებული,

ხალხი სმა-ჭამას მიძალებული

და მღვდლები ბოლოს ისე წამოვიდნენ

თითქოს საქმეზე მიისწრაფოდნენ.

ჩვენი ევგენი გახდა სოფლელი;

ტყეთა, მიწათა, ტბათა, მინდორთა

სრული მფლობელი. ერთ დროს ვიდრე

ამრევ და მფლანგველად ცნობილი,

და სიხარულით იყო აღსავსე,

ძველ გზას რომ სცვლიდა სხვა რაღაცაზე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## LIV

როდეს სიახლედ ჩვენებოდა

მყუდრო მინდვრები ცვრით გალუმპული,

მუხნარში გრილი მწუხარი ჩეროთა

და ნაკადულის წყნარი ჟღურტული.

მესამე დღესვე მთის და ჭალაკთა

ნახვის სურვილი გაუჩანაგდა.

მერე ძილს გვრიდა მათკენ მიხედვა,

და ბოლოს იგი მწარედ მიხვდება:

თუმცა აქ სევდის, მოწყენის გარდა,

არც ქუჩებია, არც პალატები.

არც ბანქო, არც ბალმასკარადები.

არც ლექსებია და ძველი ხანდა

დაჰყვება უკან ადევნებული.

ვით ლანდი ანდა ცოლი ერთგული.

## LV

დავბადებულვარ, რომ მშვიდ ცხოვრებას,

სოფლის სიყუჩეს ვთვლიდე ედემად

სადაც ჩანგის ხმა უფრო ცხოველდება,

სიზმრებს მიცოცხლებს შემოქმედებად

ყოვლადუცოდველ მოცლის ვნებდები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უდაბურ ტბის პირად ვეხეტები,

Far niente[1] -ს კანონს კი არ ვივიწყებ,

და ყოველდღით მისთვის ვიღვიძებ,

რომ ვიტკბო შვება, თავისუფლება.

ცოტას ვკითხულობ - ძილი მინდება,

არ ვდევ წარმავალს სახელდიდებას.

და განა ასე სულ უზრუნველად

სულ იმოძრაოდ ჩრდილში შემდგარნი

არ გაქრენ ჩემი დღენი ნეტარნი?

**LVI**

სულთ მოგვბართ ტრფიალს, განცხრომას,

სოფელს, ყვავილებს, მინდვრებს, ბაღნარებს!

ჩემს და ონეგინს შორის სხვაობას

როცა ამჩნევენ, მუდამ მახარებს,

რომ არც მკითხველმა გესლის მთხზველმა,

არც რომელიმე გამომცემელმა

ცილისმწამებლურ შედავებისას,

ჩვენთან სახეთა შედარებისას,

არ თქვას უღვთოდ ირონიით

თითქოს ვჯღაბნიდე პორტრეტს საკუთარს.

ვიმეორებდე პოეტს სანუკვარს,

რომ გულგრილი ბაირონივით

თითქოსდა ვერ ვწერთ სხვაზე პოემას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ვხატავთ მხოლოდ ჩვენს პიროვნებას.

## LVII

აქვე შევნიშნავ: ყველა პოეტი

შორით ტრფიალის მეგობარია.

ზოგჯერ საყვარელ საგანს ვპოვებთ

სიზმრად და მალულ შემოგვპარვია

სულში იდეალსა ხელდწვეულო.

შემდეგ მუზისგან გაცოცხლებულო.

რა უზრუნველად ვწერთ ყველაზე:

მთელს სულზე, ჩემს იდეალზე.

სალვირის პირულ ტყეღმნილ ქალებზე.

დღეს მოყვასთაგან ხშირად ჩამესმის:

---

1 უსაქმურობა

"ვისი მონა ხარ, ვისი ალერსის,

შენი წუხილი ვისთვის გალექსეს?

ეჭვიან ქალთა დინგში რომელი

სცან ღირსად შენი საგალობელის?

## LVIII

ზეშთაგონება ვინ აგიღელვა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მზერითდა ნაზი მოალერსებით?

ვის აღმერთებდი შენი ლექსებით?"

ვის აღმერთებდი შენი ლექსებით?

ო, მეგობრებო, არვის, ღმერთმანი!

ტრფიალის შმაგი ვნებათყვეთანი

გამოვიცადე გაუთავებლად

ნეტარ არს იგი, ვინც უთამებდა

სიყვარულს რითმებს და გაიგო

მან სიყვარულის წმინდა ბოდვები;

პეტრარკას კვალდ თავგამოდებით

დაგვა გულისა გაიიღო,

და თან დიდება სცნოსასურველი;

მე ტრფობითვიყავ მუნჯი, სულელი.

LIX

ტრფიალი გაქრა, მუზა მოკვდა,

ბნელი გონება მისგან განათდა.

მოკლული თავშეყრა ისევ მომინდა

გრძნეულბგერათა, ფიქრთა, განცდათა;

ვწერდა არგმინავს გული გვემული,

შეწყვეტილლექსთან აზრდა ბნეული

აღარახატავს წვერი კალმისა

არც ფეხებს, აღარც სახეს ქალისას.

და ვნაღვლობ, ვნაღვლობ ცრემლებგამშრალი;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩამქრალი ფერფლი ვეღარ იალებს,

მალე ნაკვალევს ნაქარიშხალევს

სულმოთქმულად წარიშლის სული მაშვრალი:

მაშინ დავიწყებ დაუყოვნებლად

ოცდახუთ ჰანგად ახალ პოემას.

## LX

ვიფიქრე გმირს სახელს დავანათლებდი

და გეგმა ვაგე დამაფიქრველი,

ჩამოვათავე კიდეც მანამდე

ჩემი რომანის კარი პირველი.

გადავიკითხე მკაცრად მაშინვე,

მრავალი ნაკლი აღმოვაჩინე,

მაგრამ სწორება არ მომესურვა.

გავუსწორდები თვითონ ცენზურას;

ჟურნალისტებსაც დარჩი საკვებად

ნაყოფო, ჩემო ნაღვაწ-ნაშრომო,

გასწი ქმნილებავ, ახალნაშობო,

ნევის ნაპირებს გაჰყევ საქებად

და მომიხვეჭე ღირსი დიდება;

მითქმა-მოთქმა და ლანძღვა გინება!

## თავი მეორე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

**O rous!**

**Ho r.**

ო, სოფელო!..

ჰორაციუსი (ლათ).

I

ევგენის სადაც ლევდა მოწყენა,

ულამაზესი გახლდათ სოფელი;

ვინც უწყინარი ლხენის მოძმეა

ღმერთს იქ შესწირავს სამადლობელს.

ბატონის სახლი განზე გამდგარი,

რომ იფარავდა მთა ქარსაფარი,

გადასცქეროდა მაღლით მდინარეს,

ველებს ფესანგადანაბრდღვიალებს.

შორს ოქროსფერი ენთო ყანები,

კრთოდნენ სოფლები და ფშან-მინდორთა

მწვანეზე ჯოგი ძოვით ვიდოდა,

და ხშირი ჩრდილის შემომლმები

ჩანდა ვერხვნი, ვრცელი ბაღნარი,

მწუხარ დრიადთა თავშესაფარი.

II

ციხე-დარბაზი პატივსადები,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც სჩვეოდა თერთმეტის შენება.

მკვიდრად დგას დონჯი დიყონაგები,

ბრძნული სიძველის ეცხომშვენება.

სავანეები ერთობ მაღლები,

სასტუმროა ტბის შემოსავლები,

ყველა კედელზე მეფე უფალი,

ღუმელი ჭრელი დანაჩუქურთმალი.

ეს ყოველივე უკვე დაძლევდა,

არ ვიცი მაინც რისი ბრალია;

და ჩემს მეგობარს, რაც მართალია...

არ ეპიტნავა მათთან გაძლება.

იგი მთქნარებით ერთად ავსებს

ძველსა და ახალმოდის დარბაზებს.

## III

მან ჭერად მისი ბინა ინება,

სოფლად ცხოვრება ვინც გამოსცადა,

ორმოც წელს ფარუშ ქალს აგინებდა,

მზერდა სარკმელს და ბუხრებს ხოცავდა.

სადას და მუხის იატაკიანს

ოთახს, ბუმბულის დივანს, მაგიდას

და წყვილვარდას, რაც თვალს ხვდებოდა,

მელნის წინწკალიც არ შეხებოდა.

ერთ კარადაში ხარჯის რვეული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვაში მან ნახა ბლომად სასმელი,

სურები ვაშლის წვენით სავსენი

და კალენდარი რვაწლისეული:

ბიძა ოჯახზე ზრუნვას გადაჰყვა,

სხვა წიგნის აღარ სურდა დანახვა.

IV

მამულში მარტო რომ დაემკვიდრა,

გართობის გარდა, რას დაგიდევდათ

და მან პირველად დღეს მოიფიქრა

ახალი წესის დასამკვიდრებლად

ვით უდაბნოში ბერად შემდგარმა

ბრძენმა ძველი და მძიმე ბეგარა

შესცვალა იოლი გადასახადით,

ბედს ალოცა მონა ლაღადით

სამაგიეროდ ის მტრად იხედა

გულმწყრალი მეზობელი, ანგარიშიანს,

ვინც მის საქციელს ავად ინიშნავს,

ზოგმა მზაკვრულად ჩაიხითხითა,

და იგი ერთხმად შეთანხმებულად

ჩასთვალეს საშიშ შექანებულად

V

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერ ხშირად ჰყავდა სახლში სტუმრები,

მაგრამ შინაყმებს მისგან ებარათ

უკანა კართან მათ ჩვეულებრივ

დონური რაში რომ მოეგვარათ

რა წამს შარაზე დროგის ხმაურის

ხმას შეიცნობდნენ შორით მსახურნი, -

ნაწყენი ასეთ შეურაცხყოფით

განზე გაუდგა ყველა ნაცნობი.

- ვიღაც ბრიყვია, გადარეული,

სულ წითელ ღვინოს სვამს ფარმაზონი,

მარტო ჭიქაა მისი ამფსონი.

ხელზე არ კოცნის ქალებს ველური;

"დიახს" ვერ ამბობს "ხოს" იმეორებს.

ერთხმად ამბობდა ყოფილ მეგობრებს.

VI

სწორედ იმ ხანად თავის სოფელში

ეტლით მოჭენდა სხვა მებატონეც,

და მისი ქცევაც სამეზობლოში

განსჯის გარეშე არ მიატოვეს.

ვლადიმირ ლენსკი მათთან სახლდება,

გეტინგენელის სრული სახება,

ლამაზი, თითქმის დაკაცებული,

პოეტი, კანტით გატაცებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან გერმანეთით ნისლით ნაბურით

წამოიმძღვარა სიბრძნე ევროპეთში

ლაღ ოცნება, რწმენა, ნუგეში,

სული ფიცხი და თან უცნაური,

სიტყვა - მგზნებარე გულის ძახილი

და შავი თმები მხრებზე დაყრილი.

### VII

საწუთროს ცივი, ბილწი შხამგესლით

ჯერ არ მოესწრო ყრმა კაცს დაზრობა,

მოძმის სალამით, ასულთა ალერსით

გაეთბო სულის ახალგაზრდობა.

იყო სათუთი და გაუწვრთნელი,

ასულდგმულებდა რწმენა გულწრფელი;

ქვეყნის ბრჭყვიალს და ხმაურს მონებდა

ჯერ კიდევ მრწემი მისი გონება.

და დაეჭვებას გულის მოძცარავს

იქრობდა იგი ტკბილი ოცნებით

მისთვის მიზანი ჩვენი ცხოვრების

ჰგავდა მიმზიდველ რთულ მოცანას,

მისთვის იტეხდა თავს განსწავლული,

და მითიეჭვა მან სასწაული.

### VIII

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მტკიცედ სჯეროდა, სულთნათესავს
შეიერთედა კეთილსულთვით
სწამდა - იწოდა წმინდა არსება
მისი ყოველდღე ნახვის სურვილით
მისი ლოცვების გამობრწყინვილთა
ღუბას ირჩევდა გული ძმობილთა,
არშეკრთებოდა მათ მარჯვენა
ცილისმწამებლის მძიმე სასჯელად
სწამდა, რომ დგანან ხვედრითრჩეულნი
ადამიანთა წმინდა თავდებად
რომ მათ კერო, ვითევდავება,
თვალსმომჭრელდგაჩაღებული
სხივეს ოდესმე ჩვენც მოგვაშუქებს
და მთელსამყაროს შვებას აჩუქებს.

IX

მას აღშფოთებამ და სიბრალულმა,
სიკეთისადმი წმინდა ტრფიალმა
და განდიდების ტანჯვამ საღბუნმა
სისხლი აღუღვა აუჩქრიალა.
ჩანგითმოხეტის მაშინ ელოსა
ცა გოეთესი და შილერისა
თავს დახურვოდა მათთან საერთო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სული პოეტურ ცეცხლითა ენთო

და ხელოვნება სვებედნიერმა

არ შეარცხვინა დიად მუზათა:

შემოუნახავს ზვიადს ულევავად

მარადმაღალი განცდის სიმღერა.

ძალი სპეტაკი ნატვრითქროლების

და ბრწყინვა ზვიადფრთოლების.

X

ტრფიალს უმღერდა ყმა სიყვარულის

და მისი ლექსი იყო ნათელი,

როგორც ფიქრები სათნოქალწულის,

როგორც სიზმრების გზა ყრმობამდელი,

როგორ მშვიდად ცაზე მთვარე ფერმკრთალი

ხვაშიადის და ოხვრის ღმერთქალი.

უმღერდა იგი გაყრას ნაღვლიანს,

რაღაც ბუნდოვანს, სივრცეს ჯანღიანს.

რომანტიკული ვარდის ტრფიალი

უმღერდა იგი ქვეყნებს შორეულს,

სადაც ხანგრძლივად ცრემლს მორეულს

ყრუ სიჩუმეში ღვრიდა მტრედი;

სიცოცხლე მჭკნარად ესახებოდა,

ოდეს თვრამეტი წლისა ხდებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XI

იმ უდაბნოში მარტო ონეგინს
შეეძლო მისი ყადრი სცოდნოდა,
ლენსკის ბუნება ახლოსოფლელების
ბატონთა სურვილს ვერ ეწყობოდა.
არ დარჩენილა მათთან საუბრად
ბრძნული ბაასი როცა გაუბამთ
თივაზე, მწევართა სადგომ-ბაგებზე,
ღვინოზე, ახლონათესავებზე.
და, რა თქმა უნდა, მათ მსჯელობა
არც პოეტური აზრით ცხოველით
არც ხელოვნებით ერთად ცხოვრების,
არც სიმახვილით განირჩეოდა,
მაგრამ ბაასში მათ ცოლები
იყვნენ მით უფრო საბრალოები.

XII

მდიდარ და ლამაზ ლენსკის იწვევდა,
როგორც სასიძოს, ყველგან ხალისით
სოფელი ადათს არ ივიწყებდა;
ყველას ასული სწამდა თავისი
ნახევრად რუს კაცს რომ გაჰყვებოდა;
მისი შესვლისას ეხერხებოდათ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიტყვის წარმართვა სულ სხვა რამეზე,

ცალდცხოვრების სივალდეზე:

სუფრა უხმობდა მათ სამოვარით,

დუნია როცა სასმისს უვსედა

"მიჰხედე!" - ვიღაც ჩასჩურჩულებდა.

ბოლოს გიტარას გასათხოვარი

ზედ ჰკნავლებდა (ჰოი გამჩენო!):

"წამოდი, ოქროს კოშკი გაჩვენო!. . ."

XIII

მაგრამ არ სურდა, ცხადზე ცხადია,

ლენსკის ცოლქმრული უღლის მორგება,

გულწრფელი გრძნობით მოიწადინა

მან ონეგინთან დამეგობრება.

შეხვდნენ ერთმანეთს. ტალღა ტანისგან,

ლექსის პროზისგან, ცეცხლი ყინვისგან

არ იყო მათებრ განსხვავებული

და ჯერ სხვაობის ზღვარგავლებული,

ერთურთისათვის მოსაწყენები,

ძლივს შეეთვისნენ, მერე ურყევად

განუშორებლად და განუყრელად

დასეირნობდნენ ერთად ცხენებით

და ასე (ცოდვა ახლაც მანაღვლებს)

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხალხს უსაქმობა აამხანაგებს.

## XIV

ის მეგობრობა, რაც მათ გააჩნდათ
დავგმეთცრურწმენად ძველჩვეულებად
ნულებადვნათლავთყველას აშკარად
და მარტოჩვენს თავს - ერთეულებად
თვალს ნაპოლეონს ყველა ვუსწორებთ '
მილიონობითორფეხს ვუწოდებთ
პირუტყვებს და ვთვლითიარაღად
დავცინითნამდვილგრძნობას ამაყად
ევგენი იყობევრზე ფაქიზი,
თუმცა იცნობდა კაცთა სიავეს,
ზიზღითუმზერდა ადამიანებს,
მაგრამ (კანონს აქვს გამონაკლისი)
იცოდა ზოგის ყადრი, ღირსება
და სხვისი გრძნობის პატივისცემა.

## XV

ლენსკის უსმენდა იგი მდუმარი.
მგოსნის მსჯელობა ალმოდებული,
გონება ჯერა ზრდაუღვინარი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მზერა მუდამ შთაგონებული -

ონეგინისთვის იყოს ახლოს;

და არ უნდოდა მისი სილაღე

პირს მომდგარ ცივი სიტყვით ჩაექრო.

ფიქრობდა: ფუჭად რად ვაპაექრო,

არ გავუმწარებ წუთს ნეტარების;

ჟამი მოუვა მას უჩემოდაც,

ვიდრე ცოცხალი არს, დაე სჯეროდეს

ქვეყნიერების სრულყოფილების,

შერჩეს, ყრმა ვიდრე დავაჟკაცდება,

ყრმული ბოდვები და აღტაცება.

XVI

ცხარე კამათის გასაჩაღებლად

მათ საფიქრალი ჰქონდათ სამყოფი;

ძველ ტომთა ზავი, გაჩანაგება,

ღვარძლი, სიკეთე, ცოდნის ნაყოფი.

ცრურწმენა ბნელი და ასწლოვანი,

საბედისწერო სამაროვანის

იდუმალება, ხვედრი, საწუთრო,

არ ელეოდათ ზღვა სასაუბრო.

პოეტი გზნებით თავდავიწყებით

აზრში ურთავდა ზოგჯერ ვნებიან

თავებს ჩრდილოურ პოემებიდან;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩვენი ევგენი, მცოდნის ღიმილებით

მის ნათქვამს თუმცა ცოტა უჯერებდა,

ყურს მაინც მთელ გულით უგდებდა.

## XVII

მაგრამ მწველ ვნებებს უფრო მონებდა

გონება ორი მეუდაბნოვის.

და ონეგინი მათ იგონებდა

ნიშნად მშფოთვარე დღეთა გამოვლის

უნებური ოხვრით და დანანებით

ნეტარ არს, ვისაც მათ ალები

სწვავდა და ბოლოს გვიან გაშორდა;

ნეტარ არს, ვინც მათ არ სცნობდა,

ვინც ანელებდა ცეცხლს განშორებით

მტრობას - ძაგებით თან ამთქნარებდა -

ცოლთან და თავის ამხანაგებთან,

ეჭვი არ კლავდა აღმაშფოთები

და კაპიტალი მამა-პაპათა

ბედოვლათურად არ გაფანტა.

## XVIII

როდესაც ალამს შევეფერებით

კეთილგონივრულად სვენებისას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როცა ჩაქრება ცეცხლის ალები

და გაგვაცინებს გახსენებისას

ვნება-თავნება, ნაგრიგალევი

და მასზე ბჭობა ნაგვიანევი, -

სიმშვიდეს ვპოვეთ ბევრის მომსწრენმა,

ახლა ხანდახან გვიყვარს მოსმენა,

მღელვარედ მეტყველს სხვათა განცდების,

მაშინ გვერთვება გული დაცლილი.

ის ხეიბარი ბერიკაცივით

ვინც ულვაშმწვანე ახალგაზრდების

მონათხრობს უსმენს პირდაბჩენილი,

თავის ძველქოხში მწირად შთუნილი.

XIX

მაგრამ მგზნებარე ახალგაზრდობაც

ვერასგზით შესძლებს რამის დამალვას,

ტრფიალს, სიხარულს, დარდს, ავკაცობას

უცებ გაამხელს, წამში დალევს.

ტრფობის ხეიბრად დგას დაქცეული,

იჯდა ზვიადად თავაწეული,

მშვიდად უსმენდა პოეტს ევგენი;

ვით აღსარების მოლოდებელი.

ქაბუკი წრფელად და გულახდილად

სხვას ახედებდა თავის ნამყოფში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ევგენიმ მალე მის ნაამბობში

გრძნობათ სიუხვით იცნო ადვილად

ტრფობის ამბავი ახალგაზრდული,

ჩვენთვის ძველი და ჟამგადასული.

XX

ეჰ, მას უყვარდა, რომლის შემცველი

დღეს სიყვარული აღარსადაა,

რომლის სამსხვერპლოდ ერთ შეშლილი

სულის პოეტი ახლაც მზადაა.

ყველგან, მარადჟამს ერთი ოცნება,

ერთი სურვილის შესისხლხორცება,

ერთი სჩვეოდა სევდა ყოველთვის.

ვერც გამთიშავმა სუსხმა შორეთ,

ვეერც უცხოეთის მშვენიერებამ,

ვერც განშორების წლებმა ხანგრძლივმა,

ვერც მუზებისთვის დროის განწირვამ,

ვერც ლხინმა და ვერც მეცნიერებამ

შესცვალეს მისი მიუსაფარი

სული - სპეტაკი ცეცხლითგამთბარი.

XXI

ჯერ გულუბრალო, გამოუცდელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოხიბლა იგი ოლღამ ყრმობისას,
თან ახლდა ასულს სათნო, გულწრფელი
მოწმე ბალღური ონავრობისას.
მუხნარის ჩრდილში მასთან დარბოდა,
მასთან ლაღობდა, დანავარდობდა,
მათთვის მეზობლებს, მამებს ენებათ
მალე სწვეოდენ ბედნიერება.
კდემამოსილი და სხივოსანი
კრთოდა უღრანის წყნარსავანეში,
ჰყვაოდა ოლღა მშობლის თვალებში,
ვითხშირბალახში ნაზი სოსანი
ჩუმად მალულად შუქის მჩენელი,
პეპლის და ფუტკრის შეუმჩნეველი.

XXII

პოეტმა მან უძღვნა ყრმობის საამო
პირველ სიზმრითა ლურთვანება,
მან შთააგონა მგოსნის სალამურს
პირველ კვნესითა ხმოვანება.
და ჰა, ბავშვობის წყდება თამაში!
შეუყვარდება ყრმას ხშირჭალაში
განმარტოება და სიჩუმეში
ვარსკვლავების და მთვარის ნუგეშში.
მთვარის, უსაზღვრო ზეცის კანდელის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შუქს მივუძღვნით ღამის მრავალ

გასეირნება და ის ალალი

ცრემლი - იდუმალ დარდის მფანტველი. . .

ახლა ჩვენს თვალში მთვარე რა არის?

მხოლოდ შემცვლელი მკრთალი ფანარის.

XXIII

ამკობდა კდემა და სათნოება,

დილასებრ იყო სავსე ხალისით,

გულღია, როგორც მგოსნის ცხოვრება,

ვით სიყვარულის კოცნა ხალასი.

ლაჟვარდისფერი ლურჯი თვალები,

ხმა, სელისებრი ზულფ-დალალები,

მიმოხვრა ტანის ჰაეროვანი

ამკობდა ოლღას, მაგრამ რომანი

ჯერ არ შექმნილა, მისი იერის

ქალი რომელმაც არ დაგვიხატა;

მეც ის პორტრეტი ძლიერ მიყვარდა,

მაგრამ, მკითხველო, იმ მშვენიერის

ვტოვებ მოსაწყენ დასურათებას

და ვუთმობ უფროს დას ყურადღებას.

XXIV

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერქვა მის უფროს დას ტატიანა...

და ამ სახელით პირველს ლუქდება

ჩემი რომანის ფურცლებს ფრიალებს,

როგორც მწადთა ისე კურთხევა.

რა უშავს? არის კეთილხმოვანი,

მაგრამ მას, ვიცი, ერთვის ხსოვნანი

შორი წარსულის ან სიქალწულის!

უნდა გამოვტყდეთ, რომ დასაწუნი

გვაქვს სახელებიც და გემოვნებაც,

(ლექსები რაღა სახსენებია):

ჯერ განათლება არ შეხებია

კვალდასამჩნევად ჩვენსავ გონებას,

და მისგან დაგვრჩა ავადსაცქერი

პრანჭიაობა, - სხვა არაფერი.

XXV

ამრიგად ერქვას მას ტატიანა,

იგი არც წითელ ლოყათა ხასხასით

არც სიხალისით თვით ოლღასთანა,

არ მოგტაცებდა თვალს სილამაზით

მორცხვი, სევდასთან მარტოდშთენილი,

უტყვი, მშიშარა, მფრთხალი შველივით

მშობლიურ სახლშიც ფიქრად წასული

გეგონებოდათ სხვისი ასული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედმამას ტკბილად ვერუფერებდა;'

არგაჰყოლია ბავშვებს არასდროს

არც სათამაშოდ არც სანავარდოდ

ბავშვი ბავშვობას ვერიფერებდა.

და ხშირად დღეებს გრიდებული

სარკმელთან იჯდა გარინდებული.

XXVI

ფიქრიანობა მას აკვნიდანვე

არშორდებოდა, როგორც დობილი,

სოფლის ცხოვრება უქმად მდინარე

ახლდა ოცნებითშემამკობელი.

უფაქიზეს, ნასათუთევი,

ნემსსშეჩვევი მისი თითები

ვერაცოცხლებდა სახლში შრომისას

ტილოზე ნაყშებს აბრეშუმისას.

ბავშვს მბრძანებლურინ ყათა ემჩნევა,

როდესაც თავისი მორჩილტიკინას

თამაშითაჩვევს ქცევებს რიგიანს,

მაღალწრის წესებს მასთან ეჩვევა,

მას ზვიადურად ენაგაკრეფით

ასწავლის დედის ყველა გაკვეთის.

XXVII

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ ტანიას ბალღურასაკში

ტიკინა ხელში არ ჰკავებია

არც მართავდა ბაასს: ქალაქში

რა მოდებია და რა ამბებია.

ბავშვურ ცეტობას ვეღარ უთმობდა;

გაფაციცებით ხარბად უსმენდა

საშინელ ამბებს ღამით ზამთარში,

გული რჩებოდა ნათქვამ ზღაპარში. . .

როცა ოლღასთან სოფლის ბავშვობას

შეკრებდა ძიძა ფართო მდელოზე,

იგი სტოვებდა ტოლ ანგელოზებს,

და ჭერობანას არ თამაშობდა,

თავს აბეზრებდა ბავშვის მხიარული

მათი ხმაური და ჟრიამული.

## XXVIII

რა რიგ უყვარდა მას აივანზე

მზის შეგებება აღმოსავალის,

როცა ფერმკრთალ დასალიერზე

წყდება ფერხული ვარსკვლავთ ამალის,

როცა ნათელი ხმელეთს შემოსავს,

ქარი გვაუწყებს დილის შემოსვლის

და დღე თანდათან დაიბადება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზამთარში, როცა ჩრდილო ადგება

ნახევარსფეროს შავად ნალვენთ,

ქვეყნის ნაწილი თვლემს სიწყნარეში

და ნისლმოხვეულ მთვარის არილში

ისვენებს ზანტი აღმოსავლეთი.

ჩვეულ დროს, ძილში უკვე კრთებოდა,

იგი სანთლების შუქზე დგებოდა.

## XXIX

ადრე იწონებს იგი რომანებს

და სხვას არაფერს აღარ ისურვებს,

თავს შეაყვარებს, აღფრთოვანებას

რიჩარდსონის და რუსოს სიცრუეც,

მამამისს კეთილს, სანთოგულისას

და მძევალს წარსულ საუკუნისას,

წიგნებზე ცუდი არ დასცდენია,

თუმცა დრო კითხვით არ გასცდენია,

მათ სათამაშოდ თვლიდა ბავშვთათვის

და არც ეძებდა, თავის ქალიშვილს

რა საიდუმლოედ ბალიშქვეშ

მთვლემარე ტომი გარიჟრაჟამდის.

ცოლი მეუღლეს სულაც არ ჰგავდა,

რიჩარდსონისთვის ჭკუას კარგავდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XXX

შეჰყვარებია ქალს რიჩარდსონი,

არა მისთვის რომ კითხვითგარჯილი

და არა მისთვის, რომ გრანდისონი

რამე ლორდებითლოველასს არჩია,

არა! მოსკოვის მკვიდრმა ალინამ -

თავადის ქალმა დიდაშვილმა

მათ გარები ბევრჯერგაბუქა,

როცა ჯერკიდევ ქმარი არერქვა

მის ძალდასაქმროს, როცა თავის დროს

ოხრავდა სხვაზე, როცა გონება

და გული მისი სხვას იწონებდა,

შორითეტრფოდა იგი გრანდისონს -

გვარდიის სერჟანტს განთქმულს ფრანტობით,

ბანქოს თამაშით დარდიმანდობით

XXXI

სატრფოს ბაძავდა მოდურსამოსით

მუდამ მშვენივრად კოხტად ჩაცმული,

მაგრამ არც უთქვამს აზრი თავისი,

დააქორწინეს ხვაზე ქალწული.

მისი წუხილის განსაქარვებლად

ცოლთურთმალე გამეგზავრება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭკვიანი ქმარი თავის სოფელში,
სადაც დასჩემდა ქალს უცნობებში
ცხარე ქვითინი, მოთქმა პირველად
გაყრა არჩია მეუღლეობას,
ბოლოს მიხედა მეურნეობას,
შეჩვევითიგრძნოკმაყოფილება.
ჩვენც ზენაარის მადლითშეგვრჩება
ბედნიერების ნაცვლად- შეჩვევა.

XXXII

შეჩვევა - მისი სევდის მკურნალი
მოურჩენელსაც შესძლებს მორჩენას,
და დამშვიდდება ქალი სულმალე,
როცა მიაკვლევს დიდ აღმოჩენას:
უსაქმობის და საქმის შუახანს
ცოლს რაღაც ფანდი გამოუნახავს,
რითაც ესურვა ქმარზე ემეფა
და აღისრულა, რაც მას ენება:
სამუშაოებს მხნედ უძღვებოდა,
ამარილებდა სოკოს ზამთრისთვის.
თავს იცხელებდა ხარჯის დავთრისთვის,
შაბათს აბანოს უნდა სწვეოდა,
მოახლეს სცემდა გაანჩხლებული,
ქმრის უკითხავად განსჯას ჩვეული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXXIII

ნაზქალწულებთან ერთდროს ჰქონია

ალბომში სისხლთწერის უნარი

და პრასკოვიას ხმობდა პოლინად

ამღერებული ხმითმოუბარი...

კორსეტი იყოგამოუვართული

და რუსულH -ს მსგავსადფრანგული

N-ის გამოთქმა ცხვირითძალუძდა,

მაგრამ სულმალე ყალბი გაუწყდა:

კორსეტი, თავადის ასული ალინას.

ალბომს, ვნებიან ლექსთა რვეულსაც

ივიწყებს იგი და ძველებურად

ისევ აკულვადნათლავს სელინას,

და ბოლოს, თუმცა დოლბანს ინახა,

ჯუბა და ჩაჩი ძლივს განიახლა.

## XXXIV

მაგრამ ქმარს ცოლი წრფელად უყვარდა,

ქალს გასაქანი მისაც ხალვათ,

მისი ყოველმხრივ სწამდა უნაღვლოდ

თვითონ ჭამა-სმადიჯდა ხალათით

სდევდა დინებას მშვიდი ცხოვრების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ხშირად მათთან სალმობიც

უტარებიათ კეთილმეზობლებს,

ცერემონიას უჩვევ მეგობრებს;

დარდს იქარვებდნენ, დროს ამაგებდნენ.

სხვათა კილვაში და მასხრობაში

ვიდოდა ჟამი, ამსობაში,

"ოლგა, დაადგი ჩაი", - ბრძანებდნენ,

და ვახშმის შემდეგ, ძილნატრულები

გადიოდნენ ეზოს სტუმრები.

XXXV

წყნარი ცხოვრების გზაზე მშვენიერ'

წარსულის წესებს ვერელეოდნენ,

ისინი ყოველ მსუყე ყველიერს

რუსულ ბლინებს ეგებებოდნენ;

ყოველწელს ორჯერ მარხვის ერთგულნი

სუფრულ სიმღერებს ცვლიდნენ ფერხულით,

უყვარდათ მრგვალი საქანელები;

და სამება დღეს მათხოვრულები

როცა უსმენდნენ წირვას მთქნარებით

ისინი სხივებს განთიადისას

დააპკურებდნე სამ ცრემლს ფაქიზად

ბურახს ხაფავდნენ მსგავსად ჰაერის,

და მოყვარულნი სტუმართმილების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კერძებს აწვდიდნენ ჩინის მიხედვით

XXXVI

სიბერეს ნახეს მათ ერთმანეთის

და ბოლოს ის დღეც დადგა რიგივით

ქმრის წინ გაიღო კარი შავეთის, '

იხილეს იგი ახალგვირგვინით

მან სადილს წინ დასთმო ქვეყანა

და მეზობლებთან ერთად შეყარს

ქალიშვილები, ცოლი ერთგული -

ყველაზე წრფელად დატირებული.

ბატონი იყო გულმინდილი

და სადაც მისი ნეშტი ისვენებს,

საფლავის ძეგლი ასე იხსენებს:

ამა ქვის ქვეშე, მწირი ცოდვილი

მონა უფლისა და ბრიგადირი

არს სასუფეველს დიმიტრი ლარინი.

XXXVII

თავის მამულში დაბრუნებული

ვლადიმირ ლენსკი ძეგლს მეზობლისას

მოინახულებს და უნებური

ოხვრა დასცდება ნიშნად გლოვისა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიდხანს უკვნესდა გული ტკივილით

ბოლოს Poor Yorick - თქვა სიმძიმილით

ბევრჯერ ვჭერივარ ხელში, რომლისაც

მის მკერდზე მედალს ოჩაკოვისს

ვათამაშებდი ბალღი პატარა;

მე მიბედებდა ოლგას ნეტარი,

მოვესწრები იმ დღეს ნეტავი?. . .

და უწმინდესი სევდის ამარა

ლენსკი იმავე წუთში ნაფიქრალს

საფლავის ქვაზე დასწერს მადრიგალს.

XXXVIII

და იგი იქვე ცრემლითდალრული

წარწერას უძღვნის დარდითაღსავსე

მშობლების სამარხს პატრიარქალურს. . .

ვაჰ, რომ საწუთროს ნაკვალნახნავზე

წუთით იმკება ყველა თაობა,

რომ იდუმალი გარდუვალობა

მათ ზრდას, მწიფობას, კვდომას აგვარებს,

სხვები მისდევდნენ ძველთა ნაკვალევს

და ჩვენი მოდგმაც ქარიფანტა

იზრდება, ღელავს, დუღს და წრიალებს,

კუბოსკენ ხიზნავს ცოცხალწინაპრებს.

მალე ჩვენი დროც მოვა, ცხადია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და შვილთა შვილთა და იმედებით
წუთისოფლიდან განვიდევნებით!

XXXIX

ჯეროვანად ტკბილად შეირგეთ
ძმებო, მსუბუქი ჩვენი ცხოვრება!
არარაობა მისი შევიგნე
და შეგუება მეუცხოება:
ჩვენებებს ვდევნი თვალდახუჭული,
მაგრამ იმედის შორი ჩურჩული
გულს მიფრთხიალებს ზოგჯერ ჩვევად
წუთისოფლიდან კვალდაუმჩნევლად
წასვლაზე ფიქრი მავსებს ნაღველით
ვცოცხლობ, ვწერ განა განდიდებისთვის,
მაგრამ მე ჩემი მწარე ხვედრისთვის
მეწადა, ვგონებ, მეტი სახელი,
რომ მხოლოდ ერთი ბგერა წარმტაცი
დამრჩეს ხსენებად როგორც ძმაკაცი,

XL

ვიღაცას გულზე მაინც მოხვდება
და ქვეყანაზე ბედდაშთენილი,
ალბათ ლეთეში არ აღმოჩნდება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სტროფი ლექსისა ჩემი შექმნილი.

ალბათ (იმედად დესეც ბევრია!),

შემდეგ მოსული იტყვის ხევრია,

შემყურე ჩემი ცნობილ პორტრეტის:

ჰო, მაგრამ მადლი სცხია პოეტის!

მიიღე ჩემის სამადლობელი

ტრფიალოწყნარი ანოიდების,

ვის ხსოვნაშიაც ამოვიჭრები

ჩემი ფრთამალი საგალობლებით

ვინც გადაუქვამს ხელს და დაიცავს

გვირგვინებს ერთ ბერიკაცისას!

## თავი მესამე

ქალწული იყო, შეყვარებული (ფრანგ.)

მალფილატრი

"საით? ჰო, რა ხართ თქვენ პოეტებო!" -

"ნახვამდის. დროა, წავალ, ონეგინ". -

"არ გიჭერ, მაგრამ თქვი, სად გეძებო,

სად გილხინდება საღამოები?"

"ლარინებთან ვარ". - "ძალზე კარგია,

მაგრამ, გეთაყვა! მძიმე ხარჯია

ყველა საღამოს იქ დაღამება?" -

www.PDF.ChiaturaINFO.GE

"ოდნავაც არა" - "მიჭირს გაგება.

აქედან მათვენ რომ ვიყურები,

ცხადად ჩანს (გჯერა ჩემი ნათქვამი?)

უბრალო რუსულ ოჯახთაგანი,

სადაც ძალიან უყვართ სტუმრები,

მურაბა, ბჭობა სოფლის ამბებზე,

წვიმაზე, სელზე, ძროხების ბაკებზე..."

II

"ეგ ჯერსიგლახედარმიმაჩნია" -

"ძმაო, მოწყენა არის სიგლახე" -

"შემძულდა თქვენი ხალხი მანჭია,

შინაური წრის ვარმეინახე.

იქ შემიძლია..." - "ისევ ეკლოგა!

უფალს გავედრებ, კარგი, გეყოფა!

რა ვუყოთ, მიხვალ გული მეწვება,

მისმინე, ლენსკი, თუშეგეძლება

შენი ფილიდა რომ ვინახულოთ,

საგანი სენი ფიქრის, კალმის,

ცრემლის, რითმების და სხვა მრავალი.

მიმგვარე". - "ხუმრობ" - "არა, არვხუმრობ".

"წავიდეთ" - "როდის? - "თუნდაც ახლავე

ჩვენი მიღება მათგაახარებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## III

გავწიოთ'.

ორნი ქროლვით ფაცხელთ
მიიჭრენ, სადაც ქეიფს გიძნელებს
ზოგჯერ უთმო გამასპინძლებით
სტუმართმოყვარული ჩვენი სიძველე.
იცავენ სუფრის ცნობილ ადათებს:
დგამენ მურაბით სავსე ლამბაქებს,
ტკბილს - გასანთლულს, სავსე ხელადა
მოცვის ნაყინით შემოუმატა.
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .

## IV

ყველგან მოულე გზაზეც ძალუმად
შინ მიაქროლებს ეტლი მეგობრებს,
ახლა დავუგდოთ ყური მალულად
რას ეუბნება ერთი მეორეს:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

"რაო, ამთქნარებ უკვე, ონეგინ?"

"დამჩემდა, ლენსკი". "უფროლონდები

ახლა, რატომღაც", - "ვარსულერთგვარად

თუცა ველს ბინდი გადაეფარა;

ჩქარა, ანდრიუშკა, გასწი, მოურცხლე!

ეს ადგილები რა ვერანია!

მართლაც უბრალოარის ლარინა,

ძალზე კეთილი, კარგი მოხუცი,

მაგრამ მაშინებს მოცვის ნაყენით

არშემეყაროს რამე საწყენი.

V

რომელი იყოიქ ტატიანა?" -

"აი სწორედის, სევდითმოცული,

და დუმებული, როგორც სვეტლანა,

სარკმელთან და ჯდა გვიან მოსული" -

"ნუთუორთაგან გიყვარს უმცროსი?" -

"რაო?" - "მერჩივნა მასზე უფროსი,

შენებრმგოსნადმქნა, მისთვის ვილოცებ.

აკლია ოლგას სახეს სიცოცხლე,

ვითვან-დეიკის ნახატმადონებს:

პირმრგვალი არის, ლაწვებწითელი,

ვითეს უაზრომთვარე ყვითელი

ამ სულელური ცის კაბადონზე".

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერპასტორ ლენსკი უნდოდა

მერე მთელი გზა იქცა ლექილად

VI

და ონეგინის სტუმრად მიღებამ

ლარინებისას შექმნა საერთო

დაუვიწყარი შთაბეჭდილება,

სამეზობლოშიც ყველა გაერთო

ვარაუდს მოჰყვა ვარაუდები,

ჩუმად მსჯელობდნენ და გამუდმებით

ხუმრობდნენ, ბჭობდნენ ენითცოდვილნი,

ვითომ ტატიანას ბედის მცნობელნი.

ზოგი იძახდა არ ეჭვებით

რომ ქორწინების საქმე მზადაა,

მაგრამ გადასდეს, რადგან მზადაა,

მათთვის ახალი მოდის ბეჭდები.

ხოლო ხალხისგან ლენსკის ქორწილი

ადრევა იყოსვედა ლოცვილი.

VII

უსმენდა ამგვარ ჭორს ტატიანა,

სწყინდა კიდევაც, მაგრამ ფარულად,

შეუცნობელი გრძნობა ეამა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანაზდეულ სცნოსიხარული.

გაღვივდა ფიქრი გულსჩავარდნილი,

დრო დადგა - მოჰყვა ტრფობა ნამდვილი,

ასევე მარცვალს ხნულში ნასვენებს

გაზაფხულის მზე აღმოაცენებს.

დიდი ხანია მის წარმოსახვას,

რომ სწვავდა სევდა, ნნებიერება,

საბედისწეროსა ზრდიენება;

და განიცდიდა განა ცოტა ხანს

იგი საოცარ გულის გმინასაც.

დიდხანს ელოდა სული... ვიღაცას.

VIII

და, ჰა, ეღირსა... თვალთაეხილა,

ქალწულს აღმოხდა: სწორედის არის!

მაგრამ მის გულში დუღდა ცეცხლი

და მარტოობის მწველი სიზმარიც

მისითევსება, მისთვის ლონდება,

მისნური ძალითის აგონდება;

ბეზრდება ტკბილი სიტყვის ღიმილი,

მზრუნველმოხვლის მზერა მალული,

ნებდება ნაღველს, დარდთწამებას,

სევდიანდება ნაზი ასული,

სტუმრებს არუსმენს ფიქრში წასული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და სწყევლის იგი მათ მოცალეობას,

მათ მოულოდნელ, უცბად სტუმრობას,

მათ ჩამოსხდომას, უსასრულობას,

## IX

კითხულობს ახლა რა გატაცებით

იგი ტკბილ რომანს გამაბრუებელს,

რა მომხიბლავად, რა დაწაფებით

სვამს ტყუილს ლამაზს და მაცდუნებელს!

ბედნიერმა, ლოთმა ოცნებამ

სული შთაბერა გასაცოცხლებლად -

სიყვარულისთვის შექმნა ვოლმარი,

მალეკ-ადელი და დე ლინერი,

ვერტერი შმაგი, გაწამებული,

და გრანდისონი, გმირი, რომელიც

გახლავთ უბადლო, ძილის მომგვრელი, -

ნაზ მეოცნებეს მათი კრებული

ყველა ერთ სახედ ექცა მთლიანად

ერთ ონეგინში გაერთიანდა.

## X

ქალიშვილს თავი შეყვარებული

მწერლების გმირად წარმოედგინა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის სულთან იყვნენ შეხამებული

ჟიულია, კლარა, დელფინა.

საშიში წიგნით ტყვედხეტება,

წიგნში დაეძებს, წიგნში შეხვდება

თავის იდეალს და სურვილებს,

გულის სისავსეს ნაყოფს უტკბილესს,

ოხვრით და კვნესით თავისად მიითვლის

სხვის აღტაცებას, სხვის აცრემლებას

და იმეორებს შეუსვენებლად

წერილს მისწერს ძვირფას გმირთათვის...

მაგრამ ის, გმირი მას ვინც ჰგონია

ნამდვილად განა გრანდისონია.

XI

ერთდროს მგზნებარე მგოსანს ემართა -

მთავარი გმირი მისივ ქმნილების

მაღალფარდოვან ენით ეხატა,

ვითარცა ნიმუში სრულყოფილების.

იგი ტრფიალის საგანს უბადლოს

გვაცნობდა, როგორც დევნილს უმართლოდ

ჭკვიანად სახესანდომიანად

სათუთ სულის ადამიანად

და უწმინდესი განცდით დაზაფრულს

გმირის აღტაცება ძალას მატებდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუდამ მზად იყო თავდასადებად

და მუდამ ბოლოს თავის დასასრულს

ბოროტს ხვდებოდა ხვედრი მძლეულის,

კეთილს - გვირგვინი გამარჯვებულის.

## XII

დღეს ბურუსშია ყველას გონება,

ძილს გვგვრის მორალი და განცხრომაში

ბიწიერება გულს ეფინება,

უფრო დიდ ზეიმს მართავს რანში.

ბრიტანულ მუხის იგავ-ზღაპრებმა

ქალწულს და უფრთხობილო-ზმანება

და ახლა მისგან კერპადქმნილი

ან ვამპირია გულჩახრობილი,

ან მელომანია გზად მოწრიალე,

ბრძენი ურია, ანდა კორსარი

ან ხვაშიადთსავსე სზოგარი.

ლორდბაირონის ჟინი ბრწყინვალედ

რომანტიზმისვე ურვას მოასხამს

თვითეგოიზმის უსასობასაც.

## XIII

ძმებო, რას ვპოვებთ აქ სასიკეთოს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეგებ მიპირებს ზეცა მაღალი,

რომ პოეტობა მთლად დამიკვეთოს,

სულს ჩამისახლოს ეშმა ახალი,

და ფუების ზავთა არ დამგდები,

მდაბალ შრომამდე რომ დამდაბლდები,

ძველი ყაიდის რომანს ხალისით

განავრცობს დღეთა ჩემთა დაისი.

არა მრისხანე საოცრებანი

და ავკაცობის ტანჯვა ფარული.

მსურს სადა დგამცნოთ ჟამგარდასული

რუსული კერის გადმოცემანი,

ჯადო-სიზმარი ძველთ სიყვარულის

და წეს-ადათნი ჩვენი წარსულის,

XIV

მამის ან მოხუც ბიძის ნაუბარს

მოგვითხრობთ ახლო ერთობ უბრალოს,

შვილებს შეხვედრის ადგილს დავუთქვამთ

სადაც ბერცაცხვეს წყარო უგალობს;

ალვწერბედთა ეჭვის კირთუბას,

გაყრას, ცრემლიან მათ შერიგებას,

ჯერ წავაჩხუბებ, ბოლოს წყვილები

შეერთდებიან დაქორწინებით

ისევ სიამით გამახსენდება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მწველი სიტყვები ძველი ტრფიალის,

მათ წარმოუთქვამდა გულის ფრიალით

უმშვენიერეს სატრფოს ფეხებთან

უთქმელი ერთიც არ დამრჩენია,

ახლა კი ყველას გადავჩვევივარ.

XV

შენსავით დამდის ცხარე ცრემლები,

შენთან ვტირივა, ო, ტატიანა!

შენივე ნებით შენი სვე-ბედი

ხელთპყრობა ახლა მოდის ტირანმა.

და განწირული, ჯერ იმედების

და მაბრმავებელ ალით ვედრებით

უთმობ სიძნელით მოცულ განცხრომას,

სოფლის სიამის ლამობ გაცნობას,

შხამს სვამ ჯადოსნურს და გსიამოვნებს,

ყველგან ოცნება დაგდევს ნებიერს

და წარმოდგენა ყველგან ბედნიერ

მასთან შეხვედრის ადგილს გაგონებს;

ყველგან ის ჩნდება შენთან უცვლელად

საბედისწერო შემაცდენებლად

XVI

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტრფიალის სევდა ძრავს ტატიანას,

და სადარდებლობაში შესულმა

უცებ დახარა თვალნი მკრთალმა,

ნაზიჯის წადგა აღრესურვა.

მკერდი აზიდა - ნაღვლითა ავსო,

ღაწვნი უცარალთა ლუგზნო,

სმენა დაეხშო, თვალთ გაუბრწყინდა,

სულთქვაშეკრული ღამეს უცდიდა...

ღამეც დადგება, მთვარე გაჰყვება

ცის დასავლეთს, როგორც ებგური,

და ბნელბაღნარში გახელებული

ბულბულის ლაღი სტვენა ჩაღდება,

ტატიანასაც ძილი უფრთხება

და ძიძას ჩუმად ესაუბრება:

XVII

"არმეძინება: ოჰ, რა ღამეა,

მცხელა, გააღე, ძიძა, სარკმელი.

გვერდზე მომიჯექ". - "რა გჭირს, ტანია?"

"წარსულზე თქვი რამ დარდის წამგვრელი" -

"რა ვთქვა, გეთაყვა? ძველთა ნათქვამი

ბევრი მახსოვდა ტყუილ-მართალი,

ამბებს ვყვებოდი ხან ავსულებზე,

ხან ალქაჯებზე და ქალწულებზე;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაიც ვიცოდი, წარსულს მივანდე,

ახლა რას ვხედავ, გარდა სიბნელის

და ჩემი ჯერი სადღაც მიმელის,

დაჩაჩანაკდი"... - "ძიძა, მიამბე,

თქვენდროინდელი, ძველი რაც არის:

მაშინ ტრფიალითიყავ დამწვარი?"

XVIII

"რა თქვი, ტანია, რას გავბედავდით

იმ დროს ტრფიალის წამითხსენებას;

რომ გაეგონა საწყალდედამთილს,

წუთისოფლიდან გამაძევებდა". -

"ვითმოხდა შენი დაქორწინება?" -

"უფალმა, ალბათ, ასე ინება.

ვანია იყოჩემზე პატარა,

მე კი - ცამეტი წლის კაფანდარა.

ორკვირას ვლოდა ჩვენთან მაშვალი,

ბოლოს საშველი როცა არმოგვცა

ჯვარდასაწერადმამამ დამლოცა.

ცხარედვტიროდი შიშითგამშრალი,

ჩამომიშალეს ბავშვ ნაწნავები

და საგალობლითსაყდარს წავედით

XIX

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და აი, უცხო ოჯახს მიმგვარეს...
გატყობ, მოსმენა აღარ გწადია..." -
"ოხ, კარგო, ვარამს რა განმიქარვებს,
გული მელევა, ჩემო გადია.
ქვითინი მინდა, მზად ვარ სატირლად'.
"ავად ხარ, ჩემო ბალღო, ნამდვილად
ღმერთო, მოხედე და შეივრდომე.
რა გინდა შვილო? რამე ინდომე...
კარგია წმინდა წყალის პკურება,
ერთხან იწვი..." "არ ვარ სნეული,
ჩემო ძიძა, ვარ... შეყვარებული" -
"ღმერთმა გარიდოს უბედურება!" -
გამდელი მის წინ იქცა ლოდად
და მიმჭკნარ ხელით პირჯვარს სახავდა.

XX

"მიყვარს", - კვლავ ესმის ძიძას ჩურჩული
და თვალნი ასულს ცრემლით აევსნენ.
"ჩემო ნუგეშო, გთანგავს უჟმური". -
"შეყვარებული ვარ და დამეხსენ".
ამ საუბრისას დისკო მთვარისა
აფენდა მიმკრთალ ნათელს ქარვისას
ნაზ ტატიანას ფერმკრთალ მშვენებას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხრებზე ჩამოშლილ თმების ჩქერებსაც

წვეთებს ცრემლისას და სკამ-სავარძელს

და იმ ყმაწვილი ქალის პირდაპირ

ჭაღარიანი, თავსაფრიანი

ბებრის და ბამბულა გრძელ ტანსაცმელს;

ყოვლისმომცველი თვალებს და სიწყნარე

შთამაგონებელ მთვარის წინარე.

XXI

და ტატიანა მთვარის ცქერისას

გულმინდობილი ცხრა მთას გადავლილი . .

უეცრად აზრის გაელვებისას,

იტყვის: "დამტოვე მარტო, გამდელო

მაგიდა ახლოს მოდგა წასვლამდის,

მომეც კალამი, სუფთა ქაღალდიც.

მალე დავწვები. ახლა ნახვამდის".

და, ჰა, მარტოკა მთვარე დაჰნათის. . .

წერს მაგიდაზე მკლავდაბჯენილი,

თავს დასტრიალებს ფიქრით ონეგინს,

ქალწულურ ტრფობის უმანკოებით

ნაუცბათევი სუნთქავს წერილი.

კეცავს, ბარათი უკვე მზადაა.

თქვი, კარგო! ვისდა ალერსადაა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXII

ვიცნობდი ტურფებს - ხელუკარებლებს,
ცივებს, ვით ზამთარს, და უბიწოებს.
უნგროებს, შეუბრალებლებს,
ჩვენი გონების თვალმიუწვდომლებს.
მათ მოდური უბიაკობა
და ბუნებრივი გულღიაობა
კიდეც მაფრთხობდა, გამოგიტყდებით,
მათ შუბლზე შიშისმგვრელი სიტყვებით
ჯოჯოხეთური დამღა მაკრთობდა:
"სამარადისოდ სთმე იმედი".
სიყვარულს გმობდნენ ავბედითები,
შვებას მატებდათ ხალხის დაფრთხობა.
ნევის ნაპირას მათ მსგავსები,
ალბათ გინახავთ თქვენც ლამაზები.

## XXIII

პირმშვენიერთა თაყვანისმცემელთ
წრეშიც ვხვდებოდი ქალებს უცნაურს, -
თავმოწონებით ცივად ისმენდნენ
ვნებიან ოხვრას და ქათინაურს.
და რა შევნიშნე მათ გაოცებით?
ისინი გულგრილ მკაცრი მოქცევით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯერ აშინებდნენ საოცრის სიყვარულს,

მერე, თითქოსდა გრძნობდნენ სინანულს,

ხმაგანაზებით ლამაზსიტყვებით

შეეძლოთ გულის მონადირება,

მოჩვენებითი მონანიება.

და ყრმა მიჯნური თავდავიწყებით

ბრმად აყოლოდა მათ საოცრებას

მისდევდა წარმტაც ამაოებას.

## XXIV

რა არის ცოდვა ტატიანასი?

ის, რომ არაა ტყუილს ჩვეული

მისი ბუნება ნაღდი, ხალასი

და სწამს ოცნებით გულის რჩეული?

რომ ფანდს ვით არსი სიყვარულისას

არ ცნობს, მორჩილად მისდევს გულისხმას,

რომ არის იგი ასე მიმნდობი,

ღვთისგან აღსავსე მიამიტობით

წარმოსახვათა ამძვინვარებით

გონებისა და ნების სილაღით

თავისებური აზრის სიახლით

სულის სინაზით და მგზნებარებით?

მას განუსჯელი ეს აღტყინება

ნუთუ არც თქვენგან ეპატიება?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XXV

კეკლუცი ქალი განსჯის გულცივად
წრფელია ტრფობა ტატიანასი
და მინდობია უხმოდ უბრალოდ
სიყვარულს, როგორც ბავშვი ხალისი.
იგი არასდროს იტყვის: გადავდოთ
სიყვარულს მეტი ფასი დავადოთ,
ხლართში რომ უფრო ნაღდად გაებას,
ჯერ გავუღვენწლოთ თავმოყვარებას
იმედით, მერე სასოწარკვეთით
გულს წამებად ვლევთ ეჭვებით,
კვლავ გავაცოცხლებთ მოდნათენთ
და ბორკილების მონა მზაკვრი
გამოსასხლტომად მუდამ მზად არი.

XXVI

სხვა სიძნელესაც ვხედავ წინასწარ:
ქვეყნის ღირსება დაუმცირებლად
უნდა დავიცვა და ტატიანას
წერილი ვთარგმნო აუცილებლად
რუსულის ცუდად მცოდნე ქალიშვილს
არც ჩაუხედავს ჩვენს ჟურნალებში,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძალზე უჭირდა მას წინაპართა

ენაზე სწორად წერის გამართვა.

დიახ, ფრანგულად წერდა ტანია...

რა ვქნა! გახსენებთ კვლავ დანანებით

ჯერაც რუსულად ტრფობა დამების

არ გამოთქმულა, რაც მართალია...

ჯერ სიზვიადე ჩვენი ენისა

საფოსტო პროზას ვერ შეეთვისა.

## XXVII

ვიცი: ბანოვანთ ძალით ჩვევენ

რუსულად კითხვას. აი საშველი!

მაგრამ ვინაა მათში, მაჩვენეთ

**"Благонамеренный-ს"** გამშლელი.

ჩემო მგოსნებო! დამემოწმებით

ხომ მართალია, თქვენი ოცნების

საგანთ შესწირეთ ჩუმად ლოცვები,

რომ წაგეშალათ ლექსით ცოდვები.

მათ მიუძღვენით გული სამადლოდ

მათგან მსჯელობდა ყველა რუსულად

მაგრამ რა ტანჯვით, რა უსუსურად

ამახინჯებდნენ ენას საამოდ

და უცხო ენა მათთა ბაგეთგან

მშობლიურ ენად არ გადაკეთდა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXVIII

ღმერთს ვთხოვ, ბალღი ან ხალხის დაშლისას
ჩემთან შეხვედრა არ გაეფიქროს
სემინარიელს ყვითელშალიანს
ან თალფაქიან აკადემიკოსს.
როგორც ლოლოსფერბაგეთ- ულიმართ,
მე გრამატიკის წესდაურღვევლად
არ ავირჩევდი რუსულს ტრფიალად
და შეიძლება ჩემდა ტიალად
ახალთაობის ლომაზმანებმაც -
ჟურნალთმუდარის ხმა შეიწყალონ,
რომ გრამატიკა მათგან ვისწავლო,
ლექსმა ივარგოს გასახმარებლად
მე კი. . . მე აბა რა მენაღვლება?
მე და. . . წარსულზე ხელის აღება?!

## XXIX

სიტყვა უსწორო, გაუმართავი
და დაუდევრად ტიკტიკება
უწინდებური გულის ფართქალით
მკერდში წარსულად მიტორტმება.
მონანიებით ვერ ვილოდებ, -

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გალაქტიონებსაც ვერ ვუტოლდები,

ყმაწვილურ ცოდვებს ვერ გავექცევით,

ვერც ბოგდანოვიჩს - თავის ლექსებით

მაგრამ დამაცათ ჯერ სათარგმნელად

ჩემი ლამაზის მელოს ქატარი,

პირობა დავდე, ახლა უარი

მზად მაქვს სიტყვის გადასათქმელად

ვიცი: კალამი ნაზი პარნისა

ახალმა მოდამ იუფალისა.

XXX

ლხინის და სევდის მგოსნად ცნობილო,

ახლოს რომ მყავდა დღეს სანუკვარი,

შეგაწუხებდი, ჩემო ძმობილო,

მოურიდებელი ხვეწნა-მუდარით

ეგებ შეგეწყო ჰანგი გრძნეული

ვნებათა ღელვად გადაქცეული

ქალწულის უცხოენით თვალებთან.

სად ხარ? მოდი მინდა სალამთან

ერთად გადმოვცე ცემი უფლება...

მაგრამ მწუხარე კლდეებს ეული

უმზერს შექებას გადაჩვეული,

თავზე ფინეთის ცა ექუფრება,

დაეხეტება, და მის დაღვრემილ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სულს არ ჩაესმის ჩემი ნაღველი.

## XXXI

ხელთმაქვს წერილი ტატიანასი;
ვივალე მისი წმინდად შენახვა,
ვკითხულობ მალულ დარდით აღსავსე
და გადაკითხვა მინდა ხელახლა.
მან ეს სინაზე ვიშ შეითვისა
ან ეს სილაღე ზარიფსიტყვისა?
ვინ შთაუნერგა ბოდვა საამო,
გულში ლაღ ლაღად შეუსაბამო-
ეგზომ წარმტაცი და უგულმართი?
ვერგამიგია, მაგრამ მთავრდება
სუსტად არასრულ თარგმანებად
ფერმკრთალი ასლი ცოცხალსურათის,
ამ მფრთხალ მოწაფე ქალთა დაკარგული
ფრეიშიცივით ხმადაკარგული.

ტატიანას წერილი ონეგინს

წერილს გწერთ, მეტი რა შემეძლება?
სხვა რა სათქმელი მრჩება საშველად?
ახლა კი ვიცი, ნება გეძლევათ-
ზიზღი მოიღოთ ჩემს დასასჯელად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ თუ წამლად მოგეძევებათ

სულმცირე ცვარიც სიბრალულისა,

არ მიმატოვებთ ბედშავს ულოსად

თავიდან ჩუმად მოცდა მეწადა;

მერწმუნეთ ჩემს წვას კდემა-რიდებით

თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებდით

იმედის სითბო რომ განმეცადა,

თუნდაც კვირაში ერთხელ ხანდახან,

მრგებოდა ჩვენსას თქვენი დანახვა.

მხოლოდ მესმინა თქვენი სიტყვები,

მეც მეთქვა რამე, მერე დღედაღამ

კვლავ შეხვედრამდე ერთზე მენაღვლა,

ერთზე მეფიქრა თავდავიწყებით

მაგრამ შევიტყე: არვის კადრულობთ

გტანჯავთ სოფელი სევდის მომგვრელი.

ჩვენ კი... ჩვენ რა გვაქვს სასიქადულო,

და მაინც წრფელი გულის მოგელით

მაშინ რად რისთვის შემოგვიარეთ?

ყრუ და ტალად შთენილ სოფელში

არ ვიგემებდით ტანჯვის სიმწარეს,

არ მეცნობოდით ჩემს სიცოცხლეში,

სულს, უჩვევად რომ მაწრიალებს,

დამშვიდდებოდა (მაგრამ ვინ იცის?...)

ალბათ ვპოვებდი გულის მეგობარს,

შევძლებდი ნამდვილ მეუღლეობას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გავწევდი დიდს ამაგს შვილისთვის.

სხვა ვინმე!. . . არა, მთელ დუნიაზე

გულს ვერავისით ვერ ავივსებდი,

უჩენაესთან ასე იაზრეს. . .

შენი საბედომე ვარღვთის ნებით

სიცოცხლე ჩემი ექცა საწინდრად

ჩვენს სწორპაემანს და მწამს მართლის,

განგებამ ჩემთვის ამოაბრწყინა,

რომ მიმფარველოკუთხის კარამდის.

მოვლენებიხარბევრჯერსიზმარში,

უკვე გეტრფოდი ჯერაც უხილავს,

ვიწამე შენი მზერა წუხილად

შენი ხმა ჟღერდა სულის სიღრმეში.

ადრე. . . არიყო, არა, სიზმარი!. . .

შინ შემოსვლისას გიცანი უმალვე,

დავბნდი, მომენტალი მხურვალე

და გაიელვა ფიქრმა: ის არის!

ხომ მართალია? შენ სიჩუმეში

გისმენდი ცხადად და განა ოცნებით

ოდეს ვზრუნავდი ლაბირინთუკებში

ან ათრთოლებულ გულს საგულეში

როს ვაბუდებდი ტკბილი ლოცვებით

და სწორედ იმ დროს, ვითაცხადება,

შენ არიყავი, ძვირფას ზმანებად

მჭირვალე ბინდში რომ ჩამოეშვი?. . .

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩემს სასთუმალთან შესდექ უჩუმრად

შენგან არ მესმის ტრფობის ჩურჩულად

გამხარებელი სიტყვა ნუგეშის?

ვინც ხარ, მზაკვარი და სათნელო,

თუ ანგელოზი ჩემი მფარველო:

გახსენ ეჭვები გადაკვანძული.

ეგებ არაფრად ჩასაგდებია

სულის ცდუნება ახალგაზრდული!

და სხვა წილხვედრი გამზადებია...

რაც მოხდა, მოხდა. ერთი იმედით

ამიერიდან ჩემს ბედს გაბარებ.

შენთან მუდარის ცრემლად ვიღვრები,

მფარველის ფრთებსაც სენ დამაფარებ.

წარმოიდგინე: მარტოდარჩენილს

გრძნება მერთმის და მებანგება,

არავის ძალუძს ჩემი გაგება

და ჩუმად სიკვდილს ვერ გადავრჩები.

შენ გიცდი: მხოლოდ ერთი დახედვით

გამიცოცხლებდე ჩამქრალ იმედებს,

ან მძიმე სიზმარს გადამიკვეთდე,

ვაგლახ, საკადრის წამოძახებით

ვამთავრებ! ვშიშობ კვლავ გადაკითხვას...

სირცხვილით ვიწვი და ვიდაგები...

მაგრამ თქვენს სინდისს ვენდე განმკითხავს,

და ის იქნება ჩემი თავდები...

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXXII

ხან გმინავს და ხან ოხრავს უჩვევად
უფროს ტანიას ხელში წერილი.
სიმხურვალისგან პირი უშრება, -
ენა ვარდისფრად აქვს შეფერილი.
გვერდზე დახრა თავი უძლურად
სიფრი პერანგი ჩამოუცურდა
უმშვენიერეს მხრებზე ქალიშვილს...
ჰა, ქრება მთვარის შუქი და ნისლში
ველი თანდათან სახიერდება,
ვერცხლისფერდება შორს ნაკადული
და სალამურის ჰაგნი გაბმული
სოფლის მაღვიძრად ხმიერდება.
ყველა ამდგარა დიდი ხანია,
ტატიანასთვის დილაც ღამეა.

## XXXIII

ვერ შეხედა შუქს განთიადის,
ზის თავდახრილი და დაქანცული,
თავისი ბეჭდით ჩუქურთმიანით
ჯერ არ აწვება ბარათს ქალწული.
ამ დროს კარები ფრთხილად იღება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და თმაჭაღარა ფილიპიევნა

ასულს ლანგარით ჩაის მიართმევს.

"ადექი, ჩემო თვალის სინათლევ:

უკვე მზად ხარ, ჩემო ხატებავ!

ჩიტი ბუდიდან უცბად ფრინდება!

გუშინ შემზარა შემოღამებამ!

ახლა უკეთ ხარ, უფალს დიდება!

ვერ გამჩნევ ღამის სევდის ნასახსაც,

ყაყაჩოსფერი გშვენის ხასხასა".

XXXIV

"ოჰ დამდე ვალი, ჩემო გადია..." -

"ბრძანე, ჭირიმე, თქვი სათხოვარი" -

"ნუ ფიქრობ... თითქოს ეჭვი. ნამდვილად...

ხომ ხედავ.. ოჰ! არ. მითხრა უარი".

"ღმერთი გიშველის კეთილ ქალიშვილს".

"მაშ ასე, ჩუმად შენი ბადიშის

ხელით გაგზავნე ესე უსტარი,

ო.. ნთან... მეზობლად... თან დაუბარე

არსად წამოსცდეს რამე ზედმეტი,

არსად მახსენოს, არ გამამხილოს".

"ვისთან გავგზავნო, ჩემო გაზრდილო?

არა მესმის რა, გამოვჩერჩეტდი.

გარშემო ბევრი მეზობელია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათ ჩამოუგდეც ეგზომ ძნელა..." -

XXXV

"რა მიუხვედრი რამ ხარ, გადა!" -
"ჩემო კეთილო, ჟამით დაღლილო
დავბერდი, თავი აღარ მაბია,
ერთდროს მიჭრიდა აზრი მახვილი,
ერთდროს ბატონის ძალ-უფლებით.."
ოჰ, ძიძა, ძიძა, რას მეუბნები?
რა მეკითხება შენი გონების?
წერილს მივაწვდით დღესვე ონეგინს?"
"ჰო, ეგრე გეთქვა, რად გამაწვალე.
უგონო ბებერს ნუ მიცხარდები,
ვეღარ გაგიგე გულის ნადები.
ისევ გაფითრდი, შენ გენაცვალე?"
"არაფერი მჭირს, ძიძა, საშიში.
ოღონდ გაგზავნე შენი ბადში".

XXXVI

დღე გადის. ელის პასუხს ქალწული,
მეორე დღესაც უცდის ბოლომდის,
ლანდად ქცეული, დილით ჩაცმული
წუხს ტატიანა, უძლეს მოლოდინს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხვდებიან ოლგას თაყვანისმცემლები:

"თქვენი მოყვასი აღარ გვიხსენებს,

არც დღეს გვესტუმრა, ალბათ გვემდურის?" -

დასახლისმა თქვა საყვედურით

შეცბა, ათრთოლდა მოულოდნელად ტატიანა.

"იგი დღეისთვის მოსვლას შემპირდა, -

გაეპასუხა ლენსკი შეკითხვას, -

და ალბათ ფოსტამ დაგვიანა".

ტანიას თვალნი ძირს დაეხრება,

თითქოს ჩაესმის კიცხვა-ყვედრება.

XXXVII

ბინდდება. უსმენს სუფრა საღამოს

სამოვრის შიშინს, ზედ რომ ცხელდება

ჩინური ჩაიდნით ჩაი საამო

და ქვეშ ბოლქვებად ორთქლი ედება.

მუქი ჭავლისფრად დგა დამოასხური,

ფინჯნებში ოლგას ხელით ჩასხმული

სურნელოვანი ჩაი ქაფქაფებს,

ბიჭი ნაღებიანს აწვდის ლამბაქებს.

დგას ტატიანა განზე - სარკმელთან,

ცივ მინას ორთქლავს თბილი ნასუნთქით

და მერე იგი - თითებს ათუთ

შენისლულ შუშას ხაზავს რვალებად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლოს ფიქრიან მზერას მოავლებს

თავის სანუკვარ ვენზელს ო-ს და ე-ს

XXXVIII

მას უყვარდა სულ მაშინაც,

უსვრებდა დაღლდღალებს ცრემლები,

უცებ თქარუნის ხმამ შეაშინა,

იქვე, ეზოსთან შედგნენ ცხენები.

ევგენი მოდის. "ახ"! - და იმწამსვე

ჩრდილზე მსუბუქად დახტა წინკარზე,

იქიდან იგი ბაღში მოხვდება;

მიჰქრის, აშინებს უკან მოხედვა.

შემოუფრინა გარს ტატანამ

ტბას, კორდს, ბოგირებს, კორომს, გუბიანს,

ყვავილნარს გულზე გადაუშინა,

იასამანმა გაატალა.

და ნაკადულთ სადაც ეგულვის,

იქვე, ზედსკამზე სუნთქვაშეკრული

XXXIX

დაეცა...

- "ჩვენთან არის ... ევგენი!

ო, ღმერთო, ნეტავ რა განუზრახავს?" -

და გული სავსე სიმწრით გვემებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმედის მეორე სიზმარს უნახავს.

ქშენს, ტანში ზარავს სიცხითა ლეწილს,

უცდის, ის ნახავს? მაგრამ არესმის.

ბაღში ბუჩქების კვალს მიჰყვებოდნენ,

კენკრას კრეფდნენ და ძალითმეორდნენ

მოხლეები (ბრძანეს ზემოდან,

რომ საბატონობაღში კრეფისას

მათს ცბიერტუჩებს ჭამა კენკრისა

ჩუმად მალულადარშესძლებოდათ

და საქმებულებს ძალადგალობით

სოფლურანგლობის დიდი წყალობით!)

ქალიშვილთა სიმღერა

ხათუნებო, ტურფებო,

და ქალებო, ნანატრო,

იცეკვეთ ხათუნებო,

დაუკრით კარგებო!

წამოიწყეთ სიმღერა,

სიმღერა სანუკვარი,

მოხიბლეთ მზეჭაბუკი,

მოიზიდეთ ფერხულით

მზეჭაბუკს რომ მოვხიბლავთ

რომ შევნიშნავთ შორიდან,

გავიფანტოთ კარგებო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთბაშად დავუშინოთ

მტექაბუვს ალუბალი,

ზედქოლოც მივაყოლოთ

და წითელი მოცხარი.

ნუმოითხარს სასმენად

სიმღერის სანუკვარის,

ნუმოითხარს საცქერად

ხაოუნების გართობის.

X

ასე მღერიან და ხმას წკრიალს

უგულდუგდებს ყურს სევდიანი,

თან მოუთმენლად სურს ტატანას,

რომ დაუწყნაროს გულის ფრიალი,

რომ გაინელონ ალი ლაწვებმა,

მაგრამ მოთრთოლვარე მკერდი არცხრება,

ალარც ლაწვების ცეცხლის ნავლდება

და უფრომეტი გზნებითალდება...

ასე პეპელი კრთება საწყალი,

როცა ფრთებს ჭრელდანაბდღვიალებს

ცელქი მოწაფის ხელთა ფრთხილებს.

კურდღელსაც ხნულში იტანს კანკალი

როცა შორიდან უცბადგალანდავს

თოფიან კაცის ბუჩქთან განაბავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XI

ბოლოს აღმოხდა ორვე ქალიშვილს,

ადგა, სკამიდან წამოიმართა,

ბილიკს დაადგა და მოსახვევში,

ხეივნის ახლოს ამდროს ინათა

მწველი თვალების შუქმა მის მხარეს,

ევგენი აჩრდილს ჰგავდა მრისხანეს.

როგორც დამწვარი და დახანძრული,

ვეღარ დაიძრა, დადგა ქალწული.

მაგრამ იმედით სავსე შეხვედრის

შედეგის თრობა ახლა ძნელია,

რაც მითქვამს ისიც ამბად გრძელია.

მკითხველო, მიხმობს დრო შესვენების,

გასეირნების, ძილის დრო მოდის:

მერე როგორმე გეტყვით ბოლომდის. . .

## თ ა ვ ი   მ ე ო თ ხ ე

ზნეობია საგანთა ბუნებაში (ფრანგ).

ნ ე კ ა რი.

I, II, III, IV, V, VI. VII

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალს რაც ნაკლებად ვეტრფიალებით -

უფრო ძლიერად ნაზად ვუყვარვართ

და ვაბამთ უფრო მეტი გაბედვით

მაცდურ მახეში დასაღუპავად

დრო იყო, სიძვამ, ბიწიერებამ, '

ვით სიყვარულის მეცნიერებამ

ბაქით ტრაბახით ყველას აცნობა,

რომ უტრფიალო ნებავს განცხრომა.

მაგრამ გართობა ასე, ამგვარად

ბებერ მაიმუნთ უფრო შეფერით '

ცნობილთ გარდასულ დროთა შექებით

ლოველასობა წარსულს ჩაბარდა,

როგორც ტარება წითელქუსლების

და პარიკები დიდებულების.

VIII

ფარისევლობა ვის არ მობეზრდა,

თქვა ათასგვარად ერთხელ ნათქვამი,

რიხით ამტკიცო აზრი, რომელიც

ადრევე იცნობს ყველა მათგანი.

უსმენდე ისევ ნაცნობ პასუხებს,

სპობდე ცრურწმენას, რაც არ აწუხებს,

რაც არასოდეს არ ჰქონია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არც აქვს ცამეტი წლის გოგონიას,

ვის არმოქანცავს ხვეწნა, მუქარა,

ფიცი, ცრუშიში, ცრემლის ციალი,

წერილი ვრცელი ექვსფურცლიანი,

როკვა ბეჭდები, ჭორი, მუდარა,

დეიდების და დედის თვალთვალი

და ქმრების ძმობა ძნელსატანი.

IX

ასე ფიქრობდა ჩემი ევგენი,

ვინც სიყმაწვილის შმაგ შეცდომათა

და ბობოქარი, მწველი ვნებების

ძალის პირველად ემონათ.

გალეულებული კეთილცხოვრებით

იხიბლებოდა ერთდროებით,

რის განხიბლული იყომეორით,

სურვილი ლოდა ნაირფერობით,

წარმატებებიც ლოდა თავნებას,

როცა ხმაურში თუსიჩუმისას

უსმენდა მუდამ დრტვინვას სულისას,

იგი სიცილითსძლევდა მთქნარებას: -

სიცოცხლის ყველა ჟამზე ანკარა

რვა წელიწადი ასე ატარა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

X

ლამაზი იგი ალერსტრფიალი,

მაინც დასტოვდა მალის-მალით,

ურს ეტყოდნენ - მალე ცხრებოდა

და სულს უჭვამდა მათ ღალატი.

მათ ძებნისას არ უთრთოდა,

მათ დაკარგვა არ უგლოვია,

მათ ტრფიალი და სიძულვილი

ძლივსღა ახსოვდა. ასე გულგრილი

სტუმარი მიდის ვისტზე საღამოს,

ჯდება, თამაში ჩქარა მთავრდება,

მერე ეზოდან გაემგზავრება,

დაეძინება სახლში საამოდ

და დილით ადრე ვერც კი გაუწყებს,

გულს საღამოს საით გაუწევს.

XI

მაგრამ ტანიას ბარათს ევგენი

გულჩვილად ხვდება, გამოცოცხლდება,

ქალწულის ენით მღელვარებელი

ფიქრებს აშლის წრფელი ოცნება.

მას ახსენდება ტანჯვით სავსე

ფერმკრთალი სახე ტატიანასი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და უმანკოს, ტკბილი ღრმა ძილით
დაიბანგება, როგორც ყმაწვილი.
ალბათ წარსული გრძნობა ცხოველი
მასში წამიერ მაინც ენთება,
მაგრამ საცდუნლოდ არემეტება
სული მიმნდობი და უცოდველი.
ახლა კი ბალში გადავფრინდებით
სადაც ორთავე დგას და ფიქრობით

XII

ორწუთს ორთავე იდგა მდუმარედ
მერე მივიდა მასთან ევგენი,
უთხრა: "თქვენ მწერდით არ იუარებთ
წერილს გულღია აღსარებებით
მე წავიკითხე წმინდა, უმანკო
ტრფობის ლოლოდი, როგორც რვყო,
ვარ მოხიბლული თქვენი სიწრფელით
მისი სითბოთი ღელვა ვიგრძენი
დიდიხანის წინათ მიმქრალ გრძნობების,
მაგრამ არ მინდა თქენი შექება;
სამაგიეროდ შევძლო ეგება,
მსგავსად მაგ თქვენი უბრალოების,
აღსარებითვე ვპოვო საშველი
და თქვენის ხელით დამდოთ სასჯელი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XIII

თუ მოვისურვე ჩემი ცხოვრების
მყუდრო, შინაურ წრეში მოქცევა,
ხვედრს თუ მამობის, მეუღლეობის
უნდა სიამედ ჩემთვის მოცემა,
თუნდა მატყვევებს მხოლოდ სულ ერთ
წამით ოჯახურ ყოფის სურათი.
მაშინ თქვენს გარდა, ცხადზე ცხადთა,
საცოლედ არვინ არა მწადა.
არ გეუბნებით წარმტაც მადრიგალს:
თუნდა ვუბრუნდე ჩემს ძველ იდეალს,
ჩემთა მწუხარე დღეთა იმედად
თქვენს მეგობრობას ვარჩევ ნამდვილად
საწინდრად ყოველ მშვენიერების
და რაც კი ძალმიძს . . . ბედნიერების!

## XIV

მაგრამ შობილი სულ სხვა ქმნილებად
განცხრომისათვის უცხო სული ვარ;
უქმად ვცან თქვენი სრულყოფილება:
არა ვარ მისი ღირსი სრულად
გწამდეთ (სინდისი მიდგას თავმდებად),

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩვენი ცოლქმრობა მიჩანს ავბედად

რომ შეგეჩვევით გადაგიყარებთ

ტროლს დაიწყებთ ცრემლის ღვარები

არშემითრთოლებს გულს არასოდეს,

პირიქით უფრო თუ გააცოცხლებს.

თვითვე განსაჯეთ რომელვართებით

სურს ჰიმენეის ჩვენი შემკობა

და თან დადოხნით როგორც ეტყობა.

XV

რა უნდა იყოს ქვეყნად ოჯახზე

ბედით, სადაც ცოლი საბრალო

ტრის მეულლის უმსგავსობაზე

და სულმარტოა დოლის, სალამოს;

სადაც მოსაწყენ ქმარს არეშლება

მისი ფასი და არც ბედს ეშვება - ნ

წყევლის მუდამ ჟამს გაავებული,

გულცივი, იჭვითდა ნაღვლებული!

ასეთი მე ვარ. ეგების ეძებდით

როცა მაგნაირუბრალოებით

მგზნებარე სულით ეგეთგონებით

მე მწერდით თქვენი მთელი შეგრძნებით?

ნუთუ ასეთი ბედის ღირსი ხართ?

ნუთუ ხვედრს ასე შეურისხიხართ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XVI

წლებს და ოცნებებს თავს ვერ დავუვლით
ვერ განახლდება სული ანაზდად . .
მე თქვენ მიყვარხართ ძმის სიყვარულით
და, შესაძლოა, უფრო ნაზადაც.
მისმინეთ ოღონდ ნუ გამიწყრებით
ყმაწვილი ქალი თავდავიწყებით
ცვლის სხვა ოცნებით მსუბუქ ოცნებას,
როგორც მარადჟამს ხე იმოსება
და ფოთლებს იცვლის ყოველ გაზაფხულს.
როგორც ჩანს, ასე ხდება ღვთის ძალით
თქვენც შეიყვარებთ მაგრამ . . . ისწავლეთ
ნუ გაამჟღავნებთ უცბად განზრახულს.
სხვა ვერ გაგიგებთ ჩემებრ გულწრფელად
მარცხი ხვედრია გამოუცდელთა.

## XVII

უქადაგებდა ამას ევგენი;
სულის ძლივს მოთქმით ხმის გაუცემლად
და ცრემლთა შორის არას მხედველი
მას ტატიანა დიდხანს უსმენდა.
ხელი აშველა მასი და უბრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(როგორც ამბობენ მაშინალურად)
მკლავზე დაეყრდნო მას ტატიანა,
მძიმედ დახარა თავი მტრედმა.
შინ გაეშურნენ ბოსნის შემოვლით
ერთად მივიდნენ იქ, სად ფიქრადაც
მათ დაძრახვა არვინ იკადრა.
სოფელიც შვებად მონიჭებული
თავისუფლებით არის თამამი,
როგორც მოსკოვი ამპარტავანი.

XVIII

ჩემო მკითხველო, დამეთანხმებით
რომ იგი ძლიერ თბილად მოექცა
ტანიას დაღლილს დარდით ნაღველით
მისგან პირველად კი არ მოგვესმა
კეთილშობილურ სულის ღაღადი,
თუმცაღა კაცთა შურით, ღალატით
უღვთოდ გამწარდა მისი ცხოვრება;
მოქიშპეებმა და მეგობრებმა
(ვერ გამოარჩევ ერთს მეორისგან)
ზურგს უკან ბევრჯერ ლანძღეს, აძაგეს.
მტრები ყველას გვყავს ამ ქვეყანაზე,
ღმერთო, გვიხსენი მეგობრებისგან.
ეჰ, მეგობრები, ეს მეგობრები!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არმყვანან უქმად მოსაგონრები.

## XIX

რას ვფიქრობ? რას და . . . მსურს მივაძინო
ფუჭი ოცნება, ფიქრი უთავსი,
მხოლოდ ფურჩხილებში მინდა დავძინო,
რომ არარსებობს ცილო ჟამსი -
სხვენზე მეჭორის მოგონებული,
მაღლწრის ბრბოში მოწონებული,
რომ არარსებობს არც უჭრობა,
არც ეპიგრამა რამე ბაჭრული,
რაც შენს მეგობარს ღვარძლის გარეშე,
წესიერ ხალხში ლიმილმორევით
შეცდომის ასგზის განმეორებით
არ ეთქვას არამტრულ ნგარიშით
ისე კი, შენდა ფარად ის არი:
უყვარხარ. . . როგორც ძმა საფიცარი.

## XX

ჰე, ჰე, მკითხველო კეთილშობილო,
ნათესავები ხომ გყავთ ჯანმრთელად?
ნება მიბოძეთ შეგატყობინოთ
რაც ეგებ მმართებს ახლა სათქმელად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა სახელდობრ ნათესაობა,

რა არის მაინც მათი რაობა:

ჩვენ გვევალება მათ ვუერთგულოთ

გვიყვარდეს, სრული ხალისითა ვივსოთ

და ისე, როგორც ხალხში დაწესდა,

ყოველშობადღეს უნდა ვეწვიოთ

ანდამილოცვა ფოსტით შევწიროთ

რომ წლის დანარჩენ დროში არცერთმა

აღარგვიკითხოს, თუნდაც ვკვდებოდეთ . .

მათდღეგრძელობა ნუმოგველდებოდეთ

XXI

მაგრამ ტრფიალი ნაზი ქალისა

მეგობრობაზე და მოყვრობაზე

სანდოა დღეთქარიშხალისას

შენი უფლება გრჩება ტრფობაზე.

ასეა, ოღონდმოდგარძურთან

და ბუნებასთან ჩვეულნაურთან

და ხალხის აზრთა ღვარის გუგუნთან

ჩანს ტრფობა სქესი მსუბუქ ბუმბულად

ამასთანავე აზრი მეუღლის

კეთილგონიერ, საზოგადოსთვის

კანონი უნდა იყოს ყოველთვის.

ისე კი, წუთით თქვენს ურთგულს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალსაც მხიბლავი გრძნობა აიტანს;

ტრფობით ხუმრობა უყვარს შაითანს.

XXII

ვინღა გიყვარდეს? ვისღა მიენდოთ?

ვინ არ გაგვყიდის ჩვენი არჩივით?

საქმეს და სიტყვას ჩვენს სასიკეთოდ

ვინ ზომავს მხოლოდ ჩვენი არშინით?

ვინ არ გვითესავს ცილისწამებებს?

ვინ არის - ზრუნვით რომ არ გვაწყნარებდეს?

ვინ არის ჩვენსავ ნაკლზე დარდობდეს?

ვინ არ მოგვაწყენს თავს არასოდეს?

მოჩვენებათა მდევარ დაქცეულო,

ამაოდ გარჯას ნუღარ იკადრებთ,

თქვენ მარტო თქვენი თავი გიყვარდეთ,

ჩემო მკითხველო, პატივცემულო,

უერთგულესი და მზრუნველთაგანი

მართლაც სად არის ტრფობის საგანი.

XXIII

რა შედეგი მათ პაემნის?

ძნელი არ გახლავთ გამოსაცნობად

ცეცხლი უკონოტჯვა-წამების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ უნელდება წამით საცოდავს

ყმაწვილურ სულში ნაღველი დაგაშლილი;

არა, არსაით არ ჩანს საშველი!

წუხს ტატიანა, იწვის საწყალი;

ძილს არ იკარებს მისი საწოლი;

ჯანი, სიცოცხლის ფერი, გართობა,

ქალწულებრივი შვება, ღიმილი

გაუქრა უცებ, შორი ძახილივით

და ქრება მისი ახალგაზრდობა.

ქარბუქიც ასე ბინდით დაჩრდილავს

ქვეყნად ახალი დღის გაჩენას.

XXIV

ეჰ, ტატიანა ჭკნება, იცვლება,

ფერმილეული სდუმს და მწუხარებს,

აღარაფერი ეხალისება,

გულს არაფერი აღარ უხარებს.

მისი შემყურე ხალხი მეზობლად

რომ აქიცინებს თავს მნიშვნელოვნად

ჩასჩურჩულებდა ერთურთს: დრო არი,

დროა გათხოვდეს გასათხოვარი!

მაგრამ, კარგებო, დროა ნამდვილად

გავახალისო წარმოსახვანი,

სვიანი ტრფობა ვნახოთ ახალი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღრმა სინანული მბორგავს დარდთანს;

თქვენ მომიტევე, მეც უნებურად

ტანიას ტრფობით გავბრუებულვარ.

XXV

დითდე უფროიხიბლებოდა

ოლგას მშვენებით ყმაწვილქალურით

და ვლადიმირმა ტკბილი ტყვეობა

შეიგრძნო სულით, ძლვასიყვარულით

ყოველდღის ერთად ქალის სენაკში

ისხდნენ კუნაპეტღამის თუვაში,

და სეირნობდნენ ბაღში ერთგულნი

დილით ხელიხელჩაკიდებულნი.

მერე რა? კდობითროცა ლუღვდა

სიყვარულისგან გახელებული,

ოლგას ღიმილით გამხნევებული

იგი ხანდახან თუ გაბედავდა,

რომ შეხებოდა დალალს ჩამოშლილს

ან დაეკოცნა კალთა სამოსის.

XXVI

ზოგჯერ ის ოლგას წიგნსაც უკითხავს,

და მრიგებლური არათბთორმანი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომლის ავტორი გრძნობს უკეთესად
ბუნებას, ვიდრე შატობრიანი.
ამასობაში ორ, სამ ფურცელსაც
(მტკნარბოდვებიანს, აზრებუმეცარს,
ქალიშვილს რაც არ წაეკითხება)
სტოვებს და იგი წამით წითლდება.
ხან შორს სხდებიან განმარტოებით
ჭადრაკის ძალით შეპყრობილები
და მაგიდაზე დაყრდნობილები
ღრმად ფიქრდებიან თანატოლები.
ბოლოს დაბნეულ ლენსკის მცდარი სვლით
აჰყავს პაიკით ეტლი თავისი.

XXVII

შინ როცა წავა, იგი სახლშიაც
ფიქრებით ზრუნვით დაფრენს ასულთან,
ალბომის მორთულვარ ფურცლებს არშიად
სურათებს მისთვის ავლებს საოცრად
ხან ლამაზ ხედებს ხატავს სოფლისს,
კიპრიდას ტაძარს, ქვას საფლავისას,
ხან - მტრედს ლირაზე ობლად შეფრენილს -
კალმით და ფუნჯით ოდნავ შეფერილს.
ზოგ ფურცელს ხსოვნის სუვენირად ისი,
ქვემოთ კი რიგი ხელმოწერათ;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან იქ დასტოვა წრფელ ცნებათა

მდუმარე მეგობრად ლექსი ფაქიზი,

წუთიერ ფიქრის გრძელ ნაკვალევად

ისევ მრავალი წლის წინ გავლილად

## XXVIII

თქვენ, რა თქმა უნდა ბევრჯერ ნახავდით

ალბომებს მაზრელ ასულებთანაც,

დასვრილს მეგობარ ქალთა ნაჩხაპნით

თავიდბოლომდის და სულერთავად . . .

მართლწერის ჯიბრით, როგორც წესია

მათში უთვლიო, ძველი ლექსია

მეგობრულ გრძნობით აძგერებული,

შემცირებული, გაგრძელებული.

თან პირველივე გვერდზე დაგხვდებათ

**Qu ecrirer-vous ees tablettes,**

და **ხელმოწერა: t.a. Annetes:**[1]

___

1 რას დასწერთ ამ ფურცლებზე . . . თქვენი ანეტა (ფრანგ.).

ბოლოსი ასეთ ბწკარებს დახედავთ

"ვინც ჩემზე მეტად გითანაგრძნობს,

წერას შემდეგ ის განაგრძნობს".

## XXIX

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აუცილებლად იქვე შეხვდებით

ნახატს ლამპრისას, წყვილსაც გულისას.

ყვავილთა ახლის ფიცს შეეყრებით

კუბოს ფიცრამდე სიყვარულისას.

ვინც არმიელზიიქ გაუვრავს

ლექსისთვის ხელი ავაზაკურად

ასეთ ალბომში, ჩემო ლორსწონო,

მეც მინდა თავი რომ მოვიწონო.

და გულითმჯერი, გამოვიტყდებით,

ჩემს გამოგონილ ყველა სიცრუეს

მოწყალე თვალი ხელიდიწმუნებს,

და ღიმილნარევ გაბრუნებით

არდაიწყებენ მერე განხილვას,

ვცრუობ თუ არა ენამახვილად

XXX

მაგრამ თქვენ გეტყვით ცალკე ტომებო,

და ცულნიქაჯთა წიგნისაცავებით

და ალბომებო უბადლოებო,

მოყვარ რითმისნებს ვინც აწამებდით

თქვენ, ვინც ტოლსტოის მარჯვედ წასმული

ჯადოსნურ ფუნჯით ხართ მოგაზმული

ან ბარატინსკის კალმის წვერის ხართ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყველა ღვთის ცეცხლითა მიწყევლიხართ!

როცა ღიმილით ქალი ბრწყინვალე

მოაწვდის in-quarto-ს თავისას,

უცებ ბრაზი და ჟრჟოლა ამიტანს,

კვლავ ეპიგრამა ამაწრიალებს

სულის სიღრმეში ნატრიალები,

და მოდი წერე მადრიგალები.

XXXI

განა ვლადიმირს სურს მადრიგალით

ოლგას ალბომის გალამაზება,

მისი კალამი სუნთქავს ტრფიალით

ცივი ციმციმით არ ალმასდება

რასაც მოისმენს მას და შეამჩნევს

იგი საწერად მასვე შეარჩევს.

და სინამდვილით არის მდიდარი

ელეგიების სავსე მდინარე.

შენც გული თრთოლვით ეგრე გიმღერის

იაზიკოვო, შთაგონებულო,

ვინ უწყის ვისგან გაოგნებულო;

და მაგ ძვირფასი ელეგიების

ერთად თავმოყრით ალრგველორსა

სრული ამბავი შენი ხვედრისა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

XXXII

მაგრამ ჩუ! გესმით ხმა უმკაცრესი
კრიტიკოსისა? "ჩამოუხსენით
ელეგიათა გვირგვინს გაცრეცილს!"
და ჩვენი ძმანი- სხვა მოლექსენიც'
მის ხმას უსმენენ: "ტირილს შეეშვით
და ერთფეროვან ყიყინს ლექსებში.
გარდასულ დროზე გლოვა, ვარამი
კმარა, იმღერეთ ახლა სხვა რამე!"...
"სწორი ხარ. მართლაც გვირჩევ - განახლოთ
ძველი ნილაბი, ბუკი, ხანჯალი,
აზრთ კაპიტალი და უხარჯავი
ბრძანებ, ყოველმხრივ რომ განვაახლოთ
ასე გსურს?" - არა ვით შეგაგონო,
"ოდების წერას გირჩევთ, ბატონო,

XXXIII

როგორც მაქებართ ძალუმ დროების
სჩვეოდათ ძველთ ხოტბა ეთქვათ.."
"სულ საზეიმო ვწეროთ ოდები!
გვეყოფა ძმაო, ხომ სულ ერთია?
გახსოვს, რაც უთქვამს ერთს სატირიკოსს!
"უცხოყაიდის" ეშმაკს ლირიკოსს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უფრო აიტან, ვიდრე ჩვენსავე

მლექსავებს - მუდამ სევდით მკვნესარებს?"

"მაგრამ უმწეოდ ჩანს ელეგია

მიზანჯახო, მიზანსაწყალო,

როცა ოდა მიზანმაღალო,

კეთილშობილო. . ." აქ შემიძლია

კამათი, მაგრამ რაღაც მაჩუმებს;

ორ საუკუნეს არ წავაჩხუბებ.

XXXIV

დიდებისა და თავისუფლების

თაყვანისცემით ოდებს შეთხზავდა

ლენსკი, ამყოლი შმაგი ფიქრების,

მაგრამ ისინი ოლგას შეზარდა.

სატრფოს წინაშე მგოსნებს ცრემლიანს

ლექსის წაკითხვა თუ გლოსებიათ?

ამბობენ, ქვეყნად სხვა რამ საჩუქარი

ვერსად იპოვებთ ამაზე სანუკვარს.

მართლაც ნეტარია კდემად ქცეული,

თავის ოცნებას ვინც მას უკითხავს

საგანს ლექსისას, სიყვარულისას,

რომ ბნდება ამოდ მინაზებული!

ნეტარია. . . თუმცა ლამაზს იქნება

იმ დროს სრულად სხვა ეფიქრება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXXV

მე კი ოცნების ნაყოფს მადლიანს
და კეთილხმოვან სიტყვათ ჟღერადობას
ვუკითხავ მხოლოდ მოხუც გადიას,
ჩემი ბავშვობის ძვირფას მეგობარს,
ან როს მოვრჩებით სადილს შესაწყენს,
მეზობელს ჩვენთან თვალს თუ შევასწრებ,
ჩავეჭიდები იმწამს კალთაზე
და ტრაგედიით მივაფლასებ.
ანდა (ხუმრობით კი არ გაცინებთ),
ჩემს ტბას მარტოკა როცა გარს ვუვლი,
სევდით და რითმით ჩამოქანცული,
გარეულ იხვებს შიშით აცილებთ
ისინი ტკბილი ჰანგით ფრთხებიან
და ფრინდებიან ნაპირებიდან.

## XXXVI. XXXVII

ევგენი რას იქმს? ძმებო, დროული
იყო შეკითხვა. გთხოვთ მოთმინებას,
მისი საქმენი ყოველდღიური
ახლავ წვრილ-წვრილად გაეცნობიებათ
ცხოვრობდა მსგავსად ანახორეტის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და შვიდსაათზე იგი ყოველთვის
ზაფხულში, დილის ხალათჩაცმული,
მთისძირჩქრიალა წყალთან ჩასული,
ჰგავდა გულნარის გულმოტრფიალს;
ისიც ჰელესპონტს გადასცურავდა,
მერე შინ თავის ყავას წრუპავდა,
თან თვალს ავლებდა ჟურნალს უბადრუკს
და ტანთ იცვამდა...

XXXVIII. XXXIX

გავლა-გამოვლა, კითხვა, ღრმა ძილი,
ჩრდილი ტყისა და მღერა ჭავლისა,
კოცნა ცოცხალი, ჯერ არ დაცდილი
თვალებგიშერა ქერა ქალისა.
ცხენი - ფიცხელი, ალვირსნაჩვევი,
სადილი - მუდამ გამოსარჩევი,
ზედ თეთრი ღვინო და საყოლუბლოდ
განმარტოება და საყდროვნება:
აი ევგენის წმინდა ცხოვრება;
იგი უგრძნობლად დროს დაბალთდა,
ზაფხულის ნათელ დღეებს არ თვლიდა,
ისე განაცხრო სიამოვნებამ;
არ იხსენებდა ქალაქს, მეგობრებს
და არც მოსაწყენ ზეიმ-ლხინებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

**XL**

ჰგავს ჩრდილოეთის ჩვენი ზაფხული
სამხრეთული ზამთრის კარიკატურას,
ვიცით წამს ქრება წამს ჩასახული,
წამით არ ვუმხელთ მაინც სამდურავს.
ცა შემოდგომის უკვე ქშინავდა,
უკვე ბრწყინავდა მზე იშვიათად
უკვე იკლებდა დღე სასურველი,
იდუმალური ტყის საბურველი,
ხმა ნაღვლიანად იძარცვებოდა.
ველებს ეფინა ნისლის ბანდები
და ქარავანი მკივან ბატების
სამხრეთისაკენ იძაგრებოდა.
მალე მოწყენის ჟამი დრეკდა,
იდგა ნოემბრის დარი კარებთან.

**XLI**

ცივ კუნაპეტში დგება რიჟრაჟი,
მინდვრად შრომის ხმა აღარ გაისმის,
გზაზე გამოდის მგელი წყვდიადში,
მოსდევს მშიერი ძუკნა თავისი.
მათ სუნს დაგეშავს ცხენი სამგზავრო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და იფრუტუნებს, მგზავრიც სასწრაფოდ
რაც ძალი შესწევ, გორას აჰყვება.
მწყემსს ურჩევნია არენალულბა
ძროხის გარეკვა, ვითდე წარსული;
ვერც შუადღისას მისი საყვირით
თავს ვერმოიყრის სოფლის ნახირი.
ქოხში სიმღერით ართავს ქალწული,
და, მეგობარი ზამთრის ღამეთა.
იწვის, ტკაცუნობს კვარი სარკმელთან.

XLII

და აი, ყინვის ტკაცანს ჰბართებით
ველებო, ვერცხლი რომ დაგმჩნევიათ...
(მკითხველი ელის რითმას "ვარდებით",
აჰა, წაიღე ჩქარა... შენია!
ახალპარკეტზე უფრომოდურად
ბრწყინავს მდინარე, თეთრითმორთული.
მცირეწლოვანი და მხიარული
და ციგურაობს ხალხი ხმაურით
ბატი მსუქანი, წითელფეხება,
ცურვის სურვილით წყალთან მისული,
აბიჯებს ფრთხილად დაბაისლურად
მაგრამ სხლტება და ყინულს ასკდება.
პირველი თოვლის დაკრთის ნათელი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძირს ვარსკვლავებად ცვივა ფანტელი.

## XLIII

ამ დროს ყრუ სოფლად ხარ უსაქმური,
გაისეირნებ? არც ეს გიშველის.
და უნებლიეთ თვალს უსახური
ერთფეროვნება ქანცავს შიშველი.
ტალტრამალზე გინდა ჭენება,
მაგრამ შენს ტაიჭს რა ეშველება -
ყინულს რომ წაკრავს ნალებს გაცვეთილს,
და უცდი - როდის დაენარცხებით?
გინდა უფაცურ ჭერქვეშ იკითხო
წიგნები პრადტის ან ვალტერსკოტის?
არ გსურს? დალიე ან გაბოროტდი,
ხარჯის დავთარი არ დაივიწყო.
ხვალაც ასეთი გრძელი საღამო
გავა და გალევ ზამთარს საამოდ

## XLIV

ონეგინს თანგავს ფიქრი, სიზანტე,
სულ ჩაილდ-ჰაროლდს ბაძავს ამაში;
გამოიღვიძებს და გაფაცვრამდე
ზის ყინულოვან აბაზანაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მერე შინ ფიქრებმოჯარებული,

ხელში ბლოგვკიამომარჯვებული

ალორშორთება იგი დოლოდან

ორბურთულიან ძვირფას ბილიარდს.

როცა სოფელში მწუხრი მოდგება,

თამობს ის ბილიარდს, კიას, მაშინვე,

ბუხართან ხვდება სუფრა გაშლილი;

ევგენი სტუმარს დაელოდება.

ლენსკიც მოაფრენს ეტლს სამცხენიანს;

ჩქარა, სადილი სანამ ცხელია!

XLV

კლიკოს ქვირვის თუმოეტისაა,

სუფრაზე იმწამს, ზედ შესავით,

გათოშილბოთლით პოეტისათვის

შემოაქვთ ღვინო შესანიშნავი.

ჰგავს იგი წყაროს ჰიპოკრენისას,

თამაშობს ქაფის მიმოფენისას;

ერთდროს მხიბლავდა, თავს მაწონებდა,

ლეციცი რადს არმაგონებდა.

მისთვის რამდენჯერ(გახსოვთმეგობართ?)

წვლილი გავიღე უკანასკნელი.

ზღაპრული ქავლით უვლავდა ვთსასმელი

ბადებდა ჩვენში რამდენ შტერობას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელნ ხუმრობას, ლექსებს, სიხარულს,

კამათს და რომელნ სიმღერას მხიარულს!

**XLVI**

კარგია, ოღონდ არას მარგია,

შუშხუნა ქაფით კუჭს მუხანათობს,

ბორდოს სევეწყე მე მის მაგიერ

კეთილგონიერს და უხუცესს.

აის ალერსმა არმავალებს,

აი მახსენებს ლამაზსაყვარელს,

ბრწყინვალეს, ცინცხალს, ამბორდალოცვილს,

მაგრამ თავნებას და გონგამოცლილს.

ძმებო, ბორდოა ჩვენი ძმობილო,

ჭირში საშველადდა სამსახურად

ყველგან, ყოველთვის ამხანაგურად

იდგა, ახლაც დგას გულდანდობილო,

წყნარმოცალების დროსას იდგება.

მაშ ჩვენს მეგობარბორდოს, დიდება!

**XLVII**

ცეცხლი ჩამქრალი; ძლივს ეფარება

ოქროს ნაკვერჩხალს ნავლი-ნაცარი,

ძლივსშესამჩნევადიწევს რკალებად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტრიალებს ბუქი და ალმაცხრალი

ბუხარი სითბოს მდოვრად გამოსცემს,

ჩიბუხების კვამლს თვისკენ აცოცებს.

სუფრაზე ბროლის თასი შიშინებს,

მწუხრი იერთებს ჩრდილთა სიხშირეს.

(მიტაცებს ძმურად დაყბედებული

სუფრა, ღვინის სმა ტოლმეგობრებთან,

მაშინ როდესაც ჟამი მოდგება

მგელს და ძაღლს შუა დასახელებული,

რატომ? არ ვიცი, მეც ვიმეორებ!)

დროა დავუგდოთ ყური მეგობრებს.

XLVIII

"სხვა? მეზობლები და ტატიანა

როგორ არიან? მითხარ, მალე;

როგორ გყავს შენი ოლღა ცქრიალა?"

"ჭიქა ნახევრამდე კიდევ ამივსე.

კმარა, გეთაყვა, გაგიხარიან

სალამს გითვლიან, კარგად არიან.

აჰ, ოლღას მხრები, მკერდი რა ნაზად

რა რიგ აევსო!... რა გალამაზდა!...

რა სულგრძელია! ერთ დროს მე

მივალთ, მოუხიბლავს ტბის მშვენება:

თორემ რასა ჰგავს, მათმოჩვენებად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ორჯერ ეჩვენე და ჩამოეხსენ.

ოჰ, შტერს მღალატობს თავი წყეული:

იმ კვირას მათთან ხარ მიწვეული".

**XLIX**

"მე?" - დიახ, სწორედ ტატიანასი

შაბათსაღამოს არის დღეობა;

ვერაფრით ახსნი მოუსვლელობას", -

"ხალხი და გვხვდება იქ უამრავი.

ბრბო მოსაწყენი და გულმრევი", -

"მჯერა, მოსვლელი მათთან არ არის,

შინაურების გარდა, არავინ!. . .

წამო, თუ გინდა ხათრის გაწევა!" -

"მოვალ". - "კარგი ხარ"! - თქვა და მგოსანმა

ჭიქა ასწია, მთლად გამოსცალა

მეზობლის ქალის პატივსაცემად

და კვლავ ოლგაზე მოჰყვა საუბარს:

ასე სჩვევია ტრფობას სანუკვარს.

**LX**

ხარობდა. . . ვადამ გაახალისა,

რაც ორი კვირის შემდეგ დგებოდა;

მას ხაშიადთ პირველად მისა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტრფობის გვირგვინით ეგებებოდა,

ელოდა სიტკბოდა აღტაცებად

ჰიმენეს ზრუნვას, ნაღვლით ავსებას,

გულგაციებულ რიგს მთქნარებათ

იგი სიზმარშიც კი არ ხედავდა.

ჰიმენეს მტრისთვის ერთფეროვანი

ცოლქმრული ყოფა მუდამ შეიცავს

წყებას შესაწყენ სურათEბისას,

ვით ლაფონტენის თარგის რომანი. . .

საბრალო ლენსკი, გულმინდობილო

ამ ცხოვრებისთვის იყოშობილი.

**LI**

უყვარდა იგი, ასე ეგონა,

სწამდა და თვლიდა თავს ბედნიერად

ასგზის ნეტარ არს, ვინც დაემონა

რწმენას, და სიტკბოს ნათქვამს ნებიერად

ცივი გონების, ეჭვის გარეშე,

ვით მთვრალი მგზავრი ღამის სათევში,

ვით გაზაფხულზე ნაზი პეპელა

სწოვს მათრობელა ყვავილს ნელნელა.

მაგრამ ცოდვა, ვინც წინასწარვე

განჭვრეტს ყველაფერს, თავბრუარესხმის,

და რაც მოძრაობს, სიტყვად რაც ესმის -

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გააწრებულ სმაგს და ამწარებს.

მის გულს საწუთროს სუსხი მისწვდება

და ეკრძალება თავდავიწყება.

## თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

ო, ნუ გეხილოს ის საშინელი,

ბნელი სიზმრები, ჩემო სვეტლანა!

ჟ უ კ ო ვ ს კ ი

I

იმ წელს ავდრებითვერგველოდა,

ვერსცილდებოდა კარს შემოდგომა:

ბუნება ზამთარს დიდხანს ელოდა

და იანვარს ღამით მოთოვა.

გამოიღვიძებს და ადრიანა

სარკმლით შეავლებს თვალს ტატიანა

და თეთრ ეზოს, თეთრ ყავრიანებს, '

მსუბუქ არშიებს სარკმლის მინაზე.

ხეებს - ზამთრისგან ვერცხლით დაფერილს,

კაჭკაჭებს ლაღად ეზოში დაფრენილს,

გორაკებს მოსავს ლბილი სინაზე,

ზედ ფენია თოვლი ელვარე,

თეთრად მოურთავს თოვლს არემარე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

II

ზამთარი! გლეხი ამდროს ზეიმობს
და გზას ანახლებს თოვლში მარხილით,
მისი ბეხრეკი ცხენი ზერგვინობს,
ძლივს მიჩაქჩაქებს ჩორთით და ლაღად.
ფაფუკი კვალის ამფეთქებელი
მოქრის კიბიტკა დაფეთებული,
კოზლს მეეტლე ზის წახრილი,
წითლად უელავს ქურქზე სარტყელი.
აი, ციგაზე ცუგო დაუსვამს,
დარბის პატარა ბიჭი მსახურის,
თავი აქვს ცხენად წარმოსახული,
ცელქისთვის ყინვას თითი აუწვავს,
კიდეც სტკივა და კიდეც უხარის,
სარკმლიდან დედა უმზერს მუქარით

III

მაგრამ იქნება თქვენს ყურადღებას
აღარ იზიდავს ასეთიერის
ბუნების სადა დასურათება,
ცოტა რამ სცხია მას მშვენიერის:
ღვთისგან გამთბარი ზეშთაგონებით,
მდიდრულსიტყვებითსულსხვა პოეტი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვიხატავს პირველთოვას ბრწყინვალედ

ზამთრის სიამის ყველა წვრილმანით

მის მწველ ლექსებში მოგინატრებთ

მჯერა, ნამდვილად ასე იქნება,

მარხილით ჩუმად გასეირნება:

მაგრამ ჯერ ბრძოლის როდ ვაპირებ

არც მასთან და არც შენთან. მგოსანო,

ფინელი ყმაწვილქალის მლოცავო!

IV

ტანია (რუსი სულით, შეგრძნებით

რატომ, თვითონაც რომ იცოდა)

იხიბლებოდა ცივი მშვენებით

რუსული ზამთრის ტრფობით იწვოდა.

უყვარდა ყინვა, ქროლვა მარხილით,

მზისგულიანი დღე რთვილდაყრილი,

ნაცისკრალი - თოვლის კრთომა ვარდისფრად

ნათლისღებისს ბინდი დაისთა.

მათ ოჯახი დღესასწაულთ

ხვდებოდა ხოლმე ამ საღამოებს,

მარჩიელებად ხმობდნენ მსახურებს,

მათგან ყოველწელს ჩვენი ქალწულნი

ელოდნენ, ოდენ გასცდნენ ბავშვობას,

მხოლოდ სამხედრო ქმრებს და ლაშქრობას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

V

ტატიანასაც სწამდა, სჯეროდა
ძველისძველ ხალხურ გადმოცემათა,
სიზმრის, ბანქოთ მარჩიელობის,
მანგით მომავალის ამოცნობათ:
ენიშნებოდა ცუდი ამბავი
და ხვაშიადით ყველა საგანი
მისთვის რაღაცას მოასწავებდა,
წინათგრძნობანი გულს უწამებდა,
ღუმელზე თათით კატა გრუხია
პირს თუ იბანდა და კრუტუნებდა:
მიანიშნებდა გაუმტყუნებლად
რომ შინ სტუმრები უნდა ეხილა.
ზეცის მარცხენა მხარეს ახალი
მთვარე თუ ჩანდა წყვილრქანაყარი,

VI

მაშინ ის თრთოდა და ფითრდებოდა.
როცა ვარსკვლავი მრუმე ზეციდან
ქვემოთ მოქროდა ადიპნეოდა,
შემკრთალ ტატიანას უცებ ეწადა
მისთვის გაძენდო ჩუმად სათქმელი,
ვიდრე ცდომილი ქროდა ნათელი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზოგჯერ შემთხვევით სეც ხდებოდა,

როცა შავოსან ბერს შეხვდებოდა

ან მინდვრებს შუა გზას გადუჭრიდა

კურდღელი სწრაფი, როგორც ისარი,

ის იდგა შიშით ნათლისმარი.

გზაზე ნაბიჯის წარდგმა უჭირდა:

წინათგრძნობებით სავსეს მაშინვე

გული უგრძნობდა რაღაც საშინელს.

VII

მერე რა? ფარულ სიამოვნებას

პოვებდა იგი სასინელებით,

წინალობანი მოსგამს ბუნებას,

ასე ვართ მისგან გაჩენილები.

შობას მოჰყვება ლხენა, გართობა.

მკითხაობს ცეტი ახალგაზრდობა,

არ ედარდება მას არაფერი.

მის წინ საწუთროს გზაა საცქერი,

თვალმიუწვდენი: ხოლო სიბერე

სათვალეებით უმზერს სიცხადეს,

მკითხაობს თავის კუბოს ფიცარზე,

მისმა დღეებმა შორს გაიგელვე.

დაუბრუნებლად მაინც იმედით

ატყუებს ბალღურა ტატინებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## VIII

ცნობისმოყვარე თვალს არ აშორებს,

და სცქერის დამდნარ ცვილს ტატიანა,

უმზერს ჩამოსხმულ ზღაპრულ არშიებს,

მას რომ საოცრად შეეხმიანა.

პირამდე წყლით სავსე თეფშიდან

ბეჭდები მწკრივად წამსვე ჩნდებიან:

როცა ერთ ბეჭედს იღებს ასული,

სიმღერა ესმის ჟამგადასული:

"აღთქმულ მხარეში გლეხიც მდიდრდება,

ვერცხლს ნიჩბებით ეხვეტება:

ვისაც ვუმღერით - დაებედება

მხოლოდ სიკეთე, მხოლოდ დიდება!"

მაგრამ ავს ამცნობს მას ხმა მწუხარე,

გულს ფისუნია უფრო უხარებს.

## IX

ღამე. ყინავს. გუნდი მთიებთა

მოწმენდილ ცაზე როგორ საოცრად

როგორ თანაბრად მოედინება

და ტატიანაც ამ დროს გამოჩნდა

ეზოში, შილოფხალათჩაცმული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მთვარეს უმიზნებს სარკეს ქალწული;

მაგრამ სარკეში ობლად მოთრთოლვარე

და ნაღვლიანი მოჩანს მთვარე.

ჩუ.. თოვლი ხმას ძრავს... სადღაც მგზავრია:

ცერებზე დგება, გარბის ასული,

ისი ძახილი ჰანგად დაძრული

ტკბილსალამურზე ხმანარნარია.

ვინ ხარ? რა გქვია? ხმა გამაგონე!

უცხოპასუხობს: "ვარაგაფონი".

X

ტანია ძიძის რჩევას მოისმენს,

ღამის მისნობის იწყებს გაცნობას

და ბრძანებს ჩუმად მხოლოდორისთვის

შიგ აბანოში სუფრის გაწყობას.

მაგრამ შემკრთალი თრთის ტატიანა,

მეც მეშინია - ჩემი სვეტლანა

რომ მახსენდება, მაგრამ შევდგებით..

მასთან სამისნოდარგავჩერდებით

მოიხსნის სარტყელს ყალმქრიშის,

სამოსს გაიხდის, საწოლს გაიშლის,

წვება, გარს უვლის ლელო ქალიშვილს,

სარკეს ბუმბულის აწევს ბალიში,

როგორც სიჩუმე - ღამეს მთვარიანს;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სდუმს არემარე, სძინავს ტატიანას.

XI

და ხედავს იგი სიზმარს საოცარს:
გზას ეძებს ველზე თოვლით მოსილზე,
მიდის და ინდორს ველზე რგამოსცა
მწუხარე ბინდით გარემოცული.
ნამქრებს შორის, მის წინ მქუხარებს,
ზვირთებს აზავთებს რისხვით მდუღარე,
ფაფარჭაღარა, ტალღებმოშავო
ღვარი ზამთარში გაუთოშავი.
ორი ლატანი ყინვით შეკრული
მასზე გადებულ ხიდად ირწევა,
იძვრის, ქანაობს საბედისწეროდ
ღრიალებს ღვარი გაშმაგებული,
და ტატიანა მაშინ შედგება,
აოგნებს მღვრიე საშინელება.

XII

ვით განშორებას დასანანებელს,
ღვარს ტატიანა მდურვას აყრიდა:
არავინ არ ჩანს, დასახმარებლად
გამოუწოდოს ხელი გაღმიდან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცებ შეირხა თოვლის გორაკი

და მის ქვეშიდან, როგორც ქოჩაგი

დათვი გამოძვრა დიდი, ბოძბორა,

ტანია კივის, მხეცი მოგორავს,

თათს ტატიანას უწვდის ბღავილით

თათს ხშირბალნიანს და ბასრბრჭყალებას,

ქალწული ბედავს ხელის ჩავლებას:

შიშით ცახცახით უკუკრული გაივლის;

გაღმა გადადის, მაგრამ რა ხდება?

ქალიშვილს უკან დათვიც გაჰყვება.

XIII

ჩქარობს, მიჰყვება გზას ტატიანა,

ისწრაფვის უკანმოუხედავად

მაგრამ ლოქიამ შავბალნიანმა

არ მიატოვა, მისდევს ერთთავად..

წინ ტყე გაშლილა, ფიჭვებს ლამაზად

დამძიმებიათ თოვლით შტოები,

დგანან მშვენივრად მოქუშულები.

შიშველ ცაცხვების, არყის ხეების,

თეთრი ვერხვების მაღალ მწვერვალებს

შორის მთებთა შუქი ელვარებს,

გადასუდრულან ტყისპირხევები;

გზები, ბუჩქნარი და ყველაფერი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღრმად დაფარული თვალის ნამქერით

XIV

ტყეში ტანიას დათვიც შეჰყვება,

თვალი მოხლუმდ სწვდება ქალიშვილს,

უცებ ხან გრძელი როკი ეხლება

კისერზე და ხან ოქროსფრიშის

საყურეს სტაცებს, როგორც მძარცველი,

ხან ლამაზ ფეხზე მას ფეხსაცმელი

სძვრება სველი, ხან ცხვირსახოცი

დაუვარდება ღონეგამოცლილს

და ასაღებად ვერ დასწვდენია,

შიშობს, ფეხის ხმა ესმის დათვისა,

ცდილობს აწევას კაბის კალთისას

მითრთოლვარე ხელით, მაგრამ სცხვენია.

მისდევს ნადირი, ჩქარობს ქალწული

და ველს მიირბის ჩამოქანცული.

XV

თოვლში წაიქცა; დათვი ებდევნება

და გაიტაცებს ასულს მუხლმულით,

ვერც შეირხევა, ისე ნებდება,

ვეღარც კი სუნთქავს უგრძნობ-უძლური.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მას ტყის ბილიკითმიჰყავს ქალწული,

უცებ უღრანში ერთი საყდარი,

შორს გარიყული ქოხი შეხვდებათ,

ქვეყნის ნამქერი ზედ რომ ეხვევა.

ბრწყინავს სარკმელი და შიგ გაისმის

ჯოჯოხეთური ხმები ნამდვილად

და თვით ბურდღუნებს: "აქ მყავს ნათლია:

მასთან გათბები, ცოტას დაიცდი!" -

იძახის იგი და ტატიანას

წინკარის ზღურბლთან სტოვებს მარტოდ

XVI

ერკვევა, ახელს თვალს ტატიანა:

და თვით წასული; ისმის ზღურბლს მიღმა

ზრინვა, გნიასი ჭიქის წკრიალთან.

ვითხალხმრავალი ჭირის სუფრის ხმა.

სადწევს - გარკვევა უჭირს ტანიას,

შეიჭვრიტა იგი ჭუჭრუტანიდან

და რას შეხედავს: სუფრას სტუმრები

უსხედან ირგვლივ - სულურჩხულები

ჩანს სახეძაღლი ერთი რქოსანი,

მეორეს მამლის თავი აბია,

იქვე დგას ჩონჩხი მკაცრი, ავყია,

გვერდზე ქაჯი თხის წვეროსანი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კუდა ჯუჯასთან სხარტად გახედავს

ნახევრად წეროს, კატას ნახევრად

XVII

თვალს იგი შემძრავ სურათს შეავლებს:

ბობღავს ობობა კიბოს მხედრით,

ბატის კისერზე ქალა ტრიალებს,

ზედ დამხობია ჩაჩი წითელი.

ქარის წისქვილი ცეკვავს, ბუქნაობს,

ფრთებს ატკაცუნებს, არხევს უქაროდ

ისმის ხარხარი, ყეფა, ხმაური,

სიმღერა, კაცთა ხმა, ცხენთა თქარუნი.

ხედავს ტანია, მათთან რომ არის

ის ვინც შორიდან იცნოსტუმრებში,

მისთვის საშიში, მისივ ნუკეში -

მთავარი გმირი ჩვენი რომანის.

ზის ონეგინი და ალმაცერი

მზერითსუფრიდან კარებს გასცქერის.

XVIII

იგი ანიშნებს - ყველა ირჯება;

იგი სვამს - ყველა სხვამს და გიჟდება;

იგი იცინის - ყველა ბჟირდება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარბს შეკრავს - ყოველ წამში დონჯდება.

იგი ბატონობს მათზე, ეტყობა.

ტატიანასაც უეთუსობა

ემჩნევა, ფრთხილად კარს ხელს შეახებს,

ცნობისმოყვარულად ოდნავ შეაღებს.

უცებ დაბერავს ქოხში გრიგალი,

ჭაღებს ჩააქრობს და ავსულები

შეშფოთდებიან გალურსულები;

მათ ონეგინი თვალთა ბრიალით

აჰყრის, სუფრიდან გრგვინვით ადგება

და კარებისკენ გაემართა.

XIX

შიშით ილევა და ტატიანა

მალე გაქცევას ლამობს აკრძალულს,

მოუთმენლობამ ააწრიალა,

კივილი უნდა, მაგრამ არ ძალუძს.

ევგენი აღებს კარებს ხმაურით

და ჯოჯოხეთის მავნე მსახურნი

მოვლენილს სულს, როგორც მსახვრალნი

ხვდებიან ველურ, ბოროტ ხარხარით

და კლაკნილ ენებს, კუდებს ბამბურებს,

ეშვებს, ულვაშებს, თვალებს ანთებულს,

რქებსა და თითებს გადაძვალებულს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხორთუმებს ყველა მისკენ აბრუნებს

და ყველას პირი დაუღჩენია,

- ჩემია! - ყველა ყვირის - ჩემია!. . .

XX

ჩემია! - მკაცრად ბრძანა ევგენიმ

და უცებ გაქრა ხროვა ავსულთა,

ბნელად გაყინულ ქოხს ონეგინი

შერჩა მეგობარსათოასულთან;

მიიყვანს იგი მორჩილ ტანიას

კუთხეში, სადაც კოჭლი სკამია.

ზედ დაასვენებს, მერე იხრება

მისი მკერდისკენ; უცებ ილება

კარი და ხედავს - ოლღა ესტუმრათ

ლენსკიც შემოსდევს; შუქი ენთება,

ონეგინს გულში ცეცხლი ედება,

ხელს აქნევს, თვალებს ქაჩავს მხეცურად

და ძალად სტუმრებს ლანძღავს ყვირილით

წევს ტატიანა გარდავლილივით

XXI

დავა თანდათან უფროაზავდა,

უცებ გრძელდანას დასწვდა ევგენი;

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლუნსკი დაეცა, და შემზარავად

დაბნელდა; გულის შემქანებელი

კივილისგან ქოხი შეირყა...

ტანიას ელდით გამოეღვიძა...

ხედავს: ოთახი სუნთქავს სინათლით,

მეწამულსხივებს ჰფენს განთიადი

გაფიცრულსარკმლებს, კარი იღება

და ჩრდილოეთის ცისკრის ციალით

ფრთამალმერცხალზე სწრაფი, ცქრიალი

ოლგა შემორბის და ეკითხება:

აბა, ვინაა, თქვი, გამიმხილე,

ის ვინც წუხელის სიზმრად იხილე.

## XXII

მაგრამ ვერამჩნევს დას ტატიანა,

წევს სასთუმალზე თავმიდებული,

წიგნი უჭირავს და მის შრიალი,

ფურცლებს მიჰყვება გარინდებული.

თუმცა ეს წიგნი არგამოსცემდა

არც მგოსნის ფიქრებს, არც ნაოცნებარს,

არც სიბრძნეს და არც სცენებს ლირიულს,

მაგრამ არც რასინს, არც ვირგილიუსს,

არც ლორდბაირონს და არც სენეკას,

არც სკოტს, არც ჟურნალს ქალთა მოდების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ელტვიან მსგავსი თავგამოდებით

როგორც მას, ძმებო, მარტინ ზადეკას,

სიზმართა მომხსნელს, ყოვლის წინამგრძნობს,

ქალდეველ ბრძენთა ცნობილ წინამძღოლს.

XXIII

ეს ღრმა თხზულება განმარტებული

სახლში ქორვაჭარს მოუტანია,

ცალკე მალვინას ძველი ტომებიც

შეუსყიდია მისგან ტანიას

ძლივს, სამ მანეთად და ათშაურად

ჩარჩი უსართულარდ ჩაგრული:

გაშორებია წიგნის კარად

სრული კრებულის ბაწრული იგავ-არაკთა,

ორპეტრიადის და ტომს მეასმეს

მარმონტელისას და გრამატიკას. . .

შემდგომ ამისა მარტინ ზადეკას

უმხელს ასული ნაღველს მკვნესარეს,

მას შესციცინებს, მას არიცილებს,

მასთან წვება და მასთან იძინებს.

XXIV

წუხელ ნანახი ზარავს სიზმარი -

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ უწყის, როგორც ურავს იმალავს:

საშიშ ოცნების ნაგულისხმარის

მალე შეცნობა სურს ტატიანას.

და ხედავს მოლე სარჩევს ასული,

ანბანთ რიგში ხვება: ავსული,

ბინდი, ბურუსი, დათვი, სავალი,

ულანი, ხიდი და სხვა მრავალი...

ვერ განუქარვებს ეჭვებს ზადეკა:

მაგრამ ბოროტი და საზარელი

კარგს არ უქადის არას სიზმარი,

გრძნობს, სამწუხარო რაღაც მზადებას...

რამდენიმე დღეს არ ასვენებდა,

სიზმარი იგი თავს ახსენებდა.

XXV

ცაზე აისი ჩნდება ალისფრად

თავისი ხელით ფერმეწამულით

დილის ველებზე მზედა ხალისად

დღეობა მოჰყავს დღესასწაულით

ლარინთა სახლში ხალხი მოგროვდა

დილიდან, მოდის სამეზობლოდან,

ყველა ოჯახით მოაჯირითებს

ეტლებს, მარხილებს, ბრიჩკებს, კიბიტკებს.

დერეფანს მომსვლელთა ტალღა აწყდება,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უცნობებს ერთურთს აცნობს სასტუმრო,

ლეკვთ ყეფა, ქალთა კოცნა მატულობს,

ზღურბლთან ჭედვაა; წუთით არ წყდება

ზრინვა, ხარხარი, სტუმართ სალამი,

გამდელთა, ბავშვით კივილვალდი.

XXVI

მოდის მეუღლეთ ჩაქვირუბულთ

პროსტაკოვი - ცოლით მსუქანი,

სოფლის მეურნედ ხალხში ქებული

გვორდანი - ღატაკ გლეხთა უფალი.

ჭაღარა ცოლქმრის სკოტინინების

კვალდაკვალ ჯოგი მოდის შვილების,

ოცდაათ წლის მოსდევს ორწლიან,

ნახავთ პეტრუშკოვს მაზრულ ვოპწიას

და ჩემს განაყოფმმას ბურანოვს,

ბუმბულთ მოსისლოგრძელ რტუქანს,

ყველასთვის ნაცნობს, როგორც ტუქანს,

ნახავთ გადამდგარ მრჩეველ ფლანოვს -

ბილწ ჭორიკანას, გაქნილ შაქარს,

მექრთამეს, ხარბს და ტაკიმასხარას.

XVII

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოჯახს პანფილე ხარლიკოვისას

ჩამოჰყვა ახლო და ტამბოვიდან

ოხუნჯი, წითურპარიკიანი

მუსიე ტრიკე მასთან მოვიდა...

როგორც ჭეშმარიტ ფრანგს თან ეგულვის

ტატიანასთვის გამზადებული

კუპლეტი ბავშვთა ჰანგზე სამღერი:

**Revellez vous, belle endormie** [1]

ძველ ალმანახში იყო მანამდე

ლექსად ნაბეჭდი ესე კუპლეტი.

ვით მიხვედრილი, მარჯვე პოეტი

ტრიკე მას ხელად მკვდრეთით აღადგენს

და იგი ნაცვლად **belle Nina**[2]

თამამად ჩაწერს **belle Tatiana**[3].

**XXVIII**

ახლო დაბიდან მასთან მობრძანდა

______________

1 გაიღვიძეთ მძინარე მზეთუნახავო

2 მშვენიერი ნინა.

3 მშვენიერი ტატიანა

როტის უფროსი - დღეობა სტუმრებში,

კერპი მოწიფულ გასათხოვართა

და მთელი მაზრის დედათნუკეში.

იგი ეწვიათ ნამდვილ სიახლით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოლკის მუსიკის ხმაზე ვილხენებით
თვითპოლკოვნიკმა ასე ინება!
ყველას უხარის, ბალი იქნება!
ქალიშვილობა ხტის სულწასული,
მაგრამ საჭმელი მოაქვთ წყვილებად
სუფრის გარშემოხალხი მწკრივდება.
ტანიას მხრეს დასხდნენ ასულნი,
კაცნი პირისპირ, პირჯვარს იწერენ
და ბრბოს ბზუილში სუფრას იწყებენ.

XXIX

წუთით წყდება ხმები საუბრის:
ჭამა ჩაღდება; აწი იწყება
დანა-ჩანგლის და ჭურჭლის ჩხარუნი
და წვრილსასმისთა აწკრიალება.
მერე ატყდება კვლავ მხიარული
სტუმართხმაური და ყრიამული:
ყურს არ უგდებენ ერთურთს ისინი,
სუფრა კამათობს, ხვნეშის, იცინის,
უცებ იღება კარი ყურთამდის,
შემოუძღვება ლენსკი ონეგინს.
"მადლობა უფალს თქვენის მოვლენით!" -
დიასახლისი ყვირის პურადი.
მისწი-მოსწევენ თეფშებს და სკამებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოსულმეგობრებს ერთად დასხამენ.

XXX

მათ ტატიანას თვალწინ დასვამენ
და დილის მთვარეზე ფერგადასული,
მფრთხალი შველივით თანმოცახცახე,
ძირს ხრის მინისლილთვალებს ასული.
სუნთქვას უჩქარებს კვეთა ვნებათა,
ბნედება და ორთა მისალმებათაც
ვერ ისმენს, ლამის ცრემლი დაღვაროს,
ლამის წაერთვას გრძნობა საბრალოს,
მაგრამ გონება და ნებისყოფა
დააძლევინებს წამებს გამოცდის,
იგი ორ სიტყვას ჩუმად გამოსცრის,
თავშეკავების ძალა ეყოფა,
ძალა - უმწარეს წუთის დაძლევის
და უსიამოსურის გაძლების.

XXXI

ტრაგინერვიულ გამოვლენების,
ქალწულთ გულისყრის, ცრემლის ქალწულთა,
კარგა ხანია არ სწამს ევგენის,
მათს რაობაში ბევრგზის დარწმუნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა ესწრებოდა დიდ დარბაზობას,
ეს უჩიაკი მაინც ბრაზობდა,
მაგრამ ქალიშვილს თრთოლვა მალულ
შენიშნა და ხრის თვალს სინანულით
წამს გაიფიქრა გაჯავრებული
და დაიფიცა მან შურისგება,
ლენსკის გაკენწვლა, გაგულისება.
ახლა წინასწარგამარჯვებული
გასცქერის სტუმრებს, როგორც ნატურებს
და ფიქრში ხატავს კარიკატურებს.

## XXXII

და რა თქმა უნდა, ევგენის გარდა
ტანიას ქმნვის მოწმე სხვაც არი,
მაგრამ სამწუხაროდ განსჯის საბაბად
ამჟამად იქაც მსუყე ნამცხვარი. . .
(საუბედუროდ გადამწარებული)
და აი, ბოთლით თავგასანთლულით
მოაქვთ შემწვარს და ბლანმანჟეს შუა
ციმლიანსკური ღვინო შუშხუნა,
მასთან სასმისნი წვრილნი, მაღალნი,
შენი ნარნარი, ნაზი ტანივით
ზიზი, მიმზევებ სულს კრისტალივით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხარ ჩემთა წმინდა ლექსთა საგანი

და მომხიბლავი ვნებათ ფიალი,

ბევრჯერ დამათრო შენმა ტრფიალმა!

## XXXIII

როცა ავარდა სველი საცობი,

ბოთლიდან ღვინომ წამოჩქეფა;

და აი, რისხით ჩვენი ანცობი

მუსიე ტრიკე წამოჭრება,

კუპლეტით დიდხანს გაწამებული.

სმენად იქცევა სტუმართ კრებული;

ცოცხალმკვდარივით ზის ტატიანა.

ფურცელი მისკენ მიატრიალი

ტრიკემ, სიმღერით ყალბად მიმართა.

აქუხდა ტაში, ვაშას ძახილი,

ტანიაც შეხვდა მას თავდახრილი.

პოეტმა მორცხვმა, მაგრამ დიდმა

პირველმა ლოცვა უძღვნა გულწრფელი

და მას გადასცა უცბად ფურცელი.

## XXXIV

უსმენს მილოცვებს და მისალმებებს,

მათ ტატიანა უხდის მადლობას.

ევგენი ამჩნევს ნაღველს მწამებელს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და როს აპირებს სიტყვით ადგომას,

მის სულში მკრთალი, ჩამოქანცული

სიბრალულს ბადებს სახე ქალწულის.

ქალიშვილს უხმოდ მიესალმება,

ოლინდსინაზე მისმა თვალებმა,

აელვეს რაღაც თბილი იმედით

ეგებ გრძნობები მართლა ართობდა

ან კეკლუცობდა ან თამაშობდა.

ან უბებლოეთანდა სიკეთით

მან მზერით სითბო ამოდგა მოსცა,

ტანიას გული გამოაცოცხლა.

XXXV

დგებიან, სკამებს ახმაურებენ;

სასტუმრო უცბად ხალხით ივსება:

ასე ტკბილ სკიდან გუნდი ფუტკრების

ველზე ზუზუნით გაიხიზნება.

ქებით სადილის შემამკობელი

მეზობლის ცხვირწინ ქშენს მეზობელი.

ბუხარს უსხედან დასადქალები,

კუთხეში დგანან ლამაზმანები.

მწვანე მაგიდა ბევრგან გაშლილა;

მოხუცბოსტონი უცდილომბერის.

სულწრაფთ განთქმული ვისტი მოელის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვანან ერთმანეთს, რაც თამაშია.

ერთფეროვნებით, მოცვეთილობით

პირმშონი ხარბი მოწყენილობის.

## XXXVI

გაითამაშეს ვისტის გმირებმა

მერვე რიბერი და მათადორიც

რვაჯერ იცვალეს, ჩაი რიგდება.

დროის განსაზღვრა მიყვარს სადილით

ჩაითვლა ვახშმით, ჩვენ ანგარიში

დროისა ვიცით ჯიბის გარეშე,

არა გვჭირდება გამრჯე ზედმეტი

კუჭია ჩვენი ზუსტი ბრეგეტი.

აქვე ფრჩხილებში უნდა აღვნიშნოთ,

რომ ჩემს სტროფებში ხშირად ვახსენებ

მეჯლისებს, ღვინებს, საჭმელსასმელებს,

სუფრებს, საცობებს უანგარიშოდ

ვითშენ, ღვთაებრივო ომირო,

სამი ათასი წლის ოქროპირო!

## XXXVII, XXXVIII, XXXIX

ჩაი შემოაქვთ და ლამაზთაგან

ლამბაქთა დინჯად დგამულებისას,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკვე ისმენენ ხმას დარბაზიდან

ფლეიტების და ფაგოტებისას.

მუსიკის ჭექა აღაფრთოვანებს,

თმობს პეტუშკოვი ჩაის რომნარევს,

მიდის პარისი დაბა-ქალაქთა

ოლგასთან, ლენსკი - ტატიანასთან;

მუსიე ტრიკე უწყებს ფრანტობას

ძველშინებარეს ხარლიკოვსისა,

მყის გააქანებს ვალსის ხმობისას

ბუიანოვი პუსტიაკოვას.

მალე დარბაზში ყველა გაცვივდა:

დაწყვილდნენ, ბალი ხელად გაბრწყინდა.

XL

მქონდა რომანი წამოსაწყებად

(ნახეთპირველი ჩემი რვეული)

პეტერბურგული ბალის აღწერა

ალბანის მსგავსაც ჩაფიქრებული.

მაგრამ გავფრინდი შორს ოცნებებით

და გამიტაცეს მოგონებებით

თეთრმა წვივებმა ნაცნობ ქალების.

ამყოლი თქვენი მომცრო კვალების,

წვივებო, კმარა, აღარ შევცდები!

გზა სიყრმის გაცვლით უნდა ვიცვალო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნამდვილად დროა - ჭკუა ვისწავლო

სიტყვის და საქმის მართვას ვეცდები,

და ამ მეხუთე რვეულს უთვალავ

წიაღსვლას კალმით გამოვუყვალავ.

XLI

ერთფეროვანი და დამთხვეული,

ციცხალ სიცოცხლის მსგავსი გრიალით

ქუხს და ტრიალებს ტალღადრხეული,

წყვილებს ალევებს ვალსის გრიგალი.

შურისძიების ჟამი ღვივდება,

ონეგინს ჩუმად ჩაელიმება,

ოლგასთან იდის, თავს აიცეტებს,

სტუმართ ირგვლივ მასთან იცეკვებს.

მერე ჩამოსვამს სკამზე ქალიშვილს,

ათას რამეზე უწყებს საუბარს,

და როცა ვალსი ისევ დაუკრავს,

კვლავ მასთან ცეკვას ალადდაიშლის,

სახტად დარჩება ყველა ამჯერად

ლენსკის საკუთარ თვალის არ სჯერა.

XLII

მაზურკა გრგვინავს და ჟამს გავხედავ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოდეს მაზურკა უცებ ნაფეთქი

ვეებერთელ დარბაზს არყევდა,

და ტკაცუნებდა ქუსლქვეშ პარკეტი

ძრავდა ჩარჩოებს კარ-სარკმელებისას,

ახლა კი, მსგავსად ნაზ ქალებისა

სრიალით ვცვეთავთ ფიცარს გალაქულს,

ქალაქში წესებს ვიცავთ ქალაქურს.

მაგრამ გვიფარავს ისევ სოფელი,

შემოუნახავს მას მაზურკაში

ისევ ქუსლები, ხტუნვა, ულვაში.

მაზურკაის პეწი პირველყოფილი

არშებღალული მტარვალ მოდისგან,

სახადით რუსთა ახალმოდამისა.

**XLIII- XLIV**

ფიცხ ბუიანოვს - ჩემსავ ბიძაშვილს

მოჰყვება ოლგა და ტატიანაც.

ჩვენი რომანის გმირი იმ წამში

ოლგას აცეკვებს ლაზათიანად

თან დაუდევრად მისდევს სრიალით

მას ჩასჩურჩულებს პირმომცინარი

რაღაც უშვერ და უფერულ მადრიგალს,

ხელზე ხელს უჭერს, უბრდღვიალდება

ქალიშვილს სახე ამპარტავნული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლენსკი ყველაფერს უმზერს: ენთება,

ეჭვის ალმური გულში ედება,

წყრება პოეტი თავდაკარგული,

უცდის მაზურკის უცბად ჩახშობას,

კატილიონზე ოლგას თანხმობას.

XLV

მაგრამ უარობს ოლგა. არ ძალუძს?

რა მოხდა? სიტყვა მისცა ონეგინს.

ღმერთო, რას ისმენს?... როგორ სასწაულს!

ვით შესძლო?... წამი დგას გაოგნების.

მას ჩვილის ჩვრები შარშან გასცდა,

ცეტი მანჭია ბავშვადგაზრდილი,

შეუსწავლია უკვე მზაკვრობა,

გაცვლა, ღალატი, უკუღმართობა!

ელდის გაძლების ძალა არ დარჩა

და ლენსკი თვალთმაქც ქალთა წყევლისას,

გადის, მოითხოვს მოგვრას ცხენისას;

მსწრაფლ გაჭენდება. წყვილი დამბაჩა

და წყვილი ტყვია - სხვა გზა არა ჩანს,

რომ ხვედრის მისი სწრაფად გადაჭრას.

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქ, სადაც დღენი მოღრუბლულნი და

ხანმოკლენი არიან, იბადება ხალხი, რომე-

ლიც უჩივილოდკვდება. (იტალ.)

პ ე ტრა რკ ა

I

ნახავს რა ლენსკის ჩუმადგაპარვას,

ონეგინს ისევ დარდი ჩამოუვლის,

ოლგასთან ახლოს ურვა დაღრავს

შურისძიების წამითკმაყოფილს,

ევგენის ოლგაც აჰყვა მთქნარებით

ლენსკის ეძებდა ლამაზთვალებით

ავ სიზმარივითმას გული ულევდა

კატილიონი დაუსრულებლად

ცეკვა დამთავრდა. ვახშმადგადიან,

წინა კარიდან ქალწულთბინამდის

სწოლებს შლიან სტუმრებისათვის, '

სუყველას მშვიდი ძილი სწადიან.

ჩემი ევგენი მათგასცილდება,

შინ მარტოგასწევს დასაძინებლად

II

ყველა მილაგდა და სასტუმროში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხვრინვა გაუდის სქელპუსტიაკოვს

თავის სქელცოლთან. სასადილოში

სკამებზე სძინავს ჩვენს ბუიანოვს,

პეტუშკოვს, გვოზდინს, სნეულფლიანოვს.

ცაჩშელხნძლულო, თხილსაცვლანი

მუსიე ტრიკე წევს იატაკზე.

დების სენაკში სძინავთ ლამაზებს.

სარკმელთან ობლად დგას ტატიანა,

აღარ ასვენებს მწარე ნაღველი,

შემოვლებია თავზე ნათელით

შარავანდედის მსგავსად თანა,

მის თვალზე ძილი არ ისადგურებს

და ბნელით მოცულ მხარეს გაჰყურებს.

III

მათთან ევგენის უცბად სტუმრობამ,

მის თვალთა თბილმა შუქმა იმედის,

ოლგასთან ქცევის უცნაურობამ

გამსჭვალა იგი სულის სიღრმემდის.

არა, არ ძალუძს მისი გაგება,

იჭვნეულსევდით თფრაქდება,

თითქოსდა გულზე ცივ ხელს უჭერენ,

თითქოს უფსკრული თვალებს უჭრელებს,

მის ქვეშ ღრიალებს მღვრიე ღვარცოფად . .

www.PDF.ChiaturaINFO.GE

"დავიღუპები, - ამბობს ტანია,

მაგრამ სიკვდილიც მომხიბლავია,

მისგან დაღუპვას ვიღებ განცხრომად

არ ვდრტვინავ, რად ვიქმ ბედის ყვედრებას?

ვერ მიძღვნის იგი ბედნიერებას".

IV

წინ, წინ, გაუდექ გზას ისტორიავ!

ახალო პრო ახლო გეცნობათ

ხუთკილომეტრით კრასნოგორიდან,

ლენსკის მამულის ახლომეზობლად

დღემდე დღეგრძელობს მყუდროსოფელში

ფილოსოფიურ უდაბნოეთში,

ერთდროს ამრევთა ავან-ჩავანი,

მებანქოეთა ბრბოს ატამანი

ზარეცკი შმაგი, ტრაქტირთა მკლები,

ახლა კეთილო, სადა, უბრალო,

ოჯახის მამა, მაგრამ უქალო,

წყნარი ბატონი, ძმობის გამგები,

პატიოსანადაც რომ იწოდება:

ეს საუკუნე როგორ სწორდება!

V

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთდროს ქლუსა ხალხს მისი ბოროტი

სიმამაცისთვის ქება უძღვნია:

მართლაც მარჯვებდა და პისტოლეტით

ხუთსაჟენიდან ხვრეტდა ტუზიანს.

ამასაც გეტყვით ველზე რბოლისას,

ნამდვილად მთვრალმა ცხარე ბრძოლისას,

გამოიჩინა თავი მედგრულად

კალმიკურ ცხენზე ამხედრებულმა

ტალახში სტყუა თავი ვაგლახად

ფრანგებს ჩაბარდა: ძვირი მძევალი!

ღრეობების ღმერთი, ახალგაგალი,

და სატყვევებლად ახლაც მზად დგახლავთ

რომ კვლავ გაუწყოს სამ ბოთლს სინსილი

ვერისთან[1], ყოველ დღის ნისიად

VI

ადრე ხუმრობდა ენამახვილი,

ბრიყვს აიგდებდა იგი მასხარად

გააბრიყვებდა ჭკვიანს ბალღივით

ხან შემპარავად ხან აშკარად

თუმცა ზოგ ოინს ვერგადაურჩა,

ხუმრობდა ბევრჯერ ძვირად დაუჯდა,

ზოგჯერ თვითონაც დამარცხებული

ბრიყვივით დარჩა გამასხრებული.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ვა შეეძლომას მხიარულად

ბასრი, ხან ბლაგვი სიტყვის გარევით

ხან განგებ სდუმდა, ცივ ანგარებით

ხან წაქეზებით განგებ, მზაკვრულად

გაახელებდა, ყმაწვილმეგობრებს,

მტრად რომ შეყროდნენ ერთმეორეს.

___________

1 პარიზელი რესტორატორი.

VII

იგი ხან ძალით აზავებდა

მათ საუზმეზე დაყოლიებით -

მერე საქვეყნოდ ამასხარებდა

ლაღი ხუმრობით და ტყუილებით

**Sed alia tempora!** და მამაცობა

(ტრფობის სიზმარი ან სხვა ანცობა)

ქრება კვალდაკვალ ყმაწვილკაცობის.

ასე ზარეცკიც, ჩვენი ნაცნობი,

აკაციებს და შოთხვებს იჩრდილებს,

გადარჩენილი გრიგალობოლში,

ბრძენივითცხოვრობს და რგავს ბოსტანში

ჰორაციუსის მსგავსად ჩითილებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამრავლებს იხვებს, ბატებს თავისთვის

და ბალღებს ანბანს აჩვევს ხალისით

VIII

არ იყო ბრიყვი, და ჩემს ევგენის

მისი სიწრფელის არა სჯეროდა,

მოსწონდა მისი მოსაზრებები,

ყოველ საკითხზე საღად მსჯელობა,

მეზობელს იგი ხშირად ხვდებოდა,

მუდამ სიამით ეახლებოდა,

დილით ოდნავაც კი არ გაოცდა,

როცა ზარეცკი მასთან გამოჩნდა.

იგი პირველსავე მისალმებისას

შეაწყვეტინებს ბაასს დაწყებულს,

და უბრიალებს თვალებს ნაწყენი.

თან მიაწოდებს წერილს ლენსკისას.

ევგენი წუთთცალვე გადგება

და ჩაიკითხავს ბარათს სარკმელთან.

IX

იყოს საამო, კეთილშობილო,

მოკლე გაწვევა, ანუ კარტელი:

მას სთავაზობდა დუელს ძმობილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიტყვაფიქრი და სულხნათელი.

ევგენიმ დოტიანს არაცდევინა,

ზედმეტი სიტყვა არდასცდენია,

ელჩს მიუბრუნდა და დააბარა,

რომ საამისოდმუდამ მზადაა.

ზარეცკიც მასთან აღარშეყოვნდა,

უთქმელადახსნა-განმარტებათა

წამოდგა იგი და გაემართა,

შინ უამრავი საქმე ელოდა.

იდგა ევგენი და თავს საკუთარს

გულითუთვლიდა ათას სამდურავს.

X

და იგი მართლაც მკაცრი გარჩევით

თავს საიდუმლოდასამართლებდა,

მას ბევრრამეში დასდოსასჯელი:

ჯერერთი, ჰკადრა მასხრადაგდება

სიყვარულს სათუთს, წმინდას, რომელსაც

წუხელუნდოლად ბიჭადმოექცა,

მეორეც ის რომ: პოეტს უმრწემესს

და თვრამეტი წლის ყრმაკაცს უწრფელესს

არაპატია ყრმული ცეტობა,

გულთმისი თუსწამდა ონეგინს,

რადიქცა ბურთადცრუწარმოდგენის,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რად არა ღირსა ბრძნული შენდობა?

ანჩხლი ბიჭივით რამ გააცოფა?

რად ჰყო ღირსება, ჭკუა, კაცობა?

XI

მას ხომ შეემძლო გრძნობის განდობა,

არა ნადირის მსგავსად ჯაგვრა,

ყმაწვილი კაცის გულის გათბობა,

გულის მოგება, არა დაჩაგვრა,

ახლა გვიანღა არის ვალალი,

რადგან ამ საქმის შუამავალი

ძველი ოსტატი გახლავთ დუელის,

ბოროტი ჭორის, ლანძღვის, ტყუილის...

და, რა თქმა უნდა, ზიზღის ღირსია

ლაზღანდარული მისი სიტყვებიც.

მაგრამ ხითხითი, ცილი ბრიყვების...

ხალხის საერთო თვალსაზრისია!

პატრონების ჩვენი ზამბარა!

სამყარო ბრუნავს მის ანაბარა!

XII

მოუთმენელი მტრობით მდუღარე

პოეტი ახლში პასუხს მოელის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ჰა, ზეიმით ღრმოდმოუბარი
დასტურს მიუტანს მას მეზობელი.
იჭვნეულს მრავალ დღესასწაული!
იგი შიშობდა, ფლიდს რომ მზაკვრული
რამე გზით თავი არ დაემძვრინა,
ხუმრობით ტყვია არ აეცდინა.
განქარვებია ახლა ეჭვები,
აღარც მოქიშპის ფანდი ადარდებს,
წისქვილთან ხვალვე, განთიადამდე
შეხვედრა დათქვეს მათ უეჭველი.
ერთურთის ჩახმახს გასახვრეტელი
ბარძაყი ელის ან საფეთქელი.

XIII

ჯერ გადაწყვიტეს ალერხილი,
ორთაბრძოლამდე აღარუნდოდა
ლუნსკის ენახა ოლგა გრეხია,
უმზერდა მზეს და საათს უნდობლად
მან ჩაიქნია ხელი ბოლოს და
აღმოჩნდა ისევ სამეზობლოსთან.
გაუფიქრია, როგორც ეტყობა,
უცბად სტუმრობით ოლგას შეკრთობა,
მაგრამ ამაოდ ნახვა, ეამა
საბრალომგონის მისვლით შეფრინდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოლგამ ისკუპა ძირს დერეფნიდან,

როგორც იმედმა თავქარიანმა,

ისევ უცვლელმა, კეთილმსურველმა,

ცელქმა, ცინცხალმა და უზრუნველმა.

XIV

"რად გაიპარეთ წუხელ ადრიან?" -

ოლგას პირველმა კითხვამ მოუშა,

ლენსკი ერთიან უცებ აიმღვრა,

მდუმრემ ცხვირი ძირს ჩამოუშვა.

გაქრება წყენა, ეჭვის ელვისა

წინარე მისი წრფელი მზერისა,

წინარე სიუბრალოების

და თამამ სულის უმანკოების.

მზერა უტკბება, ხდება გულჩვილი,

ხედავს, რომ იგი უყვართ ისევე,

ლხინის სინანული, ველარ ისვენებს,

მობოდიშება სურს და მუნჯივით

თრთოლვით უქრება სიტყვა სათქმელი.

ბედნიერია, თითქმის ჯანმრთელი. . .

XV. XVI. XVII.

და კვლავ ფიქრობს, ისევ დაღვრემილ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვლადიმირს ახლა მალა არ ჰყოფნის,

რომ თავის ოლგას ის წუხანდელ

წუთს უხსენოს შეურაცხყოფის.

ფიქრობს: "ვიქნები მისი დამცველი,

როგორ მოვითმენ - ბილწმა დამწველი

მაცდური ოხვრით, ქათინაურით

შებღალოს გრძნობა ყმაწვილქალური.

ასე შროშანის ღეროსაღრღნელად

შხამის სანთხევად რჩება მატლისა,

ჭკნება ყვავილი ორი დილისა,

ვერეღირსება გაშლა ნახევრად".

ეს ყოველივე ნიშნავს, ცხადია,

ლენსკის მოყვასთან სროლა სწადია.

XVIII

მას რომ სცოდნოდა, რა უკურნავი

ჭრილობა უწვავს გულს ტატიანას,

რომ გამოეცნო ასულს გუმანით-

ხვალის დღე როგორ ელდას იმალავს,

რომ ყრუ სამარის გამომოელის

დილით ლენსკისთან ბრძოლა ონეგინს,

ეჰ, ეგებ მისი ტრფობა-კვეთება

მეგობრებს ახლა შეაერთებდა,

მაგრამ ეს გრძნობა ალბედადაც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

არ გაუცია მათგან არავის,

ევგენი სდუმდა მსგავსად სამარის,

ტანიას ჩუმი ალი ფუფლავდა,

იქნებ სცოდნოდა მხოლოდ დედაბერს,

მაგრამ ვერ მიხვდა ძიძა ვერაფერს.

XIX

მთელი საღამო ლენსკის, დაბნეულს,

ხან ლხენა სძლევდა და ხან წუხილი,

თუმცა მუზისგან სვეგანაზებულს

ყველას ესა სჭირს: წარბშეჭმუხვნილი

კლავიკორდებზე ახლა მარტოდენ

უკრავდა იგი მაღალ აკორდებს,

ხან ჩურჩულებდა ოლგას მზერისას:

ხომ ნამდვილია? ბედი მელისა!

მაგრამ წასვლის დრო უკვე დგებოდა,

ეკუმშებოდა მას ნაწვალები

გული, - ქალწულთან გამოსალმების

წუთებში თითქოს ეფლითებოდა.

ოლგამ შეხედა: "რა დაგემართა?"

"არაფერია". - თქვა და გაემართა.

XX

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახლში მისვლისას სანთლის პარპაში

სინჯავს დამბაჩებს, ყუთში ალაგებს,

სამოსგახდილი შილერს გადაშლის,

მას მაინც ერთი ფიქრი განაგებს,

ვეღარ ისვენებს დარდმორეული,

არ უთვლემს გული აბორგებული

და ენითუთქმელმშვენიერებად

თვალწინ უდგება ოლგა ჩვენებად

წიგნს ვლადიმირი განზე გადასდებს,

კალამს აიღებს: ლექსის სტროფები

ივსება მისი ტრფობის ბოდვებით

და მათხმამაღლა ჰანგზე ლაღადებს

ლირიულწვითდა გზნებითფერმკრთალი,

როგორც დელვიგი ლხინში შემთვრალი.

XXI

აი, შემთხვევითმისი ლექსები,

შემორჩენილი მართალგულისხმად

"სადხართ სადმზეობთ სადგამექცევით

დღეებოოქროგაზაფხულისავ?

ან ხვალინდელი დღე რას მპირდება?

მას თვალი ჩემი ვერაკვირდება,

იგი წყვდიადში სუფევს მარადის.

არც ვეძებ, მჯერა ბედის სამართლის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუდა ვეცემი ისარგაყრილი,

თუჩამიფრინა გვერდში სიკვდილმა,

ყოველმა მადლმა: ძილმა, ღვიძილმა

იცის თავისი დროდა ადგილი;

კურთხეულია დღე საზრუნველი,

კურთხეულია ღამეც გულბნელი!

XXII

ხვალგაბრწყინდება სხივითროქრთაქი,

დღის შუქ-ნათელი ათამაშებდა;

მე კი იდუმალად ბნელბინაში

არამცილდება, ალბათ ჩაშვება,

და ახალგაზრდა მგოსნის ხსენება

მდორე ლექსში ჩაესვენება.

ჩემს კვალს ქვეყანა მალე წარიშლის,

მაგრამ მშვენების ნათელქალიშვილს

ნუდა გცურდება ცრემლი ნაადრევ

ურნასთან ფიქრით როგორმიყვარდა,

მწარე საწუთროს გზა - განთადი

შენ ერთს მშფოთვარე როგორგაგანდე!. . .

(მეგობარი ხარ, შვების მომცემი,

მოდი, ქმარი ვარ, შენი მლოცველი!. . ."

XXIII

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასე წერს დუნედ და ბუნდოვნად

(რასაც რომანტიზმს ვარქმევთ სახელად

ოღონდ რომანტიზმს აქ ოდნავადაც

ვერვამჩნევ: მასთან რა გვესაქმება?)

და, ბოლოს, ლენსკი, ღამის დასასრულს,

თავს წასთვლემად დახრის დაქანცულს;

რომ დასწერს მოდურსიტყვას, "იდეალს",

ძილი ნელნელა მოეკიდება.

მაგრამ სულმალე თავდავიწყებად

ბურანით მოსილს და გარემოცულს

მის კაბინეტში ჩუმადშემოსულ

სტუმრის ძახილზე გაეღვიძება:

"შვიდი იწყება, - ხმობს მეზობელი, -

დროა, ევგენი უკვე მოგველის.

XXIV

ამ დროს ძილქუში სჭირდა ონეგინს;

რაც მეზობელმა თქვა - ტყუილა.

მიმქრალი ღამე ჩრდილთა მოლევით

მამალს ცისკრისა დაუყივლია.

ევგენის ისევ სძინავს ღრმა ძილით,

მზე შუბისტარზე ბრწყინავს აწვდილი,

დაქრის ქარბუქი გადმონაფრენი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეხვევა ფიფქთა გამონათებით

მაგრამ ევგენის ძილს რა წარსტაცებს,

თავს დასტრიალებს ახლაც ბურანი,

ბოლოს გაახელს თვალს ნაურვალი

და ფარდის კალთებს ფიცხლად გადასწევს;

გახედავს - ატყობს მაღლა მზერისას -

დროგარდასული გამგზავრებისას.

XXV

უცბად დარეკა მან და მსახური

ფრანგი გილიოიმწამს მოვარდა,

ფეხსაცმელები, ხალათსასხმური

და თეთრეული ფიცხლად მოართვა.

ჩქარობს  ევგენი, იცვამს სასწრაფოდ

მსახურს ავალებს, მასთან სამგზავროდ

რომ გაემზადოს, მასთან რომ იყოს,

საბრძოლოყუთის თან წამოიღოს.

მარხილი უკვე თოვლთსაქეთ. . .

ჩასხდნენ და წისქვილს ელვის უსწრაფეს

მიექანნენ. იგი მსახურს უბრძანებს,

რომ ის "ლეპაჟეს" ლულებს ავბედითს

ზიდავს მის უკან, გარეკს ცხენებსაც

წყვილბერძუხასთან შესასვენებლად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXVI

ლენსკი ჯებირზე მკლავდაყრდნობილი
იცდის, იოგებს ბოღმას ნაღვივებს,
ზარეცკი მისი თანასოფლელი
მექანიკოსი, დოლაბს აგინებს.
ბოლოს მოჩანს მათ ონეგინი.
"სადარის, - კითხავს გაოგნებული
ზარეცკი, - სად გყავთ თქვენ სეკუნდანტი?"
კლასიკურ წესის მონა, პედანტი
დუელს ეტრფოდა იგი გულწრფელად
უწესოდ კაცისკვლის ნებას არ რთავდა,
ბრძოლას ვერასგზით ვერ წარმართავდა
მკაცრ ხელოვნების წესთა უგულოდ
და უკოლონრა ძველთა წყაროთა.
(რისთვისაც მისი ქება წარმოვთქვათ)!

## XXVII

"ჩემს სეკუნდანტად? - თქვა ონეგინმა, -
აი ეს ჩემი ახლამქონი
**monsieur Guillot** წარმოდგენილი
და არა აქვს რა არმისაწონი.
ნაღდად დასუფთა და სანდოჯელი. . .

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუმცა არ გახლავთ გამოჩენილი".

ზარეცკიმ სიმწრით ტუჩზე იკბინა.

"ეგებ დაგვეწყო", - თქვა ონეგინმა.

"დრო, დავიწყოთ", - თავდაჯერილად

მიუგო ლენსკიმ, და გაემართნენ

წისქვილის უკან, ბჭობა გამართეს

ზარეცკიმ და იმ სანდოჯელმა

საყურადღებო საქმის განხილვით

იცდიდნენ მტრები თვალებდახრილნი.

XXVIII

მტრები! მათგანა დიდი ხანია

სისხლის წყურვილი რც ანცალავებს?

დიდი ხანია, რაც გულახდილად

მოცლის ჟამს, ფიქრებს, ტაბლას, საქმეებს

იყოფდნენ ძმურად? დღეს სიძულვილით,

შთამომავლობით გადმოსულივით,

როგორც საშინელ და ბნელ სიზმარში,

ცივად მდუღარე ჟამის წინაშე

ემუქრებიან ერთურთს არყოფნით

სჯობს გაიღიმონ აუცილებლად

ვიდრე მათ ხელი გაუწითლდება,

სჯობს დაზავება კეთილთანხმობით

მაგრამ მტრობაა ჩვენში ველური,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყალბი სირცხვილით შეშინებული.

## XXIX

პისტოლეტები უკვე კრთებიან.
ზუმბაზე ჩაქუჩს გააქვს კაკუნი.
შროვან ლულებში ტყვიებს ტენიან,
პირველად დასცა ჩახმახს ჩხაკუნი.
დენთი ნაცრისფერ ჯავლად იცვლება
ფალას ყბაში და ბასრზბილება
კაჟიც ჩანს სანდოდ დამაგრებული,
კუბმით გილოთდას აბნეული.
იქვე მიჰყრიან მტრები ლობადებს,
და ოცდათორმეთნაბიჯს მხედრულად
ზარეცკი ზუსტას და ჩინებულად
გადათვლის, მერმე მსწრაფლ განალაგებს
საპირისპიროხაზზე მეგობრებს,
დამბაჩებს იღებს ერთიც. მეორეც.

## XXX

"ახლა შეებით", - მტრებმა გულგრილად
და ჯერ მიზანში სროლის ვადამდე
მტკიცე სვლით დინჯად ხმისგაუებლად
ოთხი ნაბიჯი როცა გადადგეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოუსავლეთის ოთხ საფეხურად

მაშინ პირველი, წინდახედულად

თავის დამბაჩას ჩვენი ევგენი

შემართავს ნელა, შეუსვენებლივ.

ხუთნაბიჯს ორი ისევ გადათვლის,

ლენსკი მარცხენა თვალს რომ მოჭუტავს,

იწყებს მიზნებას, მაგრამ იმ წუთას

ევგენი ესვრის. რეკავს საათი

აღსასრულისა. . . და სლემს პოეტი,

უხმოდ ვარდება ძირს პისტოლეტი.

## XXXI

ხელს იგი მკერდზე ფრთხილად იფარებს

და ძირს ეცემა. ნანისლთვალებით

სიკვდილს ასახავს განა სიმწარეს.

ასე მთის კალთას აციალებით

მზეზე მბრწყინავი, მწველნაპერწკლება

ზვავი თოვლისა ნელა ეცლება.

და იმ წამს, ცივ წყალგადასხმულივით

ევგენი ლენსკის ნახვის წყურვილით

მიეჭრა, უხმობს, მაგრამ ჭაბუკი

გათავებულა. ვინ გაუგონოს?

ყრმა მომღერალი გაქრა უდროოდ

ასე მშვენიერყვავილს ქარბუქი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აზრობს როგორც გაუფუველში

და ცეცხლი ქრება საკურთხეველში.

XXXII

უძრავად იწვა და დასჩრდილვოდა

სახე საოცრად მშვიდი, დაღლილი,

მკერდქვეშ გასვლოდა მას ღრმა ჭრილობა,

ორთქლით უჩქეფდა სისხლი დაღვრილი.

ერთი წამის წინ მისი მხნე გული

მკერდში ფეთქავდა შთაგონებული

ტრფობით, იმედით, მტრის სიძულვილით,

სიცოცხლის ეშხით, სისხლის დუღილით

ახლა, ვით სახლი უკაცრიელი,

ბნელი, დარაბებ გადარაზული,

ჩუმი, სარკმლებზე ცარცგადასმული,

სამარადისოდ დუმს ცარიელი,

დიასახლისიც არ ჩანს, უკვალო,

ვინ უწყის, საით გაქრა უკვალოდ

XXXIII

გაამებთ, ოდეს წინდაუხედავ

მტერს ეპიგრამა ცოფავს მახვილი,

გაამებთ მტერს, ოდეს უტეხად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

აქვს მარქენალო რქები და ხროლო

და უნებლიეთ სარკეს შესცქერის,

სცხვენია თავისი ცნობა შერცხვენილს.

მეტად გაამებთ ძმანო, ბრიყვულად

მე ვარო! მათ უწამოიყმუვლე

უფრო გაამებთ მისთვის დუმილით

პატიოსანი კუფის მზეობა,

მიზნად დუერ მკრთალი შუბლის ალუბა,

შუა მანძილზე, დაბლუღოვით

მაგრამ თქვენ, ალბათ ნათელმამებთან

მისი გაგზავნა არგეამებათ

## XXXIV

რას იზამთ ოდეს თქვენი დამბაჩით

განგმირულს ნახავთ ჯაბუშ მეგობარს,

ვინც სმაში ანდა ცხარე კამათში

თქვენთან იჩენდა და უდევრობას

უდერმზერით უშმეხ პასუხით

ან გაგამწარათ შეურაცხყოფით

ანდა თვითონვე დაგრჩათ ნაწყენი,

ორთა ბრძოლაში თქვენი გამწვევი,

ბრძოლის დამწყები ფიცხლად თამამად

ბრძანეთ როგორი გრძნობა მოგიცავთ

როდესაც შუბლზე სიკვდილს მოისხამს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გაქვავდება იგი თანდათან. '
ოდეს არ ესმის ყურს, ხმა გაკმენდილს
მახილი თქვენი სასოწარკვეთის?

XXXV

დგას სულის ქენჯნით გაოგნებული,
ხელში დამბაჩის ტარჩაბღუჯული,
ლენსკის დასცქერის თავს ონეგინი.
"რას იზამ, მოკვდა", - ესმის ჩურჩული.
მოკვდა! შეზარავს ეს გულსაკლავი
სიტყვა ევგენის, იგი კანკალით
განზე გადგება და ხალხს გასძახებს,
საშინელ განძად სახლში წასაღებს
ცხედარს გაყინულს და გაქვავებულს
ზარეცკი ფრთხილად დასდებს მარხილზე.
ცხენებმა მკვდარი იგრძნეს სამხილზე,
გახელდნენ: ოფლთან, დუჟს აქაფებულს
რვალის ლაგმებზე ღვრიან ფრუტუნით
და ჰა, გაფრინდნენ, როგორც შურდული.

XXXVI

ძმანო, პოეტი თქვენც გეცოდებათ
ნათელიმედთ, რწმენით აღსავსეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოცნება დარჩა შეუმოსველად

რომ ის იცვლიდა მოწყენის ტანსაცმელს,

და ჭკნა! სადღაა გზნება, ნდომანი,

კეთილშობილურ მიზნით ლტოლვანი

ყმაწვილკაცობის ფიქრთა, გრძნობათა, -

მაღალთა, ნაზთა და უზოგართა?

სად გაქრა შმაგი ტრფობის სურვილი,

წყურვილი შრომის, სიბრძნე-ცოდნისა,

სად ხარ, ოცნებავ, დღემიწყურვილი,

ლანდო იმიერქვეყნის - ედემის,

სიზმრებო წმინდა შემოქმედების.

## XXXVII

ეგებ იქ ქვეყნის სიკეთისათვის

და ან დროების ღირსად შობილთ;

ეგებ აწ ჩუმი ჩანგით სიმართლის

უწყვეტ გუგუნად ხმაშეწყობილად

საუკუნეებს გადასწვდენოდა,

ეგებ პოეტს ხვედრი სწვეოდა

და ღირსებოდა მზითგაჩაებულს

ცხოვრების კიბის მაღალ საფეხურს.

მოწამებრივმა მისმა აჩრდილმა

ეგებ წაიღო თან ხვაშიადი

წმიდა, და ჩქარა ჩვენთვის დადი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხოველმყოფელი ხმა საფლავს შინა,

სადროოს ჰიმნი ვეღარ მისწვდება.

ვერც თაობათ ლოცვა-დიდება.

XXXVII. XXXIX.

ანდა შესაძლოა არის: პოეტსაც

ჩვეულებრივი ხვედრი უცდიდა,

დრო სულ ჭაბუკად რომ სტოვებდა,

გაუნელებდა ცხელ სულს გულცივად

ყოფა შესცვლიდა მასაც ერთავად

მუზებს გაჰყრიდა და ცოლს შეირთავდა,

ბედნიერს, რქიანს - ცოლის ლოტით

ტანთ ეცმეოდა თბილი ხალათი.

სოფლად ცხოვრების ავ-კარგს იწვნევდა,

ორმოცი წლისას ქარი ნიკრისის

დასცემდა. ჭამით, ჭარბი ღვინისსმით

გასუქდებოდა და მოიწყენდა,

ბოლოს ლოგინის ყმა სულს დალევდა

მტირალ ცოლშვილთან და მკურნალებთან.

XL

მაგრამ მკითხველო, რა გზას მოვძებნით

ვაგლახ! ჭაბუკი შეყვარებული,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოეტი ფიქრის, მაღალ ოცნების
წევს მეგობრისგან წესაგებული!
და სოფლის მარცხნივ, სადაც ცელქმა
ცხოვრება პირმშოს შთაგონებისას,
ერთურთს ფესვებითგადახლართული
დგას ორი ფიჭვი. მათნაკადული
ახლოველიდან უვლის ჭავლებით,
იქ დასვენება უყვარს მეგუთნეს,
წყალში წკარუნითნთქავენ ხელთუნგებს
მოწყურებული მკელი ქალები,
იქ ხშირჩრდილში წყაროსთვალებს
ქანდაკებიან საფლავს უბრალოს.

XLI

ფიჭვებქვეშ (როცა ცრის გაზაფხულის
წვიმა საყანე ვრცელნათესებზე)
მწყემსი თავისი ჭრელი ბანდულის
ბლანდვითუმღერის ვოლგელმეთევზეთ
და მონებივრე ყრმა ქალი, ქალაქელი,
ზაფხულში სოფლადმოსაგარაკეს,
ოდეს გაუწევს გული მინდვრისკენ,
იგი ჭენებითძეგლთან მიირბენს,
ალვირს ათოკავს, ცხენს დაავანებს,
ქუდის ვუალის მაღლა აწევით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგი უბრალოდ ქვაზე წარწერილ
ეპიტაფიას თვალს გადაავლებს,
იგრძნობს წუთიერად გვას გულისას,
ნაზ თვალებს ცრემლი გადაუფრისავს.

XLII

მისდევდა ტრიალ მინდორს ნელნელ
ოცნების ფრთებით გახსენებით
დიდხანს სტვიოდა ქალი უნებლიეთ
სული ავსილი ლუნსკის სვე-ბედით
ფიქრობდა: "ოლგას რა დაემართა,
გული სიმწრისგან დიდხანს გვემავდა,
თუცრემლის წვიმამ მსწრაფლგადაილო,
ნეტავი ახლა სას ჰყავს დაიკო?
ამ ქეყნისაგან და კაცთაგან გამდგარი,
აბდუდმავალი ნისლის მობრუნვით
მოლურლუმათა მტერი მოლური,
ჭაბუკი მგოსნის მკვლელი სადარის?"
ცოტა მადლიერი არგაწბილებით
გაცნობებითდინჯადდა დაწვრილებით

XLIII

ლონდონერარა...თუმცა გულწრფელად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიყვარს მე ჩემი გორი, ლორსია,

რომ დავუბრუნდე აუცილებლად

მაგრამ ჯერმისთვის ვერმოვიცალე.

მკაცრი პროზისკენ წლებითვიხრები,

წლებს გაუყრია ცეტი რითმები,

და - წმარე ოხრვითგამოგიტყდებით -

მათოროზალით ზანტადმივყვები.

კალამს არძალუძს ძველი უნარით

ფრთამალფურცლებზე მელნის მოცხება,

ახლა სხვაგვარი ცივი ოცნება,

ახლა სასტიკი სხვა საზრუნავი

ქვეყნის ხმაურში და სიჩუმისას

აკრთობს სიმშვიდეს ჩემი სულისას.

## XLIV

ხმა შევიცანი სულსხვა სურვილთა,

ვცანი ახალი სხვა კაეშნები,

ვერვანუგეშებ პირველს სრულად

და ძველკაეშნებს აღარვეშვები.

ჰე, ოცნებანო! გაჰქრა დატკბობა?

და მისი რითმა "ახალგაზრდობა"

ნუთუდასასრულს მართლა დამჭკნარს

მისი გვირგვინი ცხადად აშკარად?

ნუთუნამდვილადსადღაც დაქანდნენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უღუგიოდ გამოსახული

დღეები ცემი გამოთქმულის

(რაზეც ვხუმრობდი ლოლიდაქამდე?)

ნუთუ მივყვები მათსვლის (მართლისს?

ნუთუ ვსრულდები ხვალინდელათის?

XLV

ჩემი შუადღეც დადგა ამჯერად

და ვხედავ, მმართებს ახლა განდობა.

მაშ ჩამომართვი ძმურად მარჯვენა,

მშვიდობით ჩემო ახალგაზრდობავ,

მადლობა გიხდი სიამეთათვის,

სევდისთვის, უტკბეს სიმწარეთათვის,

ქართა, გრიგალთა გამოდინისთვის

და ყველა, ყველა წყალობისათვის.

მადლობელი ვარ შენი, შენითვე

კიდეც ვდედები და კიდევ ვღელავდი.

სიამოვნება ვიგრძენ ყელამდე.

კმარა, სიამე ბევრი შევიტკბე!

ნათელი სულ სხვა გზა მეხსნება,

წარსულისაგან მსურს მოსვენება!

XLVI

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთხელაც მოგხედავ და გაგცილდები

ვერვინ ვანს ჩემი მჩქეფარე დღეების,

ალვასილის ფიქრიან სულის სიმწრებით

მცონარეობით ვნებათაღელვებით

შენ კი, ჯერ ჩვილო ზეშთაგონებავ,

ქროლვით ხილვათა შემართულებულო

გამიფრთხილებდე გულსაც მთვლემარეს,

ხშირად დასწვეოდე ჩემს არემარეს,

რომ არ გაცივდეს სული პოეტის,

რომ არ გამკაცრდეს, რომ არ გაავდეს,

და ბოლოს იგი რომ არ გაქვავდეს

ამქვეყნიური მკვდრული სიტკბოებით

რომლის მორევში, დღეს სავალალოდ

ძმებო, მეც თქვენთან ერთად ვბანაობ.

## თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

მოსკოვს, რუსეთის საყვარელ სულს,

დედამიწაზე ვინ გაგიტოლდეს?

დ მ ი ტ რ ი ე ვ ი

მშობლიურ მოსკოვს რად არ ვეტრფოდე?

ბ ა რ ა ტ ი ნ ს კ ი

მოსკოვს კიცხავენ! ეს ნიშნავს, ალბათ

მოფრულთა თხმელეთი ნაბდით!

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სად სჯობს ყოფნა? სადაც ჩვენ არ ვართ

გრიბოედოვი

I

დევნილი შუქმფენ გაზაფხულისგან
თოვლი გარშემო მთებს რომ დატოვებს,
გადმოჩქეფს მღვრიე ნაკადულებად
და უფართოვდება ველებს ნატბორევს.
წლის დილას ხვდება ჯერ კიდევ მძინარე
ბუნება - ნათელპირმომცინარე,
ლურჯად კამკამებს ზეცა. ტყეები,
ჯერ გამჭვირვალე ვრცელი ტევრები
მწვანით ითრთვება და იბუმბლება.
ცვილისგან სენაკს თმობს, გაემართება
ფუტკარი ველთა ხარკის ამკრეფად
აჭრელებს შემშრალ მინდვრებს ბუნება;
ხმაურობს ჯოგი და ხმა ბულბულის
უკვე დაარღვევს ღამის ყრუ დუმილს.

II

რა როგ ვღონდები, ოდეს მოდგები,
შენ გაზაფხულო! დროვ სიყვარულის!
ოდეს მთუნთავი თრთოლვის მომდები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ღელავს ჩემს სულსა და სისხლს დუღილს!

რა უმძიმესი გრძნობისმორევით

ვნეტარებ სახენაამბორევი

გამოზაფხულე სიოს მობერვით

სოფლის წიაღით და მყუდროებით!

ეგებ ვუცხოობ სიამოვნებას,

და რაც გვაცოცხლებს, შვებას იმეტებს,

რაც ბრწყინავს და რაც ზეიმს გვიბედებს,

ჩემს მკვდარსულს მხოლოდ დაღლას, მოწყენას

ჰგვრის უქიამოლოდინთ ხანია

და ყველაფერი მისთვის ღამეა?

III

ეგებ, არგვალხენს ჩვენ შემოდგომის

მკვდარი ფოთლების კვლავ დაბრუნება,

მწარე დანაკლისს ხსოვნადმოუდნის

ტყეების ახლადაბუბუნება;

ეგებ შემკრთალი ლამობს ოცნება -

დედაბუნების გამოცოცხლება

ჩვენსავ მინავლულწლებშ შეადაროს.

რაც არაღსდგება მკვდრეთითარასდროს?

იქნება ზოგჯერ ფიქრადგვიელვებს

პოეტურსიზმრის მსგავსას ნახული

აწ გარდასული სხვა გაზაფხული

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და გულს ცახცახით გვიძრავს, გვიღელვებს

ოცნება უცხოდ შორმხარეზე,

უმშვენიერეს ღამის მთვარეზე...

IV

როდა გდომია ტკბილნებივრებს,

ეპიკურელებს - დაბრძენებულებს,

თქვენ, გულმხიარულ სვებედნიერებს,

ლევშინის სკოლის ბარტყებს ერთგულებს.

გიხმობთ პრიამ ნოსოფლის გარემო,

თქვენც, ბანოვანნო მგრძნობიარენო,

გიწვევ სოფლისკენ, ვით ბავშვობისას,

დროყვავილობის, მზის და შრომისა.

დროშითა გონებულ სეირნობების

და მაცდუნებელ მეთმონისხვის.

ძმანო, ვალთაკენ! მალე მოესვით

ტვირთით პირთამდე სავსე ფორნებით

ნელა მარებითან საფოსტოთ,

დასთმეთ ქალაქის ბჭე და ქოთქოთ.

V

და თქვენც. მკითხველო, კეთილმოსურნევ,

გამოხატებულ თქვენსავ კარეტით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და სიმეთქალექი შფოთთმოცული,

სადაც ზამთარში დროს ატარებდით

ჩემს თავქეიფა მუზას უსიტყვოდ

გავყვეთ ბუბუნა მუხნარს ვუსმინოთ

იმ უსახელო ველის მახლობლად

სოფლად მოცლილი სადაც ნაღვლობდა

ევგენი მწირი, მიუსაფარი,

სადაც ახლახან სათოლმაზთან,

ჩემს მეოცნებე ტატანასთან

მეზობლად დაჰყომთულ ზამთარი,

სადაც ალერჩანს, დასიმოყრუმხრე. . .

სადაც დასტოვა კვალი მწუხარე

VI

მთების ნახევარრკალშემოვლებულ

მხარეს ვეწვიოთ სადნაკადული

კლდეკვნით ჩაურბენს კორდს ამწვანებულს,

და მდინარისკენ ცაცხვნარს გაუვლის,

სადგაზაფხულის ტრფობითავსილი

მღერის ბულბული, ჰყვავის ასკილი,

სადაც გაისმის წყაროს გალობა,

სადსაფლავის ქვის გარინდულობა,

მოჩანს ორბებერფიჭვთან ჩრდილივით

გზადგამვლელთათვის სადაც სწერია:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

"ვლადიმირ ლენსკი აქ ასვენია,
უდროოდ მკვდარი გულადი სიკვდილით
ამა და ამ წელს, ამ და ამ წლის.
შენდობა პოეტს, ადრე გარდაცვლილს!"

## VII

ფიჭვის ჩამოხრილ ტოტებს ადრიან
ნიავი როცა ნაზად არხევდა,
სიმშვიდით მოსილ ლოდთან დართან
იდუმალ გვირგვინს აცახცახებდა.
ხან გვიან, საქმეს როცა რჩებოდა,
ორი ასული გამოჩნდებოდა
და მთვარიანში ორი დობილი
ტიროდა ერთურთს გადაჭდობილი.
ახლა კი... ძეგლი მივიწყებული
ობლად ჩანს, მასთან აღარ მიდიან,
ტოტზე გვირგვინი აღარ ჰკიდია,
მხოლოდ ჭაღარა, მჭლე და სნეული
მწყემსი აკითხავს საფლავს გარიყულს,
მღერის და წაღებს ბლანდას ღარიბულს.

## VIII. IX. X

ჩემი საწყალი ლენსკი! ვარმით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მის სატრფოს დიდხანს არ უცრემლია.

ვაგლახ! საცოლის კვნეს ვალდი

განა სანდო და გულწრფელია?

სხვა წარიტაცებს მის ყურადღებას,

სხვა მიუძინებს ტანჯვა-ვაებას

ტკბილ სატრფიალო ქათინაურით

უცხოს მიანდობს თავს სიყვარულით

მას უხმობს გულის მთელი ძახილით . .

აი, საყდარში მასთან დგება,

გვირგვინქვეშ მორცხვად გაინაბება

საკურთხეველის წინ თავდახრილი,

ცეცხლოვან თვალთა ამომიბნედვით

ბაგეთა ლაღ გამოღიმებით

XI

საბრალო ლენსკი! მიღმა საფლავის

მარადისობის ყრუ ზღვა ერთმოსავი,

საბედისწერო გაცლის ამბავით

ეგებ შეშფოთდა ურვით მგოსანი,

თუ მიეძინა მთვლემარე ლეთაში

პოეტს -უგრძნობელს ნეტარებაში

და შეშფოთება აქვს აღკვეთილი,

მუნჯ ქვეყანა და კარჩაკეტილი?

აგერ! გულგრილი გადავიწყება

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მიგველის ყველის მიღმა საფლავის.

ხმა მტერ-მოყვრის, ძვირფას საყვარლის

უცებ ჩაქრება და დაიწყება

მამულზე დავა, ურცხვად ხორხოცი

მემკვიდრეობის გულმწყრალ ლაქუცი.

XII

სულმალე ოჯახს ლორინებისს

ოდეს წკრიალი ხმა ჩაუწყდება.

ულონს, მონა-ტყვეს თავის ბედისას

მეულთოპოლში წასვლა უწევდა.

მოხუც ქალს ცრემლი წასკდა ღვარებად

ვიდრე ქალიშვილს გაამგზავრებდა

გეგონებოდათ ცოცხალმკვდარია.

არ ტიროდა მხოლოდ ტანია,

მაგრამ იმ ქვეყნის ფერი დაედო

მის მწუხარსახეს, მაშინ როდესაც

წინკართან იწყოდა მშვიდობება,

როცა ფუსფუსი შექმნა საერთო

კარეტის ირგვლივ ხალხმა მტირალმა,

და გააცილებს მათ ტატანა.

XIII

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და დიდხანს, თითქოს ნისლში მიმავალი

გასცქრის იგი ახალნაკვალევს. . .

ჰა, მარტოდმარტოდაას ტოტანა

ვაი! გასცლია დას უსაყვარლესს,

შორს წასულს გვერდით ვერ დაიგულებს

და დიდხანს, დიდხანს დას ვერ შეხვდება.

უმიზნოდ დაეხეტება,

ხან გადახედავს ბაღს იავარქმნილს. . .

არსაიდან შვებას არ ელის,

თან დასდევს დარდი განუქარველი,

საშველს ვერ აძლევს ცრემლებს არდაღვრილს,

ცრემლებს დაძლეულს, სულში ნაბუდევს,

და ლამისაა გული გაუსკდეს.

XIV

და სიმარტოვით განაოგნები

ვნებათა გზნებამ ულვითდალალო,

მისი მკვნესარე გული ოხეგინს

შორის უხმობდა უფროხმამაღლა.

აღარ იქნება მისი მხილველი;

მას უნდა სძულდეს თვისი ძმის მკვლელი.

დაღუპულმგოსანს დარდით ვარამით

აღარ იხსენებს აწ არავინ;

ისი საცოლე სულსხვას ჩაბარდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პოეტის ხსოვნა ასე გავლილი

წამით გაევლო ცაზე კვამლივით

და შეიერთა ლურჯმა ლაჟვარდმა.

მას ორი გული იქნებ ბოლომდეც

გლოვობდეს... მაგრამ რადა გლოვობდეს?...

## XV

საღამო იდგა. ცა მქრქალდებოდა,

მდინარე მშვიდად მოჩრიალებდა,

ხოჭო ბზუოდა და მთავრდებოდა

ფრინველთა წყება. შორს ბრიალებდა

ცეცხლი წყალგაღმელ მებადეების.

ვერცხლოვან მთვარის ფერნაპკურები

ველი გაშლილა გზად ტატანას,

ფიქრში ჩაძირულს, მარტოს მიმავალს...

დიდხანს იარა. უკვე მაღლიდან

დახედავს იგი სახლს ბატონისას.

მთის ძირას გაშლილ ჭალის სოფლისას

და ბაღს, ანკარა წყალის ნაპირთან.

ბორცვიდან იგი დიდხანს უცქერდა,

გული ძალუმ და ხშირად უცემდა.

## XVI

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჭოჭმანობს ეჭვით შენაცბუნები:

"არავინ მიცნობს. არც ის დამხვდება. . .

შევაღო თუ ახლავ შინ დავბრუნდები?

სახლს ვნახავს, ამ ბაღს მაინც დავხედავ".

აი, ეშვება იგი ბორცვიდან,

ძლივს სუნთქავს, ადგილს ვეღარ მოსწყვიტა

გაოცებული მზერა წამიერ. . .

გაუყვა ეზოს ვერან-ცარიელს.

უცებ მისცვივდნენ ყეფით ძაღლები

და მისი შიშით შეკივლებისას

შვილები ეზოს ერთ კერისა

ზრინვით მოვარდნენ გლეხის ბალღები,

მით მიმოფანტეს ცემით მწევრები,

ქალიშვილს გაჰყვნენ, როგორც მცველები.

XVII

"ბატონის სახლში არ შემიშვებენ?" -

ჰკითხა ტანიამ მათ და ბალღებმა

ანისიასკენ მსწრაფლ გაიჭენეს

გასაღებების წამოსაღებად

და ანისიაც მოდის იმწამში,

კარი გაიღო ორის წინაშე.

ცარიელ სახლში შედის ტანია,

სადაც არც ისე დიდი ხანია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხოვრობდა ჩვენი გმირი კაეშნით
დარბაზში - თითქოს ვისმეს ელოდა -
კიი ბილიარდს მისვენებოდა.
ძველ ტახტზე შოლტი ეგდო მანეჟის.
მოხუცებულმა თქვა: "ამ ბუხართან
ბატონს მარტოკა ჯდომა უყვარდა".

XVIII

მასთან აქ იჯდა, აქ ტრაპეზობდა
ზამთარში ლენსკი, აწ გარდაცვლილი,
ცხოვრობდა იგი აქვე, მეზობლად
ეს კაბინეტი სახლვარს გაცლილი
ბატონის გახლავთ სადაც ყავის სმა,
ძილი, მოსმენა მოურავისა
და დილით წიგნის კითხვა სჩვეოდა.
ძველი ბატონიც აქ ირჯებოდა,
ზოგჯერ კვირადღეს სათვალეებით
უყვარდა მოხუცს აქ, ამ ფანჯრებთან
ჩემთან "დურაკას" წათამაშება.
უფალმა მის სულს სასუფეველი,
მის ძვლებს სიმშვიდე მარადიულის
მშობელმიწაში სამარადისოდ

XIX

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრძნობით მოავლებს თვალს ტატიანა
და გარშემო რასაც შეხვდება
ეძვირფასება მას ერთნაირად
სულს ცხოველმყოფელ ძალად ეხება -
წუხილნარევი შვების მაგვარი:
დღემდე ჩამქრალი ჩანდა ლამპარი,
წიგნით გროვასთან და ძირს, სარკმელთან,
ნოხიან საწოლს ნათელს აკმევდა
მიმწუხრის მთვარე მკრთალი, მორჩილი.
იღვროდა შუქი მსგავსად მირონის,
ჩანდა პორტრეტი ლორდ ბაირონის
და იდგა სვეტი თუჯის თოჯინით
ქუდქვეშ პირქუში სახე უჩანდა
და ჯვარედინად მკლავებს ბლუჯავდა.

XX

მოდურ სენაკში დგას ტატიანა.
მონუსხულივით ვერ გასცლოდა.
ცივად დაჰქროლა ქარმა გვიანმა,
ველზე დაბნელდა. თვლემამ დასძლია
ჭალა, ნისლიან ლურჯ მდინარესთან.
მთვარე სერს მიღმა უჩინარდება
და ახალგაზრდა პილიგრიმისთვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დრო გზას გაჰყვეს იქით, პირიქით

ტანიას ღელვის მაღლა ემართა.

მაინც დასცდება ოხვრა ანაზდად

ვიდრე შინისკენ გაჰყა შარაგზას

გამოითხოვა მხოლოდნებართვა,

ვერან სასახლეს რომ სტუმრებოდა,

რომელსაც კითხვა მოსწყურებოდა.

XXI

ჭიშკარის მიღმა მოსამსახურეს

დაემშვიდობა და ადრიანა,

მერე დღესვე მოინახულებს

თავმინებებულსახლს ტატიანა.

ყუჩ კაბინეტში განმარტოებით

ქვეყნადყოველი დასთმოდრებით,

მარტოდშთენილი, ფიქრთა მოჯარვით

დიდხანს ტიროდა გულმომჯდარი.

და შემდეგ იგი მივა წიგნებთან.

ჯერსაკითხავად არ სცალოდა,

მაგრამ ეჩვენა მას უცნაურად

მათ შერჩევა, წიგნებს მინებდა;

კითხვა დაიწყოხარბადბედშავმა

და სხვა სამყაროგადაეშალა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXII

თუმცაღა ყველამ ვიცით ონეგინს
გადაუყვარდა კითხვა თავიდან,
მაგრამ მან ზოგი ნაწარმოები
ამოსარიცხავ რისხვას არიდა.
გაიურსა და ჟუანს იწყალებს
და კიდევ ორ-სამ რომანს იწამებს,
რომელიც ახალ ხანას მოიცავს
კაცს წარმოაჩენს ჩვენი დროისას,
და ნამდვილებით ხატავს საკმაოდ
სულით უწმენოს, სულით პატარას
სულგამოცარულს და ამპარტავანს,
ოცნებით მქროლავს და უსაზომოდ
უმოქმედობის ბორგვას მიცემულს
დბოროტებით გონგანრისხებულს.

## XXIII

ზედ აჩნდა მრავალფურცელს ნაჭდევად
ნიშნად გასმული კვალი ფრჩხილისა,
ყველას მათ თვალი უცებ ამჩნევდა
დაკვირვებული ქალიშვილისა.
უმზერდა იგი თრთოლვამორევით
როგორი ფიქრი ფლობდა ონეგინს

ან რშენიშვნა ეოცებოდა

ან უხმოდ აზრს ემოწმებოდა.

ყოველფურცელზე იგი ზედიზედ

მიჯნურის ფანქრის ნიშანს ხვდებოდა

და უნებლიეთ ისახებოდა

ევგენის სული წიგნის გვერდებზე,

ხან მოკლე სიტყვით, ხან ჯვრის სიშავით

და ხან კაუჭა კითხვის ნიშანით

XXIV

და ტატიანამ უკვე თანდათან

შესძლო გაგება, კვალის მიგნება.

მადლობა უფალს- იცნობს თვალნათლად

იგი ვისთვისაც ბედმა ინება,

რომ ქცეულიყო კვნესა-წუხილად

ცნობს დაღვრემილ და ვერაგ უხიაკს,

ჯოჯოხეთის თუ ზეცის ნაშიერს,

ანგელოზს თუ ეშმას საშინელს.

ვინ არის იგი? ნუთუ აჩრდილი

ან წამბაძველი ან მოსკოველი

ტანზე ჰაროლდის ლაბადამოსხმული,

სხვათა ჩვევათა თარგზე აჭრილი.

მოდური ფრაზებით სავსე სიტყვარი,

თუ პაროდია დასავიწყარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

## XXV

ნუთუ გადასჭრა და გადასწყვიტა?...

ნუთუ ქარაგმა ახსნა ტანიამ?

დრო მიჰქრის, ასულს გადავიწყდა,

შინ რომ ელიან კარგა ხანია,

სადორმეზობელს ბჭობა გაუბამს

და განაგრძობენ მასზე საუბარს.

"რა ვქნა? რა ვუყო? განა ბალღია, -

დედაბერს ოხვრა დასცდა ნაღვლიანს. -

ხომ უმცროსია მასზე ოლენკა...

დროა, ტანიაც დავაბინავო.

რა ვქნა? რა ვუყო? არვინ მიდაო..

ყველს უარით მირუკ-მორუკა,

გულზე ნაღველი მწარედ ედება

და ტყე-ტყე მარტოდ ეხეტება".

## XXVI

"შეყვარებული თუ?" - "ვისზე?

მან ბუიანოვს უთხრა უარი,

ივან პეტროვიჩს ეტყვის იმასვე.

პიხტინი გვყავდა სტუმრად- გუსარი.

ჰო, ის ტანიას ეშხმა მოხიბლა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა არილნა ეშმამ მოქნილმა!

მეგონა: საქმე ჩანს უტყუარი.

მაგრამ რა? მასაც სტკიცა ური.

რა მოხდა, დაო? შენ და ვალდო?

მოსკოვს არის სასძლოთა ბაზრობა

წადით არჩიოს საქმროს გაცნობა".

"ძმაო! მცირე მაქვს შემოსავალი" -

"ერთი ზამთრისთვის თუ არ გვეყოფა,

ჩემგან ისესხე, რა გაეწყობა".

XXVII

დედაბერს რჩევა დიდად გაუტკბა,

